დავით პავლიაშვილი

„მუხრანით კერძი ქალაქი“

(მუხრანის საბატონო)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2015

არქეოლოგიური, წერილობითი წყაროების, ეთნოლოგიურ ზეპირსიტყვიერი და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ანა ლიზისა და განზოგადების ფონზე, ნაშრომში, რომლის შესწავლის არიალი მოიცავს ისტორიული სამუხრანბატონოს ტერიტორიას, ას ახულია ქართლის ამ ერთ-ერთი ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი რეგიონის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, სულიერი სამყაროს ადგილი და როლი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ხანგრძლივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წიგნი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა და იგი დააინტერ-ესებს, როგორც მეცნიერ-მკვლევარებს, ისე მოსწავლე ახალგაზრდობას, ტურისტებს და ზოგადად ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი — პროფ. დავით სამხარაძე

რეცენზენტი — პროფ. ვალერიან ითონიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა — ლიკა ერისთავი
პაატა ახრახაძე

წიგნი ეძღვნება სოფ. ძალისელ რუბაშვილ-სამხარაძეთა და პავლიაშვილების შთამომავლობას.

© დავით პავლიაშვილი
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

ISBN 978-9941-25-038-5

შინაარსი

შესავალი 4

თავი პირველი

მუხრანის საბატონო ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მმართველობაში

1. მუხრანის საბატონოს ისტორიული გეოგრაფია 6

2. მუხრანის საბატონო ქართლის პოლიტიკურ მმართველობაში 16

თავი მეორე

სოფლის მეურნეობა 61

თავი მესამე

მატერიალური და სულიერი კულტურა 77

შესავალი

მდიდარი არქეოლოგიური, წერილობითი, ეთნოლოგიური და სხვა, შესაბამისი მასალების მოპოვება-განზოგადების ფონზე, წინამდებარე ნაშრომში ასახულია ის ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების პროცესები, რომელიც ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში მიმდინარეობდა ქართლის იმ ერთ-ერთ ცენტრალურ რეგიონში, რომლის ადმინისტრაციულ ერთეულს „მუხრანით კერძი ქალაქი" წარმოადგენდა.

როგორც ვიცით, ქართლი, ძველთაგანვე რამოდენიმე ნაწილად იყოფოდა და შესაბამისად თავთავიანთი სახელწოდებით მოიხსენებოდა. ერთი ამ ნაწილთაგანი — აღნიშნავს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი — მემატიანე ლეონტი მროველის აზრით, უფლოსის სამფლობელო ყოფილა, რომელიც „დარჩა ყოველთა მამისა მათისა მცხეთოსისა და ეპყრა ქვეყანა არაგვთაგან და ტფილისიდან ვიდრე ტასის კართამდე და ფარავნამდინ არაგვიდგან და არმაზისგან ვიდრე ტასის კართამდე, უწოდა ამას ქუეყანასა სახელი ზენა სოფლისა, რომელსა აწ ჰქვია შიდა ქართლი"-ო.

ქართლის საკმაოდ ვრცელი-გაშლილი ველები, შესაბამისად ზეგან-მთიანი საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, კარგ პირობებს ქმნიდა, როგორც მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების, ისე ინტენსიური მეცხოველეობისათვის. აღნიშნული გარემოება კი თავისთავად შესაბამისი გამოხატულებას ჰპოვებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში, რომელსაც ერთობლიობაში კიდევ უფრო მაღალ რანგში აჰყავს რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა — ისტორიული სამიმოსვლო გზის — ევრაზიის დერეფნის მოქმედების სახით.

ამრიგად, ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და ეკონომიკურმა პირობებმა, ოდითგანვე განსაზღვრა და თავისი უმნიშვნელოვანესი ადგილი მიუჩინა ქართულ სახელმწიფოებრივ მშენებლობას და ჩამოყალიბების პროცესებს. ქართლი წარმოადგენდა არამარტო

საქართველოს ყველა მხარისათვის ურთიერთ დამაკავშირებელ ხერხემალს — გზაჯვარედინს, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ ობიექტსაც. ისე, რომ შესაბამისი ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი ამიერკავკასიაზე გადიოდა. კერძოდ, კი ქართლზე, რომელიც მტკვრის ორივე მხარეს გაზდევდა, თუმცა უპირატესობა ეძლეოდა მის მარცხენა ნაპირზე გამავალ გზას: მცხეთა, მუხრანი, სამთავისი, გორი, რუისი და ა.შ. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა აგრეთვე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა. აქედან კი არაგვის ხეობით ჩრდილეოთის ქვეყნებში გადიოდა.

ისე, რომ წინამდებარე გამოკვლევის ობიექტი, ოდითგანვე აქტიურად იყო ჩართული იმ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სტარტეგიული პროცესების მოქმედებაში, რომელიც ქვეყნის მდგრადობა-განვითარებისათვის მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, თემის ირგვლივ ნებისმიერი პრობლემის შესწავლა-გამომზიურება კიდევ უფრო ზრდის მისადმი საზოგადოების ინტერესს.

თავი პირველი

მუხრანის საბატონო ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მმართველობაში

1. მუხრანის საბატონოს ისტორიული გეოგრაფია

საქართველოსა და ზოგადად ახლოაღმოსავლეთის მიმდებარე პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცეში, ქართლის „ქვეყანას" ოდითგანვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ეტაპობრივად, აქ მიმდინარეობდა უძველესი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-ფორმირების პროცესი, რომელმაც ერთიანი ფეოდალური მონარქიის სახე შუასაუკუნეებში მიიღო. ისტორიული ხასიათის ამ ღრმა პროცესში, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი, არაგვ-ქსნის ორმდინარეთაშორის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს ეკუთვნის, სადაც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობით „მუხრანით კერძი ქალაქი" გამოირჩეოდა.

ისტორიული „მუხრანით კერძი ქალაქი"-ს არიალის მდიდარ ცივილიზებულ მემკვიდრეობას გვიდასტურებს ფრიადსაყურადღებო არქეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოლოგიური მასალა, ზეპირსიტყვიერება, ხელოვნების, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია არქეოლოგ ალ. ბოხოჩაძის ხელმძღვანელობით მუხრანის სანახებში განხორციელებული მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მოპოვებული და შესწავლილი არაერთი მანამდე უცნობი მასალები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: სარკინეშიომღვიმის მონასტრის მიდამოები, სარკინეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ტერიტორია, უსახელო ნაქალაქარი ნასტაკისის ველზე, მდ. მტკვრისა და ქსნის შესაყარი და მათ მარცხენა ნაპირზე ძალისა — მუხრანის ველზე მდ.

ნარეკვავის სანაპირო, აწინდელი სოფ. ძალისის მიდამოები და სხვ. ისე, რომ მარტო ნასტაკისისა და მუხრანის ველზე გამოვლენილი ქალაქების სანახებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით, ისინი ელინისტური ხანიდან მოყოლებული, ახ.წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე არსებობდნენ.[1] ამასთან, არქეოლოგიური გამოკვლევით, ზემოაღნიშნული ტერიტორია, სამადლოს გორანასტაკისის ველთან ერთად, ის ადგილია, სადაც საფუძველი ჩაეყარა საქალაქო ცხოვრებას, ხოლო ქართლის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, მისი პირველი დედაქალაქი გახდა. თუმცა სამადლოს გორა-ნასტაკისის ველზე არსებული ქალაქის სახელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ არსებული მონაცემები, გარკვეულ შესაძლებლობას იძლევა, რათა დავასკვნათ, რომ ამ ტერიტორიაზე ნაქალაქარი, წყაროებში მოხსენიებულ „ძველ მცხეთას" წარმოადგენს.[2]

მართალია ძვ.წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, დედაქალაქმა აღმოსავლეთით, არმაზციხე-ბაგინეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, მაგრამ ქალაქური ტიპის დასახლება ნასტაკისის ველზე VIII საუკუნემდე გრძელდებოდა. ისე, რომ ელინისტურ ხანაში წარმოქმნილმა ძალისამ, განვითარების უმაღლეს დონეს, გვიანანტიკურ ხანაში მიაღწია. იგი ეკონომიკურად ძლიერი, საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი ჩანს, ხოლო კულტურული განვითარების დონით იმდროინდელი მსოფლიოს ცივილიზებული ქალაქების სიმაღლეზე დგას, რომლის დასტურს უნდა იძლეოდეს ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა.

ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მატერიალური კულტურის ძეგლი კომპლექსის — ტაძარი-სასახლის მოზაიკაზე წარმოდგენილი გამოსახულებები და თვით ნაგებობის ხასიათი, რომელიც დიონისეს სახელითაა აღიარებული. რომ ტაძარ-სასახლის

---

[1] ალ. ბოხოჩაძე, არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, თბ., 1981, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5.

მოზაიკას თუ ძალისას ნაქალაქარზე გამოვლენილ მასალებს მივიღებთ მხედველობაში, იგი ახ.წელთაღრიცხვის II საუკუნით უნდა დათარიღდეს, რომელიც ჩვეულებისამებრ აღმავლობა-დაქვეითების პროცესებსაც განიცდიდა. ასე გამოიყურება მაგალითად ძალისას ნაქალაქარზე VI-VII საუკუნეების შესუსტებული ცხოვრების მაუწყებელი ნაშთები. ცხოვრებისა, რომელსაც VIII საუკუნის 30-იან წლებში ბოლო მოუღო მურვან-ყრუს ლაშქრობამ და ამის შემდეგ ძალისას ნაქალაქარზე ცხოვრება აღარ განახლებულა.[3]

მუხრანი, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი, წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს, რომელიც აღმოსავლეთიდან შემოზღუდულია მდ. არაგვით, სამხრეთიდან მტკვრით, ხოლო ჩრდილოეთიდან ციხევდავის ქედით. სახელწოდება მუხნარი — გვიანდელი „მუხრანი", მომდინარეობს მუხებისაგან, რომლის ნარგავებითაც ეს მხარე იყო ცნობილი და სადღეისოდ მხოლოდ მეჩხერის სახითაა შემორჩენილი. მცხეთის სანახებში შემავალი აღნიშნული ადგილები ანუ მუხის ხეებით მდიდარი ეს მხარე, რომელიც „მუხრანით კერძი ქალაქი"-ს ტერიტორია წარმოადგენდა, ისტორიულ წყაროებში მცხეთის მიდამოებშია მოხსენიებული.

ისტორიული ქართლის სინამდვილეში, მუხრან-საგურამოს ვაკის ტერიტორია წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ, მეურნეობრივ-ეკონომიკურ ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც მცხეთის აღმოცენება-დაწინაურებაზე იყო მიბმული. მცხეთა კი როგორც ვიცით მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, ანუ მცხეთა და მისი შემოგარენი „დიდი მცხეთის" სახელითაა შემორჩენილი, რომელიც დასახლებული იყო ჯერ კიდევ ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანებში (III-II ათასწლეული)., გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანებში (II-I ათასწლეული) კი აქ მჭიდრო მოსახლეობაა. ძვ.წ. პირველი ათასწლეულიდან მოყოლებული, შუახანებისათვის, ძველი სამოსახლოები ერთ დიდ ქალაქად — „დიდ

[3] ალ. ბოხოჩაძე, დას. ნაშრომი, გვ. 35.

მცხეთად“ გაერთიანდა. ლეგენდის მიხედვით ქალაქი დააარსა ეთნარქმა მცხეთოსმა.

ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში მცხეთა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს — ქართლის (იბერიის) დედაქალაქია. მცხეთის გადედაქალაქებაში დიდი როლი ითამაშა მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ იყრიდა თავს გზები დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, ალბანეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან. მცხეთიდან გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები — ე.წ. აბრეშუმის გზა, აქლემის გზა და ცხვრის გზა., ანტიკური ხანის მცხეთა შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან „არმაზით კერძი ქალაქისა“ (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) და „მუხრანით კერძი ქალაქისაგან“ (მტკვრის მარცხენა სანაპირო). ისე, რომ ქვეყნის უძველესი და უმთავრესი ადმინისტრაციულ-სულიერ ცენტრად მცხეთის ჩამოყალიბება-დაწინაურებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი „მუხრანით კერძი ქალაქს“ უკავია.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, მუხრანი (მუხნარი) წარმოადგენს ერთ დასახლებულ ობიექტს, კერძოდ ძველ სოფელს — შიოსუბანს, რომელიც საბოლოოდ, როგორც ჩანს მუხრანის მსხვილ დასახლებაში გაერთიანდა.

ვახუში ბატონიშვილი მუხრანის ტერიტორიას ასე შემოსაზღვრავს: „მესამე სასპასპეტო არს, რომელი იწყების მცხეთიდამ, ხოლო კათალიკოზი, ვინაითგან მეფისა თანა მყოფი არს, და არს მეოთხე სასპასპეტოსი, არამედ მუხრანი, ორი არაგვი, ქსნის-ხევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს. ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათგან, სადაც არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი. გარნა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის-წყალიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი, სამკრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავ-ტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე“.[4]

---

[4] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 60.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში, რომელიც საისტორიო თხზულებას წარმოადგენს და სადაც მოთხრობილია ქართველი ერის თავგადასავალი უძველესი დროიდან XVIII საუკუნებმდე, მემატიანე მროველი, გვამცნობს: „ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბახტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თუსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა ზედა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთიდგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ბახტომას ძესა თუსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხარით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თუსსა. და მოკუდა ადერკი“.[5]

მუხნარი, ოდითგანვე ქართლის მეფეთა ერთ-ერთი გამორჩეული, მოხერხებული სადგომ-სანადირო, დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. ერთ-ერთი წერილობითი წყარო გვაუწყებს: „სიდონია დედაკაცის თქმულის მიხედვით, რომელიც წმინდა ნინოს მოწაფე ყოფილა, „რომელი ესე იხილა და დაიწერა მოქცევა სასწაულითა მირიან მეფისა, და შევრდომა ნინოსი აღსარებისათუს, ეკლესიათა აღმშენებისათუს და შინა სასწაულთა მისთათუს. და იყო დღესა ერთსა ზაფხულსასა, თუესა ივლისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხნარით — კერძი, და მიუხდა უჩინო იგი მტერი, ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რა თამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ“.[6]

იმავე „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი. ავტორი — ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ტექსტში — „ამაზასპ, ძე ფარსმანისი“ — აღნიშნავს: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა (II ს.). გარდმოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ

---

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 43.
[6] იქვე, გვ. 108, 109.

იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდმოსვლა ოვსთა ვიდრე გარდმოვლამდე მათისა. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსვენებად, და არა სადა განვიდა მარბიელი, რამე თუ ქალაქისა მცხეთისა შემოეხვრად მოსრულ იყვნეს. მაშინ ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდეს ერისთავნი აღ-მოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი სამშვილდისა. და შემო-ჰკრიბეს მჴდარნი სპასპეტისანი; და ვიდრე მოსვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა მოვიდეს ოვსნი ჩრდილოთ კერძთა ქალაქისათა, რომელ არს მუხნარი.

მაშინ ამაზასპ მეფემან განავსნა ციხენი და კარნი მცხეთისანი ლაშქარითა და იწყეს ბრძოლად ბუმბერაზთა და განვიდა ამაზასპ მშჳლდითა, და იწყო სროლად გულითა ფიცხელითა და მკლავითა ძლიერითა; ეგზომ შორით ისროლიდა, რომელ დამართებითა მდგომთა ოვსთაგან არა შეიტყუებდა და არცა ინახვებოდა სიშორითა, თუ ყოვლად აქუს მშვილდი. და მან ჰკრის ისარი, რომელსა ვერ დაუდგის სიმაგრემან საჭურველისაგან. და მას დღესა შინა ამაზასპ თავის-თავთა მოკლა ბუმბერაზი თხუთმეტი რჩეული და ცხენი მრავალი. და სხვათაცა ბუმბერაზთა ამაზასპისათა მოკლნეს ბუნბერაზნი მრავალნი ოვსთანი; და დასდვეს დიდი ვნება ოვსთა ზედა".[7]

მუხნარი და მისი შემოგარენი საერთოდ წარმოადგენდა არამარ-ტო ქართლის ერთ-ერთ გამორჩეულ, მდიდარ მეურნეობრივ, სტრატე-გიულ ტერიტორიას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, რომლის რეგიონალური არიალი მოიცვა სავაჭრო-სამიმოსვლო გზაჯვარედინებს და მეზობელ მოსახლეობასთან მჭიდრო ურ-თიერთობისა და მეთვალყურეობის ობიექტს. სწორედ აღნიშნულ მახ-ასიათებლებს ითვალისწინებდა მეფე ვახტანგ გორგასალი (438-491), (449-502)?, როდესაც ოსეთზე სალაშქროდ-სამზადისად მუხრანის სანახები შეარჩია: და დაამტკიცეს ლაშქრობა ოვსეთისა მეფემან წარავლინა მოციქული წინაშე დედის ძმისა მისისა ვარაზბაკურისა, რანისა ერისთავისა: აუწყა ლაშქრობა ოვსეთისა და ითხოვა მისგან

---

[7] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 150.

შეწევნა, ხოლო მან სიხარულით აღუთქვა და შემოკრიბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ არაგუსა: და იყო ასე ათასი მჭედარი და სამოცი ათასი ქუეითი, და გამოგზავნნა ვარაზ-ბაკურ სპანი თუსნი თორმეტი ათასი მხედარი".[8]

სწორედ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ბაზალეთთან ერთად დაწინაურდა და მძლავრ სასულიერო ბირთვად იქცა წილკანის საეპისკოპოსო. მუხრანი, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით და პირობებით, როგორც ნაწილობრივ მაშინაც ითქვა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთის და სამხრეთით — თრიალეთის მხარესთან, რამდენადაც სწორედ აქ იყრიდა თავს საკომუნიკაციო საშუალებები — გზაჯვარედინები. აღნიშნულმა პროცესებმა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური და შემდეგ განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდებში მიმდინარეობდა, დიდი როლი ითამაშა მუხრანის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ დაწინაურებაში. ხოლო ზოგადად მუხრანის ბარისა და მთის — თრიალეთის მჭიდრო კავშირურთიერთობამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი და დააჩქარა ჯერ ქართლის სახელმწიფოს (იბერიის) წარმოშობა, ხოლო შემდეგ საქართველოს გაერთიანება. ისე, რომ ამ ხანებში, მუხრანი მცხეთის მძლავრი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, ქართლის მეფეთა დომენია და ბუნებრივია მის საზღვრებში — გამგებლობაშია მოქცეული. ისე, რომ აქ, მუხნარშია ქართლის მეფეთა მნიშვნელოვანი სანადირო და „საფურე" ადგილები, ციხე-გალავნები, სასახლეები

„იყო მამა წმინდა ისე წილკნელი მოწაფე წმიდისა მამისა იოვანესი, რომელს არა უწყით მშობელნი, არცა ადგილსა სადაურობისა, თუნიერ ესე ვიცით, თანა მოჰყვა იოვანესა და მრავალთა იძულებითა ქართლისა კათალიკოსმან აკურთხა მღვდელ-მთავრად, საყდარსა წმიდისა ღვთისმშობლისასა, ქუეყანასა მუხრანისასა, და სოფელსა წილკნისასა".

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს: „რამეთუ ჟამსა ზამთრისასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა ყოვლისა სამეფოსასა, არა

---

[8] იქვე, გვ. 55.

გარეგნად მენაკიდურესა, არამედ საშუალ თუსთა სამეფოთა ადგილთა, თუთ მის მიერვე წინათ განჩინებულთა განსასუენებელთა და მისაძიენებელად, ვითარცა ჰრულითა რათამე მშუენიერთა დაიძინა მამათა თუსთა თანა, და თუთ მებრ ესე კმა არს საცნაურ მყოფელად საკუთრებისა თუსისა ღმრთისა მიმართ. რამეთუ მრავალგზის მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკუდილისათა მთავართა იგი, რომელთაგან მცირედი მივსცეთ თხრობასა. რამეთუ ნადირთა დევნასა შინა ოდესმე მუხნარს (დავით აღმაშენებელი) წაექცა ცხენი, და ესეოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად, სამშუნელისაგან ოდენ საცნაური ცოცხლად".[9]

„ქართლის ცხოვრებაში", პირობითად ჟამთააღმწერელი, ქართლის მეფის დიმიტრის-ძე დავით მეფის შესახებ მოგვითხრობს: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა, იწყეს ოვსთა ოჴრებად. ჴოცად, და რბევად, და ტყუნვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და ოუსად დაიჭირეს ოუსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ამათს წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა. და მრავალ გზის შეკრბეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდაღმან გარდმოეშუეს სახლით კაცი, და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ეს მათ, ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი, და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა. ხოლო ვითარ მოიწია ყაენი შინა, მოუწოდა დავითს და რქუა: „ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთუის, და სდგახარ ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენი ყოველი". და წარმოეგზავნა ტფილისს, და დასუა ტახტსა მამისასა,

---

[9] კ. კეკელიძე, ა, ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 25.

და თანა წარმოატანნა სპანი საქართველოსანი შანშე და ხუტლუბუღა, და ყოველნი დიდებულნი".[10]

ერთიან საქართველოში მუხრანს ყოველთვის გააჩნდა თავისი განუმეორებელი ალაგი, როგორც ქართლის ერთ-ერთ ცენტრალურ ადმინისტრაციულ ერთეულს. დავით აღმაშენებელის ძლიერმა ეპოქამ, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთანაც პრიორიტეტული ავტორიტეტი მოიპოვა, თავისი სასიკეთო დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას. მაშინ, როდესაც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე შარვანი და ირანი (აზერბაიჯანის ორი სამთავრო) იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში და ამით ქვეყანას საშუალება ეძლეოდა ირანთან მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილიყო, აზერბაიჯანელი პოეტი — ხაკანი (გარდაიცვალა 1199 წ.) ერთ-ერთ თავის ხოტბაში (ოდასი), რომელიც დაწერილია 1172 წელს, ამბობს: „აფხაზეთის (საქართველოს) კარები ღიაა ჩემთვის, მე გავემგზავრები ნაჭარმაგევსა და მუხრანს, ბაგრატიონთა შორის მე ვიპოვნი თავშესაფარსო რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს საკვლევი რეგიონის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

როგორც ითქვა, ანტიკური ხანის მცხეთა შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან — „არმაზით კერძი ქალაქი", რომელიც მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და „მუხნარით კერძი ქალაქისაგან" მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჩათვლით. ისე, რომ მუხრანი, ძვ.წ. აღრიცხვის III-II სს-ში დიდი მცხეთის ერთ-ერთი შემადგენელი, სასოფლო გარეუბნის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ცენტრს II-IV სს-ში ქალაქი ძალისი წარმოადგენდა. VIII-IX სს-ში, როდესაც ქართლში მეფის ხელისუფლება აღარ არსებობს, მუხრანი კახთა მთავრების — ქორეპიკოპოსთა უფლებაში გადავიდა, რომლებმაც იგი სამოხელეოთ თავის ვასალებს — ძაგანიძეებს უწყალობეს. აქედან გამომდინარე, ძაგანიძეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს წარ-

---

[10] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, 1990, გვ. 229.

მომადგენლები ამიერიდან თავს „ზედაზნის ერისთავერისთავებსა და მუხრანის მფლობელებს უწოდებდნენ. X ს-ში, ლეონ აფხაზთა მეფემ (957-967) კახეთისათვის წარმოებული ბრძოლების დროს შესძლო მუხრანის ხელში ჩაგდება, თუმცა კახეთის ხელისუფლებმა იგი ისევ დაიბრუნეს. „ჩადგა არაგვს პირსა, ასწყვდა და მუხრანი, ხევი და ბაზალეთი, შეიქცა გარე და მოკუდა“.[11]

მომდევნო ხანებში, კერძოდ 1223 წ. როდესაც დავით აღმაშენებელმა ძაგანიძეებს ზედაზნის ციხესთან ერთად, მუხრანის ქვეყანაც წაართვა და მის სამართავად საკუთარი მოხელეც — „გამგე მუხრანისა“ დაადგინა, იგი კვლავ სამეფო დომენად იქცა. ამასთან, მისი ყმამამულის გარკვეული ნაწილი შიო მღვიმისა და ‹სვეტიცხოვლის მონასტრებს გადაეცათ. XVI ს-ში მუხრანი ქართლის სამეფოს სახლის განკარგულებაშია, რომელიც 1512 წელს ქართლის მეფის დავით X (1505-1525) უფროსმა ძმამ ბაგრატ მუხრანბატონმა, მუხრანის საუფლისწულოდ გადაცემა და შიდა ქართლის სპასპეტობა ითხოვა, სანაცვლოდ კახეთის მეფე ავგიორგისთან (1511-1513) შებრძოლების ვალდებულება იკისრა, მაშინ დავითმა საუფლისწულოდ არა მარტო მუხრანი უბოძა საუფლისწულოდ, არამედ შიდა ქართლის სადროშოს სარდლადაც დანიშნა.

ამრიგად, რამდენადაც მუხრანი დედაქალაქის (მცხეთის) ერთ-ერთი მძლავრი საფორტიფიკაციო და ეკონომიკურ რეგიონს წარმოადგენდა, ამდენად იგი ხშირად ხდებოდა თავდასხმა-აოხრების ობიექტი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი, როდესაც იგი სპარსელებთან ბრძოლაში (უჯარმაში) სასიკვდილოდ დაიჭრა და „სცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ წყლულებისაგან, მოაოხრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოჴრეს, რომელი — იგი მუხნარით და არაგუსა ხერთვისსა იყო“.[12]

---

[11] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 202.
[12] იქვე, გვ. 212.

ამასთან ერთად, მუხრანის, როგორც მძლავრი ადმინისტრაციული ერთეულისა და მუხრანელთა დიდ დამსახურებად მიგვაჩნია, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე აქ ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი სიმტკიცის სტაბილურად შენარჩუნება და ის წვლილი, რომელიც მიუძღვის ქვეყნის გამთლიანების, მძიმე ჭრილობების მოშუშებისა და ზოგადად ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინებაში. ისე, რომ ყოველთვის და განსაკუთრებით XVI-XVII სს-ში, როდესაც სამუხრანბატონო — სამუხრანო, ქართლის ხუთ დიდებულ თავადთა მფლობელობაში იყო, მან უდაოდ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის აღორძინების საქმეში, რომელიც გეოგრაფიულად და პოლიტიკურად მის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა.

2. მუხრანის საბატონო ქართლის პოლიტიკურ მმართველობაში

ცნობილია, რომ ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო. VIII-IX სს. ამ პროცესს სხვა გარემოებებთან ერთად, უმთავრესად უშლიდა ხელს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ძლიერი პოლიტიკური ერთეულების არსებობა, რომელთაც ცალ-ცალკე გამაერთიანებლის პრეტენზია გააჩნდათ. ამ ორომტრიალში, ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ობიექტი გაერთიანებისათვის ბრძოლაში კი იყო ქართლი, — უფრო კონკრეტულად — შიდა ქართლი. აღნიშნული პერიოდისათვის სამეფოსამთავროთა ჩამოყალიბების შემდეგ, ბუნებრივად ყოველ პოლიტიკურ ერთეულს თავისი სტაბილური საზღვრები გააჩნდა, თუმცა ბრძოლის პროცესში ისინი მუდმივ ცვლილებებს განიცდიდნენ. მაგალითად, IX-X სს. კახეთის სამთავრო არაგვიდან დასავლეთით ქსნის ხეობამდე ჩათვლით ტერიტორიას ფლობდა. ისე, რომ „მტკვრის მარცხენა სანაპირო

მუხრანის ველიდან (მდ. ქსნიდან) ვიდრე ჯვარი-ავჭალამდე კახეთის სამთავროში შედიოდა (შესაძლებელია მცხეთის გამოკლებით)".[13]

XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან, ახლანდელი მცხეთის რაიონის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მეფის გვარეულობის — ბაგრატიონების შთამომავალ მუხრანბატონებს ეკუთვნოდა. პროფ. დ. გვრიტიშვილის აზრით: „სამუხრანბატონო უშუალოდ სამეფო მამულის სახასო ქონების გამონაყოფს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ესა თუ ის საამილახვრო თუ საერისთავო თავის დროზე საქვეყნოდ გამრიგე მოხელის სამოხელეო სარგო იყო და შემდეგში თანდათან გადაიქცა ამ მოხელის სამკვიდრო მამულად".[14] ისე, რომ მუხრაბატონების მამული წარმოადგენდა სახელმწიფო-სამემკვიდრეოს და არა ამა თუ იმ პიროვნებისადმი ნაბოძებ ნაწილს.

აღნიშნული საბატონოს ჩამოყალიბების პროცესი, როგორც ცნობილია 1512 წელია აღიარებული, რომლის პირველი მებატონე ქართლის მეფის — კონსტანტინე II შვილი ბაგრატი იყო, რომელიც ხშირად მეფეთაც იწოდებოდა. თუმცა ამ შტოს სამომავლოდ მეფეთა სახელი არ შერჩენიათ, თუმცა სხვა თავადებისაგან განსხვავებით მუხრანბატონობა შეინარჩუნეს. რაც შეეხება ბაგრატის (1616-1619) შემდეგ სამუხრაბატონოს, როგორც ადმინისტრაციულ ცენტრს, სხვადასხვა დროს, მისივე შთამომავლები: აშოთანი, ვახტანგი, თეიმურაზი და ქაიხოსრო განაგებდა. რამდენადაც როსტომ მეფეს (1638-1658) შვილი არ ჰყავდა, ამდენად მის მემკვიდრედ სპარსეთის შაჰმა თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი ვახტანგი დაამტკიცა. ისე, რომ ვახტანგ მეხუთით (1658-1675), ანუ შაჰ-ნავაზით, იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონობის შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე. ხოლო მასშემდეგ, როდესაც 1727 წ. რენეგატი იესე მუსტაფა გარდაიცვალა და მას ოსმალებმა მემკვიდრე

---

[13] დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები. გვ. 70-72.

[14] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 102.

არ დაუნიშნეს, მეფობა ქართლში გაუქმდა, ისაყ ფაშამ იგი ექვს მსხვილ სათავადოერთეულად დაჰყო და სამმართველოდ ამილახვარს, მუხრანბატონს, ქსნის ერისთავს, არაგვის ერისთავს, ციციშვილს და ყაფლანიშვილს ჩააბარა, რომელნიც პასუხისმგებლები იყვნენ ქართლის ფაშის წინაშე.

აღნიშნული პროცესი გრძელდებოდა 1735 წლის მიწურულამდე, მანამდე, სანამ ქართლ-კახეთის საერისთაო აჯანყებამ და ერანის შემოტევამ „ოსმალობას" საქართველოში დღე დაულია.[15] ისე, რომ ამ პერიოდისათვის, მუხრანელ სათავადოთა ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელი მუხრანი, რომელსაც, როგორც ითქვა XV-XVIII ს. 70-იან წლებამდე შიოსუბანი ერქვა. ხოლო რაც შეეხება მუხრანბატონების ბაგრატიონთა შტოს, რომელიც ქართლში სამეფო ტახტს განაგებდა, დასრულდა 1724 წელს. სხვადასხვა დროს, ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ არაერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, მეომარი, მწერალი და მეცნიერი (არჩილი, ლუარსაბ I, სიმონ I, გიორგი X, ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.). მუხრანბატონები ყოველთვის გამოირჩეოდნენ როგორც მეფის თავდადებული ერთგულობით, მათ შორის ერეკლე II-სადმი, რომელნიც მედგრად იბრძოდნენ ლეკებისა და სხვა მომხდურთა წინააღმდეგ. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველ თავადთა გარკვეული ნაწილი მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ლეკთა მოთარეშე რაზმებს ერთგულებდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდა ქსნის ერისთავი შანშე, რაც კარგად გამოიყენა ირანმა, რომელმაც აჯანყებულ შანშეს მეშვეობით თავადებს შორის დაპირისპირება გააღვივა და ამით მნიშვნელოვნად დაასუსტა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს თუნდაც 1739 წ. შანშეს მიერ ბარძიმ არაგვის ერისთავის სახლის მთლიანად ამოწყვეტა და ამილახვრისა და მუხრანბატონის დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩენა.

---

[15] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 186.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მემატიანე — ბერი ეგნატაშვილი, რომელიც XIV-XVII საუკუნეების მოვლენებს აგვიწერს, კერძოდ სიმონ I მეფის (1556-1600) მოღვაწეობას გვამცნობს, როდესაც იგი სპარსელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხდა, სადაც ლევან ბატონის ძე გიორგი მოკლეს და ალავერდში დაკრძალეს. „რა იხილა ძმამან მეფის სვიმონისაგან დავით საქმე და ესე დავით იყო კაცი უღმრთო, მოყუარე სოფლისა, მეძავი და მემრუშე ვითარმედ მამის სიკუდილშიაც ერივაო, მეფის ლუარსაბისაშიო და ამან განსცა ძმა და ქუეყანა თჳსი და წარვიდა ყაენთან გათათრდა და უწოდეს დაუთხან და მოვიდა დაუთხან ტფილისსა, და დაიპყრა ტფილისი“.[16] ამის შემდეგ, სვიმონ მეფემ შეჰყარა ჯარი და დაუთხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა მოხდა დიღომის მიდამოებში, სადაც სიმონ მეფემ სძლია და თბილისის შემოგარენი დაიკავა. ციხეში გამომწყვდეულმა დაუთხანმა დახმარებისთვის მიმართა სარდალ უსეინ ბეგთან ყარამანლუში, რომელიც ლაშქრით შევიდა თბილისის ციხეში, რის გამოც სიმონ მეფე უკუიქცა ტაბახმელისკენ. ეს ამბავი რომ დაუთხანმა შეიტყო „განლაღდა და განვიდა ბრძოლად ტაბახმელასა“. ამ ბრძოლაში სიმონ მეფემ გაიმარჯვა და თბილისის ციხესაც მიადგა, მაგრამ „რომელი მას თანაჰყვნეს ქართველნი, ხოლო მათ არა ინებეს მოსვლა მის თანა. და სცნა მეფემან სვიმონ სიმაგრე ციხისა და უკუ-ეცალა“. ამის შესახებ დაუთხანმა ამცნო შაჰ-თამაზსს „ჩერქეზს-შამხალს სულთანსა შაქისასა, რათა წავიდეს ლაშქრითა შაქელითა და ყარაბაღელსათა“. ბრძოლა მოხდა ფარცხისს, „ძლიერი, და მოსწყდეს ორგნითვე მრავალი. შეუტივა მეფემან სჳიმონ ყიზილბაშსა ერთსა და სცა ოროლი და მოკლა იგი. და შეუტივა სხუათა და განშორდა სპასა თჳსსა. მაშინ უთხრა კახბერ ყორღანაშვილმან ყიზილბაშთა, ვითარმედ მეფე სვიმონ განშორდა სპასა თჳსსა, და აცნობა. და რა სცნეს ყიზილბაშთა, შემოესჳენეს მეფესა სჳიმონს და შეიპყრეს მეფე სჳიმონ და ივლტოდეს სპანი ქართველთანი.[17] „ხოლო საჩინო ბარათაშვილი იყო სპასპეტი,

---

[16] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 367.
[17] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 369.

კაცი ყოვლის კეთილით შემკული და არა მორჩილი დაუთხანისა და არცა ყიზილბაშთა, სიყუარულისაკს სუიმონისა. ხოლო დღესა ერთსა მოვიდოდა კოჟრისაკენ და, რა მოვიდა ჭევის თავსა გულიყარისასა, მუნ კახაბერი ყორღანაშვილი შემოეყარა წინა, რომელმან უწინამძღურა ყიზილბაშთა და დააჭერინა მეფე სუიმონ და რა იცნა საჩინომ"კახაბერი ყორღანაშვილი, შეიპყრა და გარდააგდო კლდესა მას გულიყარისასა. და რა მიგორავდა ჩაღმა, იტყოდა თუთვე ლექსსა ამას: „ყორღან-ოღლი ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გარდაფრინდა".[18]

ხოლო მას შემდეგ, როდესაც შაჰ-თამაზი გარდაიცვალა და მის ადგილას დაჯდა მისი ძე ისმაილ-მირზა, მან გამოიყვანა სიმონ მეფე ალამუტის ციხიდან და თავისთან მიიყვანა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ყიზილბაშებმავე მოკლეს შაჰ-თამაზი და მის ადგილას უღონო და ბრმა ძმა შახუთაბანდა დაჯდა. ხონთქარმა დაიპყრო თავრიზი, ერევანი, განჯა და ყარაბაღი. „მაშინ დახუდა მანუჩარ ათაბაგსა ძე ქაიხოსრო და დედისიმედისა, — და ამას ესუა ცოლად დაჲ სუიმონ მეფისა, — და დახუდა ესე მანუჩარს ათაბაგი და დაესხა რომელსამე თარეშსა და ნაწყუედსა ჯარისასა, და მიმოსრა რაოდენიმე, და მერე ვეღარ დაუდგა და გარდმოვარდა ქართლს თავის სიდედრთანა სუიმონ მოვიდა ქართლსა და აიღო ციხე გორისა და დაიჭირა ქართლი და სომხითი, საბარათაშვილო და ლორე და ყოველნი სიმაგრენი, თუნიერ ციხეს გარდა შემდგომად ამისა გამოვიდა სარდალი ხვანთქრისა მაჰმად ფაშა, ჩამოვლო ზემო ქართლი, და აიღო გორის ციხე, და შეაყენნა მცველნი შინა; თუთ წარმოვიდა და მოვიდა მუხრანს. დახუდა მუნ მეფე სუმონ შეყრილი სპითა თუსითა. ეწეუნენ ურთიერთსა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღ'თით გაემარჯუა მეფესა სუიმონსს, და ფაშა ლტოლვილი წარვიდა და შეეხუეწა ქალაქს ციხეში" /ქართლის ცხოვრება, II, 371/.

მუხრანის ტერიტორიის სტრატეგიულობა გამოიხატა აგრეთვე დიდი მოურავის — გიორგი სააკაძის მიერ ქართლიდან ყიზილბაშთა

---

[18] იქვე, გვ. 369.

განდევნა-ამოწყვეტაშიც, როდესაც ქართველთა ლაშქარი სწორედ აქ იყო მოფარებული-ჩასაფრებული. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დიდ მოურავს ლოჭინის ხევში ნადირობისას ხელში ჩაუვარდა შაჰ-აბასის მიერ ქართლში მდგარი ყორჩიხა-ხანისადმი გაგზავნილი შიკრიკი ბარათით, რომელიც იტყობინებოდა: „რათა მოსწყვიტნო კახნი და აჰყარო ქართლი, მოკვეთე თავი მოურაუსაცა და წარმოგზავნე წინაშე ჩემსა“. „და რა წაიკითხა მოურუმან ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა. აღუჴდა სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა, შეწუხდა დიდად და ეძიებდა ღონესა რასმე. მას ჟამსა იყო ნუგზარ ერისთავი მოყუარე და მოყუასი მოურავისა. და ეპყრა ძესა მისსა ზურაბს ერისთაობა, და ცოლი ზურაბ ერისთავსა ისპაანს დარჩომოდა და შვილი პაატა მოურავსა მუნ ისპაანს დარჩომოდა. მაშინ მოურავმან უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდი ქართლს ნუ ამოვწყვეტთო, თორემ სულიც დაგუეკარგვისო და არც ჩუენ დაგუნდობენო; მრავლის ლიქნითა და სიტყუს რჩევითა და მრავლის ცდილობით დასთმო ზურაბ ცოლი თუსი და მოურავმან შვილი თუსი პაატა დასთმო“.[19]

ამის შემდეგ, ზურაბ ერისთავმა და დიდმა მოურავმა გაუგზავნეს კაცი გონიოში მდგომ თეიმურაზსს, რათა ჩამოსულიყო და კახეთში გაბატონებულიყო, ხოლო ქართლის გამგებლად კი დაადგინეს დავით მეფის ძის შვილიშვილი ქაიხოსრო, მუხრანისბატონი. ამ პერიოდში „თავი და უფროსი კაცი მოურავი იყო და ყოველნი ქართველნი მას მორჩილობდენ, რამეთუ თუთ ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწყებოდნენ და ყმურად მონობდენ მას“.[20] ამასთან ერთად, ზურაბ ერისთავი, რომელიც დიდი მოურავის გაზრდილი ყმაწვილობიდან, დაემძახლა თეიმურაზ ბატონს, რომელმაც თავისი ასული დარეჯანი მისცა ცოლად. დიდი მოურავის სიკვდილის შემდგომ, რომელიც მხლებლებთან ერთად ამოწყვიტეს, ცოცხლად მხოლოდ არზრუმში მყოფი მისი ცოლი და

---

[19] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 373, 405.
[20] იქვე, გვ. 407.

შვილი იორამი იქნა გადარჩენილი. „ხოლო ძენი მუხრანის ბატონის თეიმურაზისანი და ქაიხოსროსანი წარმოვიდნენ იმერეთიდამე და მოვიდნენ მუხრანს. რა სცნა ბატონმან თეიმურაზ I (კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1633 წწ.) ამათი მოსვლა მუხრანს, დაიწყო მტერობა და არა დაანებეს მუხრანი, და იყვნენ ერთის გლახაკის კაცისას ღარიბად და გლახაკობითა".[21]

ბერი ეგნატაშვილი როსტომ მეფის (1633-1658 წწ.) მოღვაწეობის შესახებ აღწერისას გვამცნობს: „მაშინ იყო ვინმე სააკაძე როსტომ, რომელი გაზრდილიყო ყაენის კარზედა. და იყო ესე სააკაძე როსტომ კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან. და მისცა მას სპასალარობა და გამოაყუნა ქართლსა ზედა და წარმოატანა თანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა ძე დაუთხანისა (1569-1578 წწ.) მისცა ყაენმან ქართლი და უწოდა როსტომ-ხან და წარმოუგზავნეს ორივე ზოგად როსტომ-ხან და როსტომ სპასალარი სააკაძე ..." ხოლო კახეთი მისცა სელიმ-ხანს მაშინ ბატონმან თეიმურაზ, სცნა რა საქმე ესე, შემოიყარა სპანი თჳსნი, მოვიდა და დადგა საფურცლეს. და მოუწოდა ბარათიანთა ცოლშვილიანად და მოასხა მუხრანსა და იყვნენ მუნ".[22] ამის შემდეგ, შეიტყვეს რა ბარათიანთა როსტომ მეფის ხუნანს მოსვლა, დაუტევეს ცოლშვილი წავიდნენ როსტომ მეფის კარზე, ხოლო შეიტყო რა თეიმურაზ ბატონმა ბარათიანთ წასვლის ამბავი ფრიად განრისხდა, მიატოვა მუხრანი და ცოლშვილით იმერეთს გადავიდა. ამის შემდეგ მუხრანი დაიკავა თეიმურაზის ძემ ვახტანგმა, რომელიც როსტომ მეფეს ეახლა. შეიტყვეს რა ყიზილბაშებმა თეიმურაზის წასვლის ამბავი, დაადევნეს მდევარი, მაგრამ მეფემ მოასწრო იმერეთში გადასვლა, თუმცა პერანგას მთის მიდამოებში თანმხლების გარკვეული ნაწილი ყიზილბაშთა მიერ ამოწყვეტილი ან ტყვედ იქნა წაყვანილი. ამის შემდეგ, ყიზილბაშებმა მოიყვანეს როსტომი ქართლის, ხოლო სელიმ-ხანი კახეთის მეფედ.

---

[21] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 413.
[22] იქვე, გვ. 417.

სწორეთ ამ პერიოდს უკავშირდება გორისა და სურამის ციხის გაახლება და შიგ თავიანთ მცველთა ჩაყენება. რაც შეეხება მუხრანბატონების, კერძოდ ბაგრატის ერთ-ერთ შტოს — შაჰნავაზად წოდებულ ვახტანგ V (1658-1675), ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: „როსტომ მეფისა, ლუარსაბის შვილი რომ მოუკუდა, მას უკან მუხრანის ბატონის ვახტანგისათვის მოეკიდნა ხელი და ეშვილებინა, და უყუარდა როსტომ მეფეს დიდად. და იყო საქმის ჭელგამომავალი, მჭნე და ახოვანი და გამარჯვებული. მას ჟამსა მოუძლიერდა როსტომ მეფეცა და არღარა ეძლო შემოვლო ქართლისა და მაშინ გააგზავნა ვახტანგ მუხრანის ბატონი ყაენთანა და მისწერა წიგნი ყაენსა. და უჯერებდა ყაენი დიდად როსტომ მეფესა და უშავნა ჯანიმინობა ქართლისა“. ვახტანგი ჩავიდა ყაენთან, რომელიც დიდი პატივით მიიღო და მაჰმადიანობის სჯულზე გადასვლა შესთავაზეს, რომელზეც მტკიცე უარი განუცხადა. მასზე ზეწოლის შედეგად საბოლოოდ იძულებული გახდა გათათრებულიყო და ამის შემდეგ ქართლში ჩამოსულიყო ჯანიშინის სტატუსით. ვახტანგი იყო „თესლი კონსტანტინე მეფისა: თუთ კონსტანტინედამ თავი მეოთხე, რამეთუ კონსტანტინემ შვა დავით მეფე, გიორგი, მეფე ალექსანდრე, ბაგრატ და მელქისედეკ კათალიკოზი. ამან მეფემენ დავით (1505-1525) მისცა მუხრანი ძმასა თჳსსა ბაგრატს. და ამან ბაგრატ შეიპყრა ავ-გიორგი (გიორგი II, 1511-1513) და ამან ბაგრატ შვა ვახტანგ, აშოთან, მამა მოწამის ქეთევან დედოფლის და დედისიმედისა, რომელი იყო ცოლი ათაბაგისა, არჩილ და ერეკლე. ხოლო სამნი ესე ძმანი უძეო ეგნენ, და ვახტანგ შვა თეიმურაზ და ქაიხსრო, გამგებელი ქართლისა, ხოლო თეიმურაზ შვა ვახტანგ, რომელსა სპარსთა უწოდეს შაჰნავაზ (ვახტანგ V 1658-1675) და კონსტანტინე“.[23]

იმ დროს, როდესაც შაჰ-სეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი ძე შაჰ-აბასი დაჯდა, დაუძლურებული როსტომ მეფეც გარდაიცვალა. „მას ჟამსა ეპყრა კახეთი მურთუზალ ყულიხანს და ზაალ ერისთავსა

[23] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 433.

— და მურთუზალ იმისის ზურგით იდგა როსტომ მეფეს ზაალი დაუდგინა კახეთის გამგებლად და ეპყრა ერწო-თიანეთი ხოლო ქართლსა განაგებდა ვახტანგ შაჰნავაზად წოდებული და ესე არიგებდა საქართველოსა".[24]

ამ პერიოდში, თათრებს ეპყრათ ფაქტობრივად კახეთი, ალავერდის ციხე-ბახტრიონი, სადაც ისინი ოჯახებით იყვნენ ჩასახლებულნი და ამდენად იგი ელის-თათრულ დასახელებად იყო განწირული, რომელსაც ყარაღაჯში მჯდომი მურთუზალი-ხანი განკარგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ მეფის ასული ზურაბ ერისთავის ძეს ზაალს ჰყავდა ცოლად, მაინც, „დიდად შურობდა და მტერი იყო საქართველოს გამგებლისა ვახტანგისა". ამიტომ, იგი განუდგა მეფეს და მტკიცეთ დამკვიდრდა არაგვის ხევში — დუშეთში, საიდანაც კახეთსაც განაგებდა. სწორედ ზაალ ერისთავის დამსახურებად ითვლება ბახტრიონის ციხის აღება და საერთოდ ამ რეგიონიდან თათრების განდევნა და ამოწყვეტა, რომელსაც მხარში ედგნენ ქსნის ერისთავები შალვა და ელიზბარი, „კახი სუფრაჯი" ბიძინა ჩოლოყაშვილი. ამის შემდეგ, შაჰ-აბასის დავალებით, არაგვის ერისთავს გიორგის, რომელსაც ცოლად ყავდა შაჰნავაზის და, მისმა შვილებმა ოთარმა, ედიშერმა, იესემ, პაპუამ და დათუნამ თავიანთი ბიძა ზაალ ერისთავი მუხანათურად მოკლეს თავისივე სახლში — დუშეთში. ხოლო მისი შვილები და ბიძინა ჩოლოყაშვილი ყაენს გაუგზავნეს, რომელთაც სჯულს შესწირეს თავი. ხოლო რაც შეეხება მოღალატე ოთარს, შაჰნავაზმა მას უბოძა ერისთაობა, საქართველოს მსაჯულობა ედიშერს, ხოლო ქსნის ერისთაობა იესეს.

ცნობილია, რომ XVI საუკუნის პირველ ნახევარში, აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ქვეყნიდან დამპყრობთა განდევნისა და მთლიანობის აღდგენისათვის, რასაც მოჰყვა ქართლ-კახეთის დროებით გაერთიანებაც. ამ პროცესებში კახეთის სამეფო სახლი ალექსანდრე პირველის ხელმძღვანელობით მშვიდობიანი პოლიტიკით ხასიათდება, თუმცა ადგილობრივ თავადთა გარკვეული ნაწილი მისი ქართლთან

---

[24] იქვე, გვ. 434.

ურთიერთობის საკითხში წინააღმდეგობრიობით გამოირჩეოდა. ამ მოძრაობას სათავეში ედგა სამეფო ტახტის დაუფლებისათვის შეპყრობილი მეფის უფროსი შვილი გიორგი, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, როდესაც შირვანში შაჰ ისმაილთან იქნა გაგზავნილი მისი უმცროსი ძმა დიმიტრი. ამის პასუხად, გიორგიმ მშვიდობიანი კურსის ნაცვლად, თავის მომხრეებთან ერთად თვითნებურად დაიწყო ქართლის აოხრება, რის გამოც ალექსანდრემ და დიმიტრიმ უფლისწულს მოსთხოვეს ქართლის წინააღმდეგ ლაშქრობაზე ხელის აღება. გაბოროტებულმა გიორგიმ ღალატით მამა-მეფე მოკლა, ხოლო ძმას — დიმიტრის თვალები დასთხარა და ოჯახთან ერთად კახეთიდან გააძევა. „დიმიტრი მოვიდა მცხეთას და სვეტს-ცხოველს შემოეხვეწა. და იყო რაოდენიმე ხანი. ამის მოქმედებისათვის ავ-გიორგი უწოდეს.[25]

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ავ-გიორგიმ დაიპყრო კახეთი, ქართლში მეფობდა დავით X (1505-1525 წწ.), რომელიც მშვიდობისმოყვარე და სათნო პიროვნება იყო. ამ პერიოდისათვის, ქართლის სამეფო კარზე შიდა დაპირისპირება სუფევდა, რაც გამოიხატა ძმებს შორის კახეთის მიმართ საკითხებში. კერძოდ, (1525) მეფის უმცროსმა ძმამ — ბაგრატმა მოითხოვა მიეცათ მისთვის საუფლისწულოდ მუხრანი და ამასთან დაენიშნათ იგი შიდა ქართლის სადროშოს სპასპეტად, რომელსაც იმით ხსნიდა, რომ ამ გზით ბოლოს მოუღებდა ავ-გიორგის დამპყრობლურ პოლიტიკას. ამ მოთხოვნას იძულებით დასთანხმდა დავით მეფე, რის შედეგადაც, ბაგრატმა, მუხრანი აქცია ციხესიმაგრედ და საცხოვრებლადაც იქ დასახლდა. ისე, რომ ქართლის შუაგულში შეიქმნა საკმაოდ მძლავრი, ახალი სათავადოსამუხრანბატონო, რომელიც სხვათა განსაკუთრებით აღმოცენდა უშუალოდ სამეფო მამულისაგან გამოყოფის გზით.[26] აღნიშნული გარემოება კი თავისთავად მიანიშნებდა ცენტარლური ხელისუფლების სისუსტეზე.

---

[25] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 488.
[26] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 350.

მემატიანე ბერი ეგნატაშვილი, დავით მეფის შესახებ აღნიშნავს: „ხოლო იყო მეფე ქართლისა დავით, და ამის ჟამში იყო კათალიკოზი დოროთეოსი, და იყო ესე დავით კაცი — მობიერი, მშჯიდი და მოშიში ღმრთისა. და აღდგა ავ-გიორგი დავითზედა და ვერღარა დაუდგა დავ-ით და თუთ მეფე დავით შეამწყტვდია ციხესა ატენისასა, მრავალდღე ბრძოდა, და ვერ წაუღო ციხე და მიიქცა თუსდავე ადგილსა.“[27]

სამეფო კარზე დაძაბულობა სუფევდა. ავ-გიორგი თავისას არ იშლიდა და სისტემატურად ქართლის სოფლების რბევა-აწიოკებას არ იშლიდა. ამიტომ, ერთ-ერთი ასეთი დარბევიდან დაბრუნებისას (1513 წ.), როდესაც ნადავლით დატვირთული ლაშქარი წინ გაუშვა და მცირე რაზმით უკან გაჰყვა და ნადირობით ერთობოდა, ბაგრატ მუხრანბატონი ჩაუსაფრდა ძალისის ხევში და ტყვედ ჩაიგდო. იმავე წელს კი იგი ციხეში იქნა მოკლული. აღნიშნულმა მოვლენებმა გა-ნაპირობა კახეთის სამეფოს გაუქმება და ქართლის სამეფოსათვის შეერთება (1513-1518 წწ.), რომელსაც ბოლო მოუღო საგარეო საქმეთა გართულებამ, მათ შორის ოსმალეთსა და სეფიანთა სახელმწიფოს შორის გაჩაღებულმა ომმა ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს დამორჩილებისათვის. როგორც ცნობილია, მეფე დავითს ჰყავდა ძმა — გიორგი, ალექსანდრე და მელიქსედეკ მონაზონი, ხოლო კათოლიკოზად იჯდა დოროთეოს. ამ დროისათვის, ავ-გიორგი გალაღებულად გრძნობ-და თავს, რამდენადაც თვით მეფე დავითი ატენის ციხეში ჰყავდა გამ-ომწყვდეული. „ხოლო ვინათგან არა უსმინა, მაშინ სთხუა უმრწყმესმან ძმამან მისმან ბაგრატ მეფესა და დავითს მუხრანი საუფლისწულოდ და დროშა, და დარაჯად გამოითხოა ერისთავი ქსნისა და ჭეობა არაგუსა. ხოლო მეფემან დავით მისცა და ესრეთ წამოემართა და მოვიდა მუხრანს ციხე მტუერისი, რომელ არს ციხის-ძირის თავსა, და დადგა მუნ“.

როდესაც ავ-გიორგიმ შეიტყო აღნიშნული ამბავი, იგი მიადგა ციხეს და სამი თვე ჰყავდა ალყაში, თუმცა მისი აღება ვერ შესძლო.

---

[27] იქვე, გვ. 350.

ამასთან დაკავშირებით, მატიანე იტყობინება, რომ მან ციხიკურად ერთი საღვინე ღვინო „მოუმცნო ესრეთ ბაგრატს: ვინაიდგან ესეოდენი ჟამი არს ციხესა მაგას შინა შეწყუდეულ ხარ და არა ჯერ არს მისა მეფისა შეჭირვება უღუნობითა და შეიძღვენ ღუნო ესე და სუ ამისგან ნუგეშინის საცემლად შენდა, რამეთუ პური და ღუნო ახარებს გულსა კაცისასა".[28]

შეიტყო რა აღნიშნული ძღვენის ამბავი, ბაგრატმა ციხიდან სანაცვლოდ ცოცხალი ორაგული გაუგზავნა და შეუთვალა: „ეგეოდენი ჟამი არს, ვინაითგან მდგომარე ხარ პირსა ზედა ქსნისასა და არა მოგსლიეიან ორაგული და ესრეთ სიმტკიცით არს ცხოვრება ჩუენი. აწ მიირთვი ესე, და ამით საცნაურ არს, რომელ ვერ ძალ-გიძს აღება ციხისა ამის".[29]

მიართვეს რა ორაგული ავ-გიორგის და „სცნა სიმრავლე საზრდელთა და სიმტკიცე ციხისა", მაშინ აიყარა და სახლში დაბრუნდა, ხოლო მუხრანის მპყრობელმა ბაგრატმა შემოიკრიბა მცირე რაზმი და გაემგზავრა ძალისისა და ჭაპურს შუა ხეობაში, სადაც ავ-გიორგის ლაშქარმა შეიპყრო ბაგრატი. თუმცა უმალვე დახსნილი იქნა ბაგრატ მეფე და დატყვეებული ავ-გიორგი მტკვრის ციხეში გამოკეტეს, სადაც იგი მალე გარდაიცვალა კიდეც.

ამის შემდეგ, ბაგრატმა ამცნო რა აღნიშნული ამბავი, თავის ძმას მეფე დავითს, იგი მაინც შეწუხდა და მცეხთაში მთავარანგელოზის ეკლესიაში დამარხეს, რომელსაც დარჩა ყრმა, ძე ლევანი (1518-1574). ამ პერიოდისათვის, დავით მეფის ძმა გიორგი გახდა მონაზონი, რომელსაც უწოდეს სახელად გერასიმე: „და ბაგრატცა, ძმას მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა, და უწოდეს სახელად ბარნაბე. ამასთან, როდესაც მუხრანის მპყრობელი ბაგრატი მონაზნოდ აღიკვეცა, მას ყავდა ოთხი შვილი: ერეკლე, არჩილი, აშოთანი და ვახტანგი. ამ დროს ქართლში მეფობდა ლუარსაბი (ლუარსაბ I, 1527-1556).

---

[28] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 488.
[29] იქვე, გვ. 489.

დავით მეფის ძე ლუარსაბი იყო მხნე, ახოვანი, შემართებული, უშიში, მორწმუნე, ღვთისმოყვარე, სამხედროთ სრული და ძლიერი. ბერი ეგნატაშვილი გვამცნობს: „ჟამსა ამას მონაზონ იქმნა მეფე ქართლისა გიორგი, და არა დარჩა ძე თჳსი, და მისცა მეფობა ძმისწულსა თჳსსა ლუარსაბს, კაცსა ღრმთის-მოყუარესა, მტერთა ურჯულოთა მომსვრელსა და წყობათა შინა უშიშსა, ქრისტეს აქათ ჩ-ფმშ.

და ჟამსა ამას მონაზონ იქმნა ბაგრატცა, მპყრობელი მუხრანისა, და დარჩა ძე: ვახტანგ, ერეკლე, არჩილ და აშოთან.

და იპყრა ქუეყანა ქართლისა ლუარსაბ. მას ჟამსა იყო კათალიკოზი გერმანე, ტფილელი დომენტი, მროველი გედევან".[30]

მეფე ლუარსაბის წინა პერიოდში, სამეფო სახლის შიგნით შინაური ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც გამოიხატებოდა მეფის ძმებს შორის დაპირისპირებაში, რომელიც 1524 წ. დავით X იძულებით გადადგომით და ბერად შედგომით დამთავრდა. მემკვიდრეობის შესაბამისად, ტახტი უნდა დაეკავებინა მის შვილს ლუარსაბს, მაგრამ, როგორც ცნობილია, მეფობა ხელთიგდო მისმა ბიძამ გიორგიმ. ამ გარემოებას ლუარსაბი ბუნებრივია არ შეეგუებოდა, რისთვისაც იგი კავშირს ამყარებს იმერეთის მეფე ბაგრატთან და 1526 წ. ცოლად ირთავს იმერეთის მეფის ასულს თამარს, რომელიც ქართლის ტახტის განმტკიცებაში დაეხმარა.

მემატიანე იტყობინება, რომ ლუარსაბს ბრძოლისას ჩვეულებად ჰქონდა ტაქტიკა, რომ მის წინააღმდეგ რაც უნდა მტრის დიდი ჯარი ყოფილიყო, იგი პირდაპირ შეებრძოლებოდა, ხოლო თუ მას ერთობ მცირე ჯარი ახლდა, მაშინ ის ცალცალკე პატარა რაზმებით ებრძოდა და მტრის ფლანგებს ანადგურებდა. ერთ-ერთ ასეთ საბედისწერო ბრძოლას აღწერს ბერი ეგნატაშვილი, როემლიც მოგვითხრობს: „და იხილა მეფემან ლუარსაბ მაჰმად სულთანი. მაშინ შუბი გატეხილი ჰქონდა მეფესა ლუარსაბს და ყოველი საბრძოლო იარაღი დაემტვრია, შეუტია ცხენითა და შეაძგერა ცხენი მაჰმად სულთანსა და ქუე დაახ-

---

[30] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 355.

ეთქა ცხენ-კაციოთურთ. შემდგომად ამისა სხუასა შეუტივა და გზასა ზედა შეხუდა თხრილი რამე და ჩავარდა ცხენის ფეხი დანახეთქსა მიწისასა და წაექცა ცხენი მეფესა ლუარსაბს. მოუხდა ყიზილბაში ერთი, რომელსა ერქვა ზაქირ, და სცა მახჯლი და სწყლა სასიკუდინოდ მეფე ლუარსაბ, და შეჯდა თჳთ მეფის ლუარსაბის ცხენსა და იელტოდა. მაშინ დეენა დაუწყეს ქართველთა და მიეწივნენ; და მოკლეს იგიცა და სულთან მაჰმადცა და, რაოდენნიცა იხილეს ყიზილბაშნი, მოსრნეს პირითა მახჯლისათა".[31] ისე, როგორც ყოველთვის, ამ ბრძოლაში, „ესხნეს მეფესა ლუარსაბს სამ ძე: სჳმონ, დავით და ვახტანგ". და როდესაც შეიტყო მამის ამბავი, სიმონმა, რომელიც „სდევდა ყიზილბაშთა და სრვიდა ხოლო ყიზილბაშნი წარვიდნენ განძას", ლუარსაბი რამოდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა „მოწამე, მსგავსი ვახტანგ გორგასალისა რამეთუ ესე ლუარსაბ იყო კაცი ბრძენი და გონიერი, მოშიში ღმრთისა და მორწმუნე სჯულიერად, ღვაწლ-მრავალი და ბრძოლასა შინა მჭნე და ახოჳანი და ბრძოლი, ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი პატიოსანი გუამი მისი და დაფლეს სამარხისა მისსა მცხეთას ღვთივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა".[32]

მუხრანის პოლიტიკური მდგომარეობა კვლავინდებურად ითვლებოდა და განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მაორგანიზებელ ძალას. XVII საუკუნის დასაწყისისათვის, როგორც მთლიანად ამიერკავკასიაში, საქართველოშიც ოსმალეთი ბატონობდა, რომლის დამოკიდებულება საქართველოს სამეფო-სამთავროებისადმი არ იყო ერთგვაროვანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მთავარ ციხეებში (თბილისი, გორი, დმანისი, ლორე) ოსმალთა გარნიზონები იდგნენ, როგორც ცნობილია, ქართლი ქედს არ იდრეკდა და მათ წინააღმდეგ გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდა. კონკრეტულ ვითარებაში, კერძოდ, როდესაც სიმონ I იქნა დატყვევებული (1600 წ.), მტრის წინააღმდეგ ბრძოლას მისი

---

[31] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 366.
[32] იქვე, გვ. 366.

მემკვიდრე მეფე გიორგი X (1600-1605) ხელმძღვანელობდა. ამ დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო, სადაც ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ მათ წესწყობილებას, ძალით ამაჰმადიანებდნენ მოსახლეობას და სხვ. ამავდროულად, კახეთის სამეფო (XVI ს. ბოლოსთვის) ფაქტიურად სამი დიდი სახელმწიფოს: ირანი, ოსმალეთი, რუსეთის ვასალად იქცა, რომელმაც ერთხანს მშვიდობიანობა შეინარჩუნა კიდეც. თუმცა სულ მალე, ეს გარემოება იქცა სამეფო სახლისა და ქვეყნის ტრაგედიის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. ამიერკავკასიაში საგრძნობლად შეიცვალა სიტუაცია მას შემდეგ, როდესაც შაჰ-აბასმა (1603 წ.) ომი გამოუცხადა ოსმალეთს. შაჰ-აბასმა (1587-1629) ჩამოაყალიბა მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელმაც ყიზილბაშთა სამოციათასიანი ლაშქარი ოცდაათიათასამდე შეამცირა და იგი თოფებითა და ზარბაზნებით აღიჭურვა. ამ კარგად გაწვრთნილი მუდმივი ჯარის შემადგენლობაში შედიოდა ღულამთა ათიათასიანი ცხენოსანთა კორპუსი, რომელიც შაჰის გვარდიას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ეს კორპუსი ირანში აღზრდილი და ძალით გამაჰმადიანებული ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისგან იყო დაკომპლექტებული. სწორედ ღულამთა რიგებიდან გამოვიდა ირანის ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, როგორიც იყო ალავერდი ხანი — წარმოშობით გვარად უნდილაძე, ხოლო ყარჩიღა მუჰამედ ხანი წარმოშობით სომეხი.. შაჰ-აბაზი ფხიზლად ადევნებდა თვალს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებას და მის წარუმატებლობაში გადამწყვეტ როლსაც ასრულებდა. ამ ხანებში ქართლის მეფე გიორგი გარდაიცვალა და დიდებულთა ერთი ჯგუფის თხოვნით შაჰმა მეფედ 1606 წ. გიორგის ძე 14 წლის ლუარსაბ II დაამტკიცა.

1609 წ. ივნისში, ქართლში ოსმალთა მრავალათასიანი არმია შემოიჭრა, სადაც ორიათასი ყირიმელი თათარიც ერია. ქართლში უეცრად შემოჭრილი ოსმალთა არმია, რომელიც საყარაულო რაზმებმა გვიან შენიშნეს, იარალისა და ზაქარიას მეთაურობით მიემართებოდა მცირე ამალით ცხირეთში მდგარ ლუარსაბისაკენ, სადაც სოფ. კველე-

თას მღვდელმა თევდორემ, როგორც მეგზურმა, მტერს გზა აუბნია და ამით ლუარსაბი განსაცდელისგან იხსნა. ეს ის მოვლენაა, როდესაც მეფესთან ერთად იმყოფებოდა თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და სარდალი ზაზა ციციშვილი. სწორედ მათ შესძლეს ჯარის სასწრაფოდ შეგროვება და სხერტის ჭალაზე სოფ. ნიაბთან შეებრძოლება. გადამწყვეტი ბრძოლა სოფ. ტაშისკართან მოხდა, რომელიც გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე გაგრძელდა და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

შემდგომში, სააკაძის მიმართ მოწყობილი ცნობილი შეთქმულების გამო, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ლუარსაბ მეფის მიერ მისი დის ცოლად შერთვა და გადედოფლება გახდა, შინაკლასობრივმა ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. სააკაძის მომხრეები დიდ ფეოდალთა წრიდან იყვნენ: ნუგზარ არაგვის ერისთავი და თეიმურაზ მუხრანბატონი, იესე ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ბააკა ხერხეულიძე და სხვ. ერთხანს მისი მომხრეები იყვნენ აგრეთვე ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილებიც. ტაშისკარის გმირული ბრძოლის შემდგომ, კერძოდ, 1612 წ. 20 მაისს, სააკაძის წინაარმდეგ მოწყობილი შეთქმულების გამომჟღავნების წყალობით, მან სამშობლო დატოვა და თავი შაჰ აბასს შეაფარა.

რაც შეეხებოდა ირანის იმჟამინდელ მდგომარეობას, როგორც ცნობილია, ოსმალეთთან ომი (1612 წ.) წარმატებით დაამთავრა და ამის შემდეგ შაჰმა საქართველოსათვისაც მოიცალა და იმის სურვილით, რომ ქართლ-კახეთი მხოლოდ ვასალური მდგომარეობიდან სრულ მფლობელობაში ყოფილიყო, იწყო მათ საშინაო საქმეებში ჩარევა და ამ სამეფოების საბოლოო განადგურებისათვის მზადება. აღნიშნულის საბაბი კი იყო ქართლ-კახეთში ანტიირანული ორიენტაციის ჯგუფის გამარჯვება, რომელიც გამოიხატა თეიმურაზისა და ლუარსაბს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, რითაც ისინი უარს ამბობდნენ ირანის შაჰის ვასალობაზე.[33]

---

[33] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 260, 362.

1613 წ. 16 ოქტომბერს, შაჰ აბასი დიდი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა ვითომ ოსმალების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. 1614 წ. გაზაფხულზე იგი კახეთში შეიჭრა და თეიმურაზისგან მძევლები, მისი შვილები ალექსანდრე, ლევანი და მეუღლე ქეთევან დედოფალი წაიყვანა. პირველი შებრძოლება შაჰ აბასსა და თეიმურაზს შორის ჟალეთთან ამ უკანასკნელის ჯარის უკანდახევით და ერწო-არაგვის გზით მუხრანში გადასვლით დამთავრდა, სადაც ამალითა და მცირე ჯარით ელოდებოდა ქართლის მეფე ლუარსაბი.

1616 წ. შაჰ აბასმა კახეთი ააოხრა. სწორედ ამ ხანებში მას ცნობა მოუვიდა რომ ოსმალეთის არმია ირანში შესაჭრელად ემზადებოდა და იგი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და მხოლოდ გარნიზონი დაეტოვა. ამით ისარგებლეს კახელებმა და იწყეს ციხე-სიმაგრეების აღდგენა. ამის შესახებ შეიტყო რა შაჰ აბასმა, კახეთს დიდი ლაშქარით თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში გამოაგზავნა. ისე, რომ შაჰ აბასის ოთხი შემოჭრის დროს (1614-1617), კახეთმა უდიდესი ზარალი ნახა, საიდანაც ორი-სამი ათასი ოჯახი ფეროჰაბადში დაასახლა.[34] ამასთან, აღსანიშნავია, რომ შემდგომში, ყულის ჯარში საკმაოდ დიდი უმრავლესობა ქართველთა მხედრიონიდან შედგებოდა.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, მოხდა ის დიდი ბრძოლა, რომელიც ისტორიაში მარაბდის სახელით და ბაზალეთის ტრაგედიითაა ცნობილი. აღნიშნული მოვლენები კი მოკლედ ასე განვითარდა; 1619 წელს შაჰ აბასმა, ქართლის მმართველად ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი, მუსლიმანი სიმონი დანიშნა, რომელიც ირანის მოხელე — ხანი იყო; თუმცა ქართულ წყაროებში სიმონი მეფედ იხსენიება. სწორედ ამ მცირეწლოვანის „ვექილად და ხელმძღვანელად დანიშნა მოურავ-ბეგი" — სააკაძე.[35]

---

[34] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 272. (ისქანდერ მუნშის ცნობები).

[35] იქვე, გვ. 274.

როგორც ჩანს, გიორგი სააკაძეს ცნობილი აჯანყებისათვის მზადება ირანშივე გადაუწყვეტია და იგი არაგვის ერისთავის ზურაბისათვისაც გაუნდვია. 1625 წლის ადრე გაზაფხულზე ირანის ჯარი ქართლში შემოვიდა. ყარჩიხა-ხანი მუხრანს მივიდა და აღაიანის ველზე დაბინავდა. ყარჩიხა-ხანმა, სააკაძის რჩევით, თავისი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი კახეთის სხვადასხვა რეგიონებში გაგზავნა, რითაც ყიზილბაშთა ძალები დაიქსაქსა და ხელი შეეწყო მთავარი ძალის განადგურებას. მტრის ბანაკში სააკაძესთან ერთად იმყოფებოდა ოთხი მისი თანამებრძოლი: მისი ვაჟი ავთანდილი, თავადიშვილები — ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე და გიორგის განუყრელი მხლებელი პაპუნა ვაშაყაშვილი. 1625 წ. 25 მარტს გარიჟრაჟზე, ხარება დღეს მარტყოფის ველზე დაბანაკებული მტრის 30 ათასამდე ჯარიდან სამი ათასამდემ გაქცევით უშველა თავს.[36]

ამ მარცხის შემდეგ, შაჰ აბასმა უზარმაზარი ჯარი თავისი სიძის ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოისტუმრა, რასაც ქართველები ელოდნენ კიდეც და 20 ათასიანი ჯარით კოჯორტაბახმელას მიდამოებში იყვნენ დაბანაკებული. ბრძოლის წინ სამხედრო თათბირზე აზრი ორად გაიყო: სააკაძის გონივრულ რჩევას, რომ დაეცადათ მანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე კოჯორტაბახმელას ვიწროებში მხოლოდ ბაადურ ციციშვილი მიემხრო, დანარჩენებმა ბრძოლის დაწყება განიზრახეს და მარაბდის გაშლილ ველზე (სიცხეში, 1625 წ. 1 ივლისს) საბრძოლველად დაეშვა, რომელსაც თეიმურაზ მეფე სარდლობდა, ხოლო სააკაძე ომის წარმოებას ფაქტობრივად გამოეთიშა. ქართველთა თავგანწირულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ომი თითქმის მოგებული იყო, როცა საბედისწერო შეცდომის შედეგად ქართველთა ერთი დიდი რაზმი გაქცეულ მტერს გამოედევნა და ბრძოლის ველს გასცილდა, ამ დროს ყიზილბაშთა ჯარი ახალი ძალებით შეივსო, რასაც ქართველთა ჯარმა ვეღარ გაუძლო და დამარცხდა. ამ ბრძოლას ისქანდერ მუნშის

---

[36] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 270.

ცნობით, ათი ათასამდე ქართველი მეომარი შეეწირა, ხოლო ყიზილბაშთა მხრიდან თოთხმეტი ათასი. დაღუპულთა შორის იყვნენ გმირი სარდლები: დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრან ბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვ.

მართალია, ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ. მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა ბრძოლები. მტერი შიდა ქართლში შეჭრას ჩქარობდა, რომელსაც გიორგი სააკაძე პატარ-პატარა რაზმებით მუსრს ავლებდა. ისა-ხან ყორჩიბაშის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი 12 ათასიან რაზმს ქართველები მედგარ წინააღმდეგობებს უწევდნენ და ვიწროებში (თერგის ხეობაში) სასტიკად დაამარცხეს შაჰბენდე-ხანის რაზმები, ხოლო ხოსრო-მირზამ მოახერხა ალყის გარღვევა და მცირე რაზმით თბილისს მიაშურა. ამით ქართველებმა გააქარწყლეს ის უპირატესობა, რაც ყიზილბაშებმა მარაბდის ბრძოლით მოიპოვეს. ყიზილბაშებს (ირანელებს) ძალა აღარ შესწევდა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებისათვის და მიმართეს ქართლის მოღალატე თავადების მოსყიდვას. ამ გზით გადაიბირეს ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი, რომელიც მარტყოფის აჯანყებისას მარაბდის ომში სააკაძის გვერდიგვერდ იბრძოდა და რომელმაც ამ გადამწყვეტ ჟამს ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი ციხე — ბირთვისი, — ყიზილბაშებს გადასცა. ისე, რომ ამ და სხვა მოღალატე მღვდელმთავართა გამო სააკაძე იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა და სამცხეში გადავიდა. ისე, რომ 1625 წ. ზაფხულის ბოლოს სააკაძე რჩეული რაზმით სამცხეში ჩავიდა, რომლის მიზანსაც ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება იყო. ერთი ასეთი ბრძოლა ასპინძის მისადგომებთან ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ერთხანს გიორგი სააკაძე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც დიდი პატივით მიიღეს და დახმარებაც აღუთქვეს. 1626 წელს იგი ისევ ქართლში გადმოვიდა და თეიმურაზთან ერთად ქართლ-კახეთის ციხეებიდან ყიზილბაშთა განდევნა

დაიწყო. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანებაზე ოცნებობდა, თუმცა მას ეს განზრახვა არ დასცალდა, მისი ასეთი განდიდება პირველ რიგში არ მოსწონდა პატივმოყვარე თეიმურაზს და დიდ ჭირვარამ გამოვლილი მეფე ეჭვებმა შეიპყრო, რითაც ისარგებლეს სააკაძის მოწინააღმდეგე დიდგვაროვნებმა და შესძლეს მათ შორის შუღლის ჩამოგდება, მწიფდებოდა ძმათაშორის ომი

როგორც არჩილ მეფე წერს: „მოურავმა იმერელთ მეფეს გიორგის შვილი სთხოვა ქართლს საბატონოდ“ და თუ გიორგი თეიმურაზზე გაიმარჯვებდა, მაშინ ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფეც და იმერეთის ტახტის მემკვიდრეც იქნებოდა, რითაც საქართველო გაერთიანდებოდა კიდეც და გამდგარ სამთავროებსაც შეიერთებდნენ.[37]

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მეფემ სააკაძეს დამხმარე ჯარი გამოუგზავნა და ამასთან, მის მხარეზე იყო ქართლის გამგებელი ქაიხოსრო მუხრანბატონი და იესე ქსნის ერისთავი, აგრეთვე სამეფო აზნაურების მნიშვნელოვანი ნაწილი, თეიმურაზს მიემხრნენ ქართლის ისეთი ორი უძლიერესი ფეოდალი როგორიც იყო ზურაბ არაგვის ერისთავი და იოთამ ამილახვარი, რომელთაც ბრძოლის ბედი ამ უკანასკნელთა მოქმედებამ გადაწყვიტა. ისე, რომ ბაზალეთის ეს ბრძოლა ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა და იგი ისტორიაში შევიდა როგორც ქართველი ხალხის ტრაგედია. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, სააკაძე იძულებული გახდა ოჯახი მახლობლებთან ერთად (ქაიხოსრო მუხრანბატონი, იესე ერისთავი და სხვ.), ჯერ სამცეხში და შემდეგ კი ოსმალეთში გადახვეწილიყო, სადაც 1629 წელს მისი ვაჟი და ორმოცამდე მხლებელი სიკვდილით იქნენ დასჯილი.

როგორც ცნობილია, 1724 წ. ივნისში კონსტანტინოპოლში დადებული ზავით, პეტრე პირველის რუსეთმა კასპიის ზღვის სანაპიროები მიიღო, ხოლო ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ოსმალეთს

---

[37] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 290.

„დაუთმო“. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხალხების ოცნება ირანის ბატონობისგან განთავისუფლების შესახებ ოცნებად დარჩა, რამდენადაც ისინი ამიერიდან უფრო უარესი მოძალადის უღელქვეშ აღმოჩნდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის ხალხები თავისუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ. ამის ერთ-ერთი ნიმუშია ვახტანგ მეექვსეს შვილის ბაქარის მეთაურობით ქართველთა ლაშქრის მიერ თრიალეთში 500 ოსმალოს ამოწყვიტა. სამწუხაროდ, ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს ქართლში დაუპირისპირდა ვახტანგისავე ძმა – რენეგატი იესე, რომელმაც მაჰმადიანობა მიიღო და ყოველივე ამის სანაცვლოდ „მეფობა“ უბოძეს.

თრიალეთში დამარცხების შემდეგ, ქართლში ოსმალებმა იასესთან ერთად დამსჯელი ექსპედიციები მოაწყვეს. „ვერ წინაღუდგა ბაქარ, არამედ შევიდა მთათა შინა, ხოლო ოსმალნი მოვიდნენ გორს, მოარბიეს გარემონი, დაიპყრეს გორი, უკუქცეულთა შთავლეს საამილახორო, მუხრანი და მოვიდნენ ტფილისს. შემდგომად კვალად წინაძღოლითა იესესითა მოვიდნენ ქცხინვალს, მოსწვეს და მოსტყვევნეს ოსმალთა და წარვიდნენ“.[38]

ქართლის მმართველობის სისტემაში ოსმალებმა ადმინისტრაციული ცვლილება განახორციელეს, რაც იესეს გარდაცვალების (1727 წ.) შემდეგ მოხდა. ამ მიზნით ქართლი დაიყო ექვს ნაწილად, რომელთა სათავეში ქართველი ფეოდალები დააყენეს: სომხითსაბარათიანო-ერასტი ყაფლანიშვილს, ზემო ქართლი – გივი ამილახვარს, მუხრანი – მუხრანბატონს, მტკვრის მარჯვენა ნაპირი – მცხეთას ზევით – ბაგრატ ციციშვილს, ხოლო არაგვისა და ქსნის საერისთაოები – ძველ ერისთავებს, რომლებიც ოსმალეთის სამსახურში მყოფი პირები იყვნენ.[39]

მოსახლეობის სრულყოფილად დამორჩილებისა და დასაშინებლად, ოსმალები ყოველგვარ მეთოდებს იყენებდნენ და მათ სასტი-

---

[38] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 1854. გვ. 87.

[39] იქვე, გვ. 436.

კად უსწორდებოდნენ. ასეთ ვითარებაში, მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა წინ აღდგომოდა ოსმალ დამპყრობლებს და სისტემატურ გამოსვლებს, აჯანყებებს მიმართავდა. ამ მძიმე ვითარებას ისიც ემატებოდა, რომ გააქტიურებული დაღესტნელი ფეოდალები ქართველი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯაში თავიანთ მოკავშირეებს — ოსმალო დამპყრობლებს ეცილებოდნენ. ვახუშტის სიტყვით: „არღა-რა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითისაც“-ო.

თანდათან მწიფდებოდა ნიადაგი ქართლ-კახეთის ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. ამ მხრივ ფრიადსაყურადღებო მოვლენები განვითარდა XVIII ს. 30-40-იანი წლების გასაყარზე, როდესაც ზოგადად, ახლოაღმოსავლეთში შექმნილი ვითარების პერიოდში, სამომავლოდ, განვითარების როგორ კურსს აირჩევდა ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველო იყო. სწორედ ამ რთულ ვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თეიმურაზ მეორის მოღვაწეობას და მის გონივრულ მოქმედებას, რომელიც 1732-1744 წწ. კახეთში და 1744-1762 წლებში ქართლში მეფობდა.

თეიმურაზ მეორის მოღავწეობის შეფასებისთვის საგარეო საკითხებში მეტყველებს თუნდაც მისი ბიოგრაფიული მონაცემები. იგი, როგორც ნიჭიერი დიპლომატი სრულებითაც არ ფიქრობდა პირადი ცხოვრება და ქვეყნის ბედი მომხდურთათვის შეეწირა. ამიტომ, იგი სხვადასხვა დროს ნადირ-შაჰის ოპოზიციურ ბანაკში ყოფილა, ირანშიც მრისხანე დამპყრობელსაც სწვევია და მისი ძალებიც გონივრულად გამოუყენებია, ხოლო ნადირის სახელმწიფოს დამხობის შემდეგ მეფის რუსეთთანაც შესაბამისი ურთიერთობის დამყარებაც არ დავიწყებია.

ცნობილია, რომ თეიმურაზმა და მისმა მეუღლემ თამარმა, ასული ქეთევანი, ნადირის ძმისშვილს — ალი ყული-ხანს მიათხოვეს, ხოლო ტახტის მემკვიდრე ერეკლე, ნადირისავე მოთხოვნით, შაჰთან დარჩა და ინდოეთს ლაშქრობაში ეხმარებოდა. რაც შეეხება მამაშვილის გამეფებას ქართლ-კახეთში, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის ამ ერთობ რთულ გზაზე. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ერეკლე მეორის კახეთში მეფედ დამკვიდრებისას (1744-1745 წწ.) ახალი ერა იწყება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ნადირ შაჰმა კარგად იცოდა ერეკლე მეორის ბრძოლისუნარიანობა და ნიჭი. 1747 წ. ივნისში ნადირ შაჰი შეთქმულებმა მოკლეს და ირანს გამგზავრებულ თეიმურაზს მისი ძმისშვილი ალი ყული-ხანი დახვდა, რომელიც შვილის — ქეთევანის მეუღლე იყო.

თეიმურაზმა ირანში გამგზავრების წინ ქართლის გამგებლობა ერეკლესა და იესეს ძე აბდულა-ბეგს ჩააბარა, რამდენადაც თითქოს „მეფე ერეკლე მუდამ ქართლისთვის ვერ მოიცლის"-ო.

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზის მეუღლე თამარი, ვახტანგ VI-ის ასული იყო, მას მაინც ქართლის ტახტზე სუსტი „უფლებები" გააჩნდა. ამასთან, რამდენადაც ვახტანგის ძმა იესე, ვახტანგის ირანში ყოფნის დროს მეფედ იყო, მას ვაჟიშვილები — მემკვიდრეები ჰყავდა. ამათგან რაკი ბაქარი რუსეთს იმყოფებოდა, მემკვიდრეობა გამაჰმადიანებულმა აბდულა-ბეგმა იტვირთა. ეს უკანასკნელი კი დაჟინებით მოითხოვდა ერეკლესაგან ქართლზე ხელის აღებას, თუმცა მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობა ერეკლეს მხარეზე იყო. ერეკლემ ენერგიულად დაიწყო მოღვაწეობა. მან შემოიმტკიცა ქართლის საერისთაოები, კერძოდ შანშე ერისთავს დაუბრუნა ქსანი, გადაიბირა სომხითის მელიქი, ლორეს ქეთხუდები და ამ გზით ძლიერი ჯარიც შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ყიზილბაშთა ძველმა სარდალმა ამიერკავკასიაში აბდულა-ბეგს დიდძალი ლაშქარი მიაშველა, თბილისის კართან ერეკლემ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ამასთან, ერეკლეს ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ლეკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი რითაც მისი ავტორიტეტი საქართველოს მეზობლებში მკვეთრად ამაღლდა. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით „შეეშინდა ადრიბეჟანის ქვეყანას ყველამ დაუწყო ხვეწნა შერიგებისა"-ო.

აბდულა-ბეგის დამარცხების შემდეგ ჯერი თბილისის აღებაზე მიდგა, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა. ამ ბრძოლაში

ჩამოყვანილმა ქედხუდებმა ერეკლეს კვლავ უღალატეს, თუმცა ერეკლემ მაინც შესძლო თბილისის ციხეებიდან დამპყრობლების განდევნა, რომელიც 1748 წელს დამთავრდა. ამ გამარჯვების შემდეგ ერეკლეს ქედი მოუხარეს სომხეთ-აზერბაიჯანის სახანოებმა, ერეკლეს ერევნისა და განჯის ხანებმა საჩუქრები მიართვეს. ასევე მოიქცა ამიერკავკასიაში საკმაოდ გავლენიანი ხანი აჯი ჩელები, რომელსაც იგივე პაპუნა ორბელიანის მტკიცებით „პატივსა სდებდენ ყოველნი"-ო. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ერთობ დაძაბულ წლებში მოხდა სანაინისა და ახპატის ხეობებიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აყრა და ქართლში გადმოსახლება, კერძოდ მუხრანში, კონსტანტინე მუხრანბატონის მამულში.

1748-1749 წლებიდან, როდესაც თეიმურაზ მეფე ირანიდან სამშობლოში ბრუნდება, ქართლ-კახეთი შაჰისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ქვეყანაში მიმდინარეობს დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლება და სხვ. ამ პერიოდისათვის (XVIII ს. შუა ხანები) ქართლსა და კახეთში თითქმის არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვანი ხეობა თუ გზები და გადასასვლელები, ქალაქი თუ სოფელი, სადაც საფორტიფიკაციო ნაგებობები არ შეეკეთებინათ და აეშენებინათ. ქართლში აშენებულ-განახლებულ სიმაგრეთაგან საყურადღებო იყო ბაზალეთთან საშაბურო. სატიხარი (სათიხარი) — პატარა ლიახვის შუა წელში, ბიკარი (ბიყარი) — მეჯუდის ხეობაში, ხადურთანი — პატარა ლიახვის ხეობაში, პცა (ფცა) — ფრონეს ხეობაში, არადეთი — ფრონეს ხეობა, ლამისყანა — ქსნის ხეობაში, ქსნის ციხე, მუხრანის, კორდის, ქვ. ჭალის, მჭადიჯვრისა და ბევრი სხვა.[40] აღნიშნული პერიოდისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა კახეთშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია საფორტიფიკაციო ნაგებობათა როგორც ახალი, ისე ძველის მშენებლობა-გაახლება. ერეკლე მეფის დროს (1762 წ.) აშენდა და განახლდა ციხე-გალავნები: ბატონის ციხე, ჯავახიშვილის ციხე, ბოჭორმისა და სიღნაღის ციხე-გალავნები, ახმეტის, რუისპირის, სა-

---

[40] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 626.

ბუეს, ალავერდის, გრემის გალავნის ზედა ფენები, ყვარელის, ლალისყურის, ნაფარეულის, შილდის, იყალთოს, კარდენახის, კისისხევის, ოჟიოს, მარტყოფისა და სხვ. ციხე-გალავნები, კოშკები.[41]

ქართლ-კახეთის მეტნაკლებ სიმშვიდეს და შესაბამისად შრომითი საქმიანობის გაფართოებას მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ლეკ-ავარიელთა გაერთიანებული ძალები, რომლებიც ხუნძახის მფლობელის — ნურსალ-ბეგის მეთაურობით მეზობელი პროვინციების დამორჩილების შემდეგ ქართლ-კახეთს მიადგა. 1757 წ. თეიმურაზისა და ერეკლეს გაერთიანებულმა ლაშქარმა სოფ. მჭადიჯვართან დაღესტნელთა მრავალრიცხოვანი ჯარი გაანადგურეს.[42]

მიუხედავად იმისა, რომ ლეკთა შემოსევები ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ იყო, ქართლ-კახეთის სახელმწიფო XVIII ს. შუა ხანებში კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა, მაგრამ მომდევნო ათწლეულში ქვეყანა ირანის მხრიდან კვლავ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ, დიპლომატიური ნაბიჯი ქვეყნის ხსნისთვის ქრისტიანული რუსეთისაკენ გადაიდგა. ამას მოჰყვა თეიმურაზის რუსეთში გამგზავრება, რასაც სასურველი შედეგი არ მოჰყვა და 1762 წ. თეიმურაზი პეტერბურგს გარდაიცვალა და ასტრახანის მიძინების ტაძარში, წამებული ვახტანგ VI გვერდით ასვენია.

როგორც ცნობილია, XVIII ს. 60-იანი წლებიდანვე, კერძოდ 1762 წ. ქერიმ-ხანმა მთელი ირანი გააერთიანა, რომელიც ერეკლეს თავისთან იბარებდა და თანაც სამხრეთ აზერბაიჯანის ბატონობას სთავაზობდა. მან ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა. ამ და სხვა სასიკეთო მოვლენებმა, რომელიც ერეკლეს წარმატებებთან იყო დაკავშირებული, გააღიზიანა და ქედმაღლურ ერეკლეს მიერ მეტნაკლებად შეზღუდული ფეოდალების ერთი ნაწილი და ქვეყნის გამყიდველმა თავადებმა იწყეს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ

---

[41] პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები, თბ., 1962.

[42] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 627. (პაპუნა ორბელიანი).

ბრძოალ. აქ თავი იჩინა ე.წ. დინასტიურმა დაპირისპირებამ. კერძოდ, ქართლის თავადები, რომელთაც სუსტი და მოწყალე მეფის ხელისუფლება აწყობდათ, გაერთიანებული ქართლ-კახეთის დაშლისათვის ყველა ღონეს ხმარობდნენ. ისინი უარყოფდნენ „კახი“ ბაგრატიონების უფლებებს ქართლის ტახტზე და „მუხრანელ“ ბაგრატიონთა აღდგენისთვის იბრძოდნენ. ამ მიზნით, მოღალატე თავადები ვახტანგის უკანონო შვილის – პაატას გარშემო შემოიკრიბნენ და სახელმწიფო გადატრიალებისთვის მზადებას შეუდგნენ.

პაპუნა ორბელიანის ცნობით, პაატა ბატონიშვილი რუსეთიდან გამოქცეულა (1752 წ.) და სამშობლოში დაბრუნებულა, სადაც დიდი პატივისცემით მიუღიათ, მაგრამ მალე გამოუმჟღავნებია თავისი მოღალატეობრივი ქმედება, ერეკლეს დაუპატიმრებია კიდეც, თუმცა მალევე შეუწყალებია. აღსანიშნავია, რომ პაატა ბატონიშვილი და საერთოდ რუსეთში მყოფი მუხრანელი ბატონიშვილები რუსეთისადმი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, რაც საკმაოდ გახმაურებულა კიდეც.

ერეკლე მეფის წინააღმდეგ შეთქმული ქართლის დიდგვაროვან ფეოდალთაგან, თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა დიმიტრი ამილახვარი, რომელიც მეფეს პირადული ინტერესებით მტრობდა და რომელსაც მხარში ედგა 15 წლის შვილი ალექსანდრე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერეკლე მეფემ შეთქმულთა საქმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენად აქცია და სამართალში დიდებულებთან ერთად „პირველი სახლის შვილნი გლეხნიცა“ მოიწვია, სადაც მეფემ გამოააშკარავა მათი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეიერთა ყირიმის სახანო (1783 წ. 8 აპრილი), რომელიც XVI ს. II ნახევრიდან შავ ზღვაზე თურქეთის ბატონობის ძირითად ფორპოსტს წარმოადგენდა, 1783 წ. 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, მას მიეცა ამიერკავკასიის საქმეებში უშუალო ჩარევის საშუალება. ეს ის პერიოდია, როდესაც სოლომონ პირველი და ერეკლე მეორე, თავგანწირვით მოქმედებენ ქვეყნის მუსულმანური სამყაროდან დახსნისთვის. ამიტომ, სავსებით ბუნებრივს წარმოადგენდა ის ფაქტი, როდესაც თამარ მეფისა და

ერეკლე II შემდეგ, სოლომონის პიროვნებას ქართველმა ხალხმა გა-ნუმეორებელი ხოტბა შეასხა, რომელიც გამოიხატა პოეტურ-პროზაულ ნაწარმოებებშიც.

ქართლ-კახეთის პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით გარ-თულდა რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, რამდენადაც საქართველო რუსეთის მხარეზე აღმოჩნდა, რითაც ერთხანს ერეკლეს მომხრე ამიერკავკასიელი ხანები მას უკვე ეჭვისთვალით უყურებდნენ. ამ მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან, ერეკლეს გამჭრიახობით, შესაძლებელი გახდა რათა აღდგენილიყო ის ჰეგემონობა, რომელიც ამიერკავკასიაში საქართველოს ისტორიულად გააჩნდა. ისე, რომ კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა ცდები სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებისთვის, საინგი-ლოს შემოერთებისა თუ ლიხთ-იმერეთის დამორჩილებისთვის და ზოგადად ამიერკავკასიაში ბატონობის განმტკიცებისთვის.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შედგა ხელშეკრულების ხელმოწერის პროცედურა, რომელსაც ხელი მოაწ-ერეს: ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა თავადმა ი. კ. მუხრანბატონმა და თავადმა გ. რ. ჭავჭავაძემ, რუსეთის მხრივ — გენერალმა პავლე პოტიომკინმა. ტრაქტატის პირველი და მეორე მუხლის თანახმად, ეკატერინე მეორე, ერეკლე მეორის მფარ-ველობას კისრულობდა და რომ იგი ერეკლესა და მისი მემკვიდრეობის უფლებებს დაიცავდა. ამასთან, რუსეთის მთავრობა საქართველოს ის-ტორიულ საზრვრებში აღდგენის იმედს იძლეოდა, თუმცა როგორც შემდგომში აღმოჩნდა, რუსთა გულგრილობის გამო, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. რუსეთის მხრიდან ცრუ დაპირებების გამო, ქვეყანაში იმატა ოპოზიციის აქ-ტიურობა დაპირისპირებამ. ამასთან, დროის გარკვეულ პერიოდში, შე-ქმნილი ვითარება ქართველ პოლიტიკოსებს მეტნაკლებ პირობებს უქმნიდა ქვეყნის გაერთიანებისათვის, რამდენადაც შესაძლებელი ხდებოდა მოქიშპე სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგო-ბების სათავისოდ გამოყენება. ამ მხრივ კიდევ უფრო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ქვეყნის შიგნით მომხდარი მოვლენების

თვალსაზრისით, როდესაც სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, გამეფებული დავით გიორგის ძის პერიოდში იმერეთი საყოველთაო უკმაყოფილებამ მოიცვა. ეს კი გამოწვეული იყო დავით მეფისა და ერეკლე მეორეს შორის შეთანხმებით, რომელიც მდგომარეობდა სოლომონ პირველის მემკვიდრედ აღიარებულ 17 წლის დავით არჩილის ძეს, ანუ ერეკლეს შვილიშვილის სამომავლოდ (როდესაც სრულწლოვანი გახდებოდა), გამეფებაში. ტახტს კი დავით გიორგის ძე ნებით არ სთმობდა. იმერეთში კი ამ დროს დიდი მღელვარება მიმდინარეობდა იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების წინააღმდეგ, რომელსაც ფეოდალური არისტოკრატია ედგა სათავეში. ამ მიზნით, ერეკლე მეორესთან მოვიდნენ ბრძოლის თაოსნები – სამეფო კარის სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, მღვდელმთავრები: დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, აგიაშვილი, ჩიჯავაძე და სხვა გავლენიანი პირებიც, რომლებიც ითხოვდნენ, „რადგანაც არ სურს მეფესა ირაკლის მეფე დაჯით, მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თჯისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთაჯრობისა დროთა რომ სამეფო იმრეთისა მოელის სიხარულით და მხიარულობით, საქმისა ამის დასასრულსა; თჯით მთაჯართა გურიისას და ოდიშიშას სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოჯნებთა გლეხთაც იციან ესე და უხარისა ბატონობა თქვენი იმერეთს, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა“.[43]

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ერეკლე მეფემ გაასაჯაროვა და განსახილველად დარბასში გაიტანა, სადაც უმრავლესობამ იმერეთის შემოერთებას მხარი დაუჭირა და ამით ერთმეფობის აღდგენა აღიარა. ამ უკანასკნელის მომხრეთა შორის იყო სოლომონ ლიონიძე, ჭაბუა ორბელიანი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი და სხვ. თუმცა ერეკლე მეფე ყოყმანობდა, რადმენადაც იმერეთში თავისი შვილიშვილის დავით არჩილის ძის გამეფება სურდა და ამ გზით მისი შემოერთება. საკითხის განსჯისას,

---

[43] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV., გვ. 726.

დარბაზში თავი იჩინა რეაქციულმა ძალებმაც, რომლის ერთ-ერთ წარმომადგენლად იოანე მუხრანბატონი გამოვიდა და რიგი განსხვავებული მოსაზრებების გამო იმერეთის შემოერთების საქმე ჩაიშალა. თუმცა სოლომონ მეორის ანუ ერეკლეს შვილიშვილის დავით არჩილისძის იმერეთში გამეფება გაერთიანებისთვის მნიშვნელოვან წარმატებად იქნა მიჩნეული. ეს კი განხორციელდა ერეკლე მეფის მხედრიონის ძალისხმევით, რაც გაფორმებული იქნა 1790 წლის ტრაქტატით. „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს ...“[44] ამ ტრაქტატის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და ერეკლე მეფის მფარველობას აღიარებდნენ და რუსეთთან ურთიერთობის დამყარებასაც ანდობდნენ.

როგორც ცნობილია, რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული არ დარჩა და ერეკლეს შესაბამისი თანადგომა არ აღმოუჩინა, რითაც ბუნებრივია ისარგებლა ირანის შაჰმა აღა-მაჰმად ხანმა და 1795 წლის ივლისის საბედისწერო შემოსევების შედეგად მოხუცმა მეფემ მიუხედავად ქართველთა უმაგალითო გმირობისა მარცხი განიცადა. სწორედ ამ ბრძოლებს შეეწირა სამასი არაგველი, მამაცი არტილერისტები, — გაბრიელ მაიორი, გიორგი გურამიშვილი, ლალუა, მსახიობი — „კომედიანტი“ მაჩაბელი თავისი დასით და სხვ.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, სწორედ იოანე ბატონიშვილის (ერეკლეს შვილიშვილი) მცირე რაზმის თავგანწირული ბრძოლის შედეგად, სიკვდილის ან ტყვეობისგან იხსნა ცხენზე ამხედრებული მოხუცი მეფე ერეკლე. აღნიშნული ბრძოლის ეპიზოდი ისტორიამ ფაქტობრივად ზუსტად შემოგვინახა, რომელიც დარჩა ქართველი ერის თავგანწირვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად. იმავე თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ამ უკანასკნელ ბრძოლაში, ერეკლე მეფემ ავლაბრის ხიდზე შეაგდო ცხენი, რომელსაც 150 კაციანი, თითქმის ყველა დაჭრილი მეომარი მიზდევდა და ბოღმამორეული, გამარტჯვებას

---

[44] იქვე, გვ. 729.

ჩვეული ბაგრატიონი, წამით შედგა იგი და უკან მოიხედა. სპარსელები თანამებრძოლთა გვამებზე გადადიოდნენ და ქალაქისკენ მოიწევდნენ. მეფე ერთხელ კიდევ აენთო გამარჯვების სურვილით და ცხენი შეაბრუნა, მაგრამ „მაშინვე ივანე მუხრანის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის ჯილავს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთის მხრითაც ბატონიშვილი ალმასხან (იგივე ვახტანგ) მივარდა, მეორეს მხრით ბატონიშვილი ივანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და სიჩქარით გაარბენინეს გულმოკლული საცოდავი ერეკლე“.[45]

1798 წ. 11 იანვარს, 78 წლის ასაკში, თელავში გარდაიცვალა დიდებული მეფე ერეკლე მეორე, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი ბრძოლაში გაატარა და დიპლომატიურ-პოლიტიკურ ასპარეზთან ერთად უღრმესი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში, რაც ნათლად აისახა უცხოელ მოღვაწეთა შეფასებასა და ეროვნულ ხალხურ შემოქმედებაში. ერეკლე მეფის გარდაცვალების დიდ მწუხარებას სამიოდ წელიწადში მოჰყვა მეორე ავბედითი ტრაგედია, რაც ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში გამოიხატა. იმპერიული რუსეთის მმართველობამ იწყო ყოველივე ქართულის შეზღუდვა და განდევნა, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი XII-ის მეფობის დროს დაიწყო და რასაც გარკვეულ წილად ხელს უწყობდა ამ უკანასკნელი ხელისუფლების სისუსტეც. საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენაში იწყება უკმაყოფილების ზრდა, რამდენადაც მათი მოლოდინი ადგილობრივი მმართველობის ხელშეუხებლობის შესახებ არ გამართლდა. საქართველოს სრულ მმართველად მთავარსარდალი კნორინგი მოევლინა, რომელმაც ჯარების უფროსობა გენერალ ლაზარევს მიანდო, ხოლო ამ უკანასკნელმა ქვეყნის მმართველობა კოვალევსკის. რეგიონის მმართველები — მაზრის უფროსების მიერ დაყენებული მოხელეები თავგასულად მოქმედებდნენ, გაძლიერდა მექრთამეობა, ძალადობა და სხვ. ქართველი თავადაზნაურობა ჯგუფებად იყოფოდა, ისინი სხვადასხვაგვარად ეხმაურე-

---

[45] იქვე, გვ. 763.

ბოდნენ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებას და რუსული მმართველობის შემოღებას, ქართველმა თავადებმა დაკარგეს სამემკვიდრეო თანამდებობანი. მათ 1802 წ. ივლისში, კახეთში მოაწყვეს შეთქმულება, რომელთაც რუსეთის იმპერიას 1783 წლის ტრაქტატის პირობათა დაცვა მოსთხოვეს. ისე, რომ XIX საუკუნიდან არამარტო ქართლ-კახეთში, არამედ მთლიანად ქვეყნის ცალკეულ მხარეებში აშკარად შეინიშნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცოცხლება-აქტივობა, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია ე.წ. „ყაზარმელთა" შეთქმულება.

180 წელი გვაშორებს იმ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი შეთქმულებისაგან, რომელიც სოციალურად მაღალი წოდების წარმომადგენლების თაოსნობით იქნა მოწყობილი 1832 წ. ქ. თბილისში. თავისი შინაარსით, ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობით, იგი წარმოადგენდა მეფის რუსეთის მიერ ქართველი ხალხის თვითმყოფადობისა და საერთოდ სახელმწიფოებრიობის წინაარმდეგ მიმართულ აღვირახსნილ ქმედებებს, რომელსაც წინ უძღოდა უმთავრესად დაბალი ფენებიდან წამოსული 1804 წლის მთიულეთის, 1912 წელს კახეთის, 1820 წლის იმერეთისა და სხვ. აჯანყება-გამოსვლები.

XIX საუკუნის საქართველო გამოირჩევა საზოგადოებრიობის ეროვნული მოძრაობა-გამოცოცხლების აქტიურობით და ახალი ხედვით, რომელიც მის პირველ ნახევარშივე გამოიკვეთა. იგი, თანდათანობით თავს იჩენდა შემზადებული, საფუძვლიანი ნიადაგის გამოვლინებაში, რომელიც აშკარად შეინიშნა საზოგადოებრიობის თვითშეგნების კიდევ უფრო ამაღლებულ იდეალებში. ამიტომ, ბუნებრივია, როდესაც ამ პერიოდის რეალური ცხოვრებისა და ზოგადად ქვეყნის მდგომარეობის პირუთვნელი შეფასება და ანალიზი დაგვიტოვა XIX-XX საუკუნეების მოღვაწე არაერთმა მეცნიერ-მკვლევარმა, პოეტმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, რითაც უკვდავყვეს თავიანთი პატრიოტულ-ეროვნული ნააზრევი და სამაგა-

ლითოდ დატოვა მომავალი თაობის თვითშეგნებაში.[46] მოვლენების განზოგადების ფონზე, ნათლად ჩანს ისტორიის განვითარების შეუქცევადი პროცესები, რომელიც კიდევ უფრო მკვეთრი გახდა XX-XXI საუკუნეების გასაყარზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხშირად ეროვნულად მოაზროვნე ადამიანთა ერთმა ნაწილმა „ყაზარმის" მაგივრად ე.წ. თანამედროვე ციხეებში ან უცხო ქვეყნებში ამოყვეს თავი.

1832 წლის „ყაზარმელთა" შეთქმულება, რომელიც თავისი გამბედაობითაც გამოირჩეოდა, გამომჟღავნების შემდეგ, ისინი ციხეში კი არ გამოამწყვდიეს, არამედ ე.წ. პოკროვსკის ყაზარმებში, რომელიც ციციანთ აღმართის თავზე, ავლაბარ-ჩუღურეთის საზღვარზე მდებარეობდა და შეთქმულთა მთავარი ძალები ცარისტულმა ხელისუფლებამ მოსპო და რუსეთის ციე ქვეყნებში მიმოფანტა. აღნიშნულ აჯანყებაში მონაწილეობდა 145 კაცი, საიდანაც 45 გამოძიებამ საეჭვოდ არ მიიჩნია და ე.წ. მეათე კატეგორიას მიაკუთვნა. ამდენად, მასში აქტიურ მონაწილედ იქნა ცნობილი 98. აქედან 61 კაცი, ანუ თითქმის ორი მესამედი იყო თავადიშვილი ან ბატონიშვილი (აზნაურების მიუთვლელად 9). ისე, რომ შეთქმულთა ძირითად მამოძრავებელ ძალას, სოციალურად მაღალი წოდების არისტოკრატია წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე მათი მოთხოვნები ძირითადად ეროვნულ, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რაც კიდევ უფრო უმნიშვნელოვანესი მოვლენის სტატუსს სძენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეთქმულთა შორის იყო ერთადერთი გლეხის – მღვდლის შვილი სოლომონ დოდაშვილი, როემლიც აჯანყების სულისჩამდგმელი იყო და რისთვისაც იგი საგანგებოდაც იქნა დასჯილი. იგი 31 წლის ასაკში შორეულ ვიატკაში გარდაიცვალა.

---

[46] სოლ. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ი. ხელაშვილი, კ. ჭიჭინაძე, დ. ყიფიანი, ნ. ავალიანი, პლ. იოსელიანი, ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, პოლიევქტოსი, ი. მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი, ნ. ბარათაშვილი, დ. ჯორჯაძე, ივ. ჯავახიშვილი, გ. გოზალიშვილი, მაქსიმე ბერძენიშვილი და სხვ. მრავალი.

სოლომონ დოდაშვილი, შედგენილ ერთ-ერთ პროკლამაციაში (რომელიც ახლაც აქტუალურია) წერს: „ქვეყნის დაარსებიდგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი თავისი ჩვეულება და არასოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს, მამული ესე ჩვენი. ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა!.. რისთვის არს ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი? ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი რაოდენიცა ჩვენს მამათა? მაშა რაისთვის ცოცხალვართ!“[47]

ცარიზმის ამ რეპრესიულმა პოლიტიკამ საქართველოში ისედაც მოდუნებული ცხოვრება ერთხანს კიდევ უფრო ჩაკლა, რომელიც განსაკუთრებით შეინიშნებოდა 1833-1837 წლებში, ხოლო ამის შემდეგომ კვლავ ერთგვარი გამოცოცხლება და აღმავლობა იწყება. აღნიშნულ გარემოებას ხელი შეუწყო ქვეყანაში აღორძინებისათვის შემზადებულმა ნიადაგმა, რაც გამოიხატებოდა ეროვნული კულტურის მომავალი განვითარების საქმეში განხორციელებული რიგი ღონისძიებების გატარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1845-1852 წლებში თეატრებისა და ბეჭდვითი ორგანიზაციებისა და სხვათა გახსნა-გამრავლებაში. აქედან გამომდინარე, ყაზარმელთა იდეოლოგია წარმოადგენდა იმ მოვლენების საფუძველს, რომელიც სამოციან წლებში წარმოჩინდა. ეს იყო მთელი პლეადა კიდევ უფრო ენერგიული და ნიჭიერი, ახალი თაობის სახით და რომელთაც მართლაც ჩაჰბერეს სული და გამოაცოცხლეს ქართველთა თითქოსდა უიმედო, მოდუნებული, დაძაბული ყოფითი ცხოვრება.

1876 წ. თბილისში გაზ. „დროების“ არსებობის ათი წლის თავზე ი. ჭავჭავაძემ თქვა: „ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას

---

[47] მაქსიმე ბერძენიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980, გვ. 95.

თავისი მიეზღოს, თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წარაწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობითა გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“.[48]

მიუხედავად იმისა, რომ „ყაზარმელ“ შეთქმულთა უმრავლესობა არისტოკრატიას, მათ შორის ბატონიშვილებსაც წარმოადგენდა, ისინი მიზნად ისახავდნენ არსებული პოლიტიკური ცხოვრების უფრო პროგრესულით შეცვლას. ამას ადასტურებს თუნდაც ვახტანგ ორბელიანის ჩვენება ოქროპირ ბატონიშვილის ნათქვამის შესახებ: „მე მინდა საქართველოს თავისუფლება არა იმიტომ, რომ აქ ვინმე ბაგრატიონთაგანი გამეფდესო, არამედ რომ საქართველო რესპუბლიკის მსგავსი შეიქმნასო“. კონსტიტუციური მონარქიის შესახებ აქვს აზრი გამოთქმული ყაზარმელს ელიზბარ ერისთავსაც, რომელიც აღნიშნავდა: „საკუთარი მეფე გვეჯდებაო და პარლამენტი გვექნებაო და ყველანი იმათ დაემორჩილებიანო“.

გაზეთ „დროების“ ათი წლის თავზე მოხუცი კონსტანტინე მამაცაშვილი გულთბილად იგონებს რა თავის ნამასწავლებარს დოდაშვილს და მასთან ერთად მის მოსაგრეებს გიორგი ერისთავსა და ეფრემ მესხიშვილს აღნიშნავს: მათი სახელებისა და ნაღვაწის გახსენება ამ საზეიმო შეკრებილობაზე, საუკეთესოდ გვიმტკიცებს, რომ ყაზარმობა და მისი იდეები, რომელთაც ეს მოძრაობა ამჟღავნებდა, საკმაოდ ხანგრძლივად ცოცხლობენ მოწინავე ქართველობის მეხსიერებაში ერთგვარად გავლენას ახდენენ მის ფსიქიკასა და საქმიანობაზე და აი თუნდაც მარტო ამიტომ ეს ფაქტი, ვიმეორებთ, უნდა მიჩნეულ იქნას თვალსაჩინო მოვლენად ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში.

ცნობილია, რომ ერეკლე მეორის მოღვაწეობის დროს, წინა ხანასთან შედარებით, ქართლ-კახეთის სამეფოში საქალაქო ცხოვრების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების პერიოდი იყო. კაპიტალ-

---

[48] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, თბ., 1935.

ისტური ურთიერთობის განვითარების საშუალებები ბუნებრივია საგრძნობლად იღვიძებდა საქალაქო ცხოვრებაში. იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის დროინდელი „განწესების“ აღდგენისათვის, რომელიც ქალაქის ვაჭარ-ხელოსნური მოხელეობის მაღალი ფენისათვის — „მოქალაქეთათვის“ სასარგებლო „საკუთრების ქალაქური წესი“ ითვალისწინებდა. ერეკლე II-ს 1770 წ. ბრძანებით, ხელახლად იქნა განსაზღვრული ქალაქის მოხელეების: მოურავის, მელიქ-მამასახლისის, ნაცვლისა და სხვა თანამდებობითა უფლება-მოვალეობა და შესაბამისი სარგო. ერეკლე II-ის მეფობის დროიდან იწყება ოსმალთა და ლეკთა ყიზილბაშთაგან დანგრეულ-შემცირებული ქალაქების აღდგენა-აღორძინება. მან „განაახლა ციხე გორისა“, რომლის მშენებლობა გორის მიმდებარე რეგიონის მოსახლეობის ხარჯზე მომხდარა, მათშორის საამშენებლო ქვა და მუშახელი კი „ვაკე ქართლის“ — „მუხრანიდან მოკიდებული ჭალით საყარამდინ“ — სოფლებს უნდა მოეწოდებინათ. რაც მთავარია კალატოზების სასმელ-საჭმელი და ხელფასიც, ერეკლეს ბრძანებით, გორელებსა და გორის სარეწავებს უნდა გაეღოთ.[49]

ქვეყანის სხვა რეგიონების მსგავსად, შიდა ქართლის მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში. ეს ის დრო იყო, როდესაც ფეოდალური ურთიერთობა ახალ ფაზაში გადადის და იმარჯვებს ბატონყმობა. ანუ ბატონყმური ურთიერთობის გამწვავება სოფლად აიძულებდა ყმა ხელოსანს თუ ვაჭარს თავშესაფარი ეძებნა ქალაქად. ყმა ხელოსნები ქალაქში არა მარტო ძალით, ბატონის ნებართვის გარეშე, არამედ მისი თანხმობითაც მიდიოდნენ. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა 1791 წ. სოფ. მუხრანის ფეიქარ ოსეფას იულონ ბატონიშვილისადმი თხოვნა: „თქვენი თანხმობისამებრ ქალაქს ჩამოველ და აქ რამდენიმე წელს საქალაქო გამოსაღებისაგან გამათავისუფლონ, სანამ ვალებს მოვისხლეტდეო“.[50]

---

[49] შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 224.
[50] იქვე, გვ. 267.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალურ ხანაში, მეფე და არისტოკრატია კიდევ უფრო აქტიურად ერეოდა საქალაქო მმართველობაში, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში მთავარ გამგებლად — მოურავებად ძლიერი ფეოდალები, თავადები იყვნენ, ხოლო მცირეში ან თავადები ან აზნაურები. XVII ს. დამდეგს, როდესაც ქ. თბილისის მოურავი იყო გიორგი სააკაძე, ხოლო მის შემდეგ კი, 1626 წ., როგორც სიმონ II-ის ერთი დოკუმენტი იტყობინება, ქალაქის მოურავობა ბოქაულთ-უხუცეს ქაიხოსროს ებოძა, ეს უკანასკნელი კი იყო ძე მუხრანის ბატონის ვახტანგისა. ამასთან, 1748 წლის სიგელის მიხედვით, ერეკლე II-ს თბილისის მოურავობა უბოძებია მუხრანის ბატონ სახლთუხუცეს კონსტანტინესათვის,[51] რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მუხრანბატონთა იმ ძლიერ და მნიშვნელოვან ავტორიტეტზე, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობაში არსებობდა.

მუხრანის საბატონოს წიაღმა წარმოშვა არაერთი ცნობილი სამხედრო ჩინოსანი. თუნდაც ის ფაქტი, როცა 1738 წლის 25 მარტს რუსეთის იმპერატორ ანას მიერ გამოცემული ბრძანების მიხედვით დაკანონდა პირველი ქართული ეროვნული ჰუსართა ასეული რუსეთის არმიაში, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ემიგრაციაში არსებობდა მძლავრი სარეზერვო ბაზა. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ პირველი ჰუსართა ასეულის კაპიტანი გახდა ქართველი გენერალი მამუკა მუხრანბატონი. ქართველმა მეომრებმა თავიანთი მამაცობა და საბრძოლო ნიჭი გამოაჩინეს არაერთ ლაშქრობაში, მათშორის ყირიმის გათავისუფლებაში. ქართველ ჰუსარ თავადებსა და აზნაურებს მამულები ეძლეოდათ უკრაინაში, სადაც XVIII ს. მეორე ნახევარში მის მარცხენა ნაპირას გაჩნდა 150-ზე მეტი ქართული სახლი მრავალშვილიანი ოჯახებით. ჰუსარებს ყმა-მამული ეძლეოდათ უკრაინაში, თავადებს 30 კომლი, ხოლო აზნაურებს ათ-ათი კომლი. ჰუსართა პოლკმა სულ სამი ათეული იარსება. ერთ-ერთი ასეთი ჰუსართაგანი იყო თავადი დავით გურამიშვილი.

---

[51] შ. მესხია, დას. ნაშრომი, გვ. 401.

ზოგადად, საქართველოს უძველესი ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილება-ცხოვრების ამსახველი მატერიალური და წერილობითი ძეგლები, შედარებით მდიდრად მოგვეპოვება ფეოდალური ხანის საქართველოში, თუმცა მათი შესაბამისი შესწავლით არცთუ ისე ვართ განებივრებულნი. ამ მხრივ აღსანიშნავია IX-XVIII სს. ქართული ისტორიოგრაფია, სადაც ერთობ უმნიშვნელო ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობის ამსახველი საკითხების წარმოჩენას და მით უფრო საქალაქო წესწყობილების, მეურნეობის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ასახვას.

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს. პირველი ნახევარი), რომელმაც სცადა მის წინადროინდელ საისტორიო მწერლობაში მოეძია შესაბამისი ცნობები და მათი თავმოყრის ფონზე მეტნაკლებად წარმოეჩინა საქართველოს ქალაქების ისტორიულ-გეოგრაფიული სახე. მის მიერვეა წამოჭრილი და განხილული საქართველოს პოლიტიკური ისტორია და მასში ეკონომიკური მდგომარეობის ადგილი, როლი და სხვ. ისე, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლი და გავლენა ქვეყნის კომპლექსურად შესწავლის მიმართულებით ფასდაუდებელია, რომლის საფუძველზე აღიზარდა, წარმოჩინდა და შეიქმნა მრავალდარგოვანი მეცნიერული ღირებულება, აღიზარდა შესაბამის სპეციალისტთა მთელი თაობა. აქედან გამომდინარე, XIX ს. დამდეგს უკვე ჩნდება ამ შემთხვევაში ცალკე საისტორიო ხასიათის ნაშრომები, რომელნიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიური ცხოვრების ასახვას ეძღვნება, რომელთა დიდი უმრავლესობა საქართველოს საისტორიო არქივებსა და წიგნსაცავებშია დაცული. ამიტომ, ქართული ისტორიოგრაფიული საგანძურის ბრწყინვალე მემკვიდრეებმა წარმოაჩინეს და მსოფლიო გამოცდილების ფონზე ჩამოაყალიბეს და დაასკვნეს, რომ საქალაქო ცხოვრება უმთავრესად აღმოცენდება დიდი მდინარეების სიახლოვეს — აუზებში, ციხე-სიმაგრეებისა და რელიგიური ცენტრების მიმდებარედ, რომელთა შორის სხვადასხვა დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მოკრძალებული ადგილი ეკავა „მუხრანით კერძ ქალაქს“, მის რეგიონს ზოგადად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ ეპოქებშიც კი, როდესაც საქართველო გარკვეულწილად დაქვემდებარებული იყო ამა თუ იმ დამპყრობელზე, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა გონივრულად ერწყმოდა მისთვის უცნობ და მისაღებ შემოქმედებას. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-სპარსული კულტურის ურთიერთობა, რომელიც ცალმხრივი არ ყოფილა. რომ ქართულ მწერლობას ბევრი რამ საყურადღებო მიუცია ბიზანტიური მწერლობისათვის და მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია მის ისტორიაში. ამას ადასტურებს ქართულ ენაზე შემონახული ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი მწერლების შესახებ, მათი უცნობი მწერლების ქართული ცნობები, ქართულიდან გადათარგმნილი არაერთი თხზულება და სხვ; ახალი სპარსული ენისა და ირანული კულტურის ცოდნა-გაცნობა საქართველოში იმდენად ფართო იყო, რომ X-XI საუკუნეებში ციტატებს ახალ სპარსულ ენაზე ვხვდებით საეკლესიო მწერლობის ისტორიულ შრომებშიც კი. ირანთან სიახლოვე განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XII საუკუნეში აზერბაიჯანის ორი სამთავროს მეოხებით, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთით და სამხრეთით შირვანისა და ირანის სახით მდებარეობდა. მათშორის, შირვანი, როგორც ვიცით, დავით აღმაშენებლის დროს დაკავშირებული იყო საქართველოსთან და ჩვენთან ორი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში, ხოლო რაც შეეხება ირანს, მისმა დამოკიდებულებამ საქართველოსადმი გარკვეული ხასიათი მიიღო XII საუკუნეში და განსაკუთრებით კი თამარ მეფის დროს.

სწორედ შარვანის შაჰების კარზე ცხოვრობდნენ სახელგანთქმული აზერბაიჯანელი პოეტები — ხაკანი (გარდაიცვალა 1193 წ.) და ნიზამი განჯელი (გარდაიცვალა 1202 წ.). აღსანიშნავია, რომ ხაკანი, ერთ-ერთ თავის ხოტბაში, რომელიც 1172 წელსაა დაწერილი, ამბობს: „აფხაზეთის (საქართველოს) კარები ღიაა ჩემთვის, მე გავემგზავრები. ნაჭარმაგევსა და მუხრანს, ბაგრატიონთა შორის მე

ვიპოვნი თავშესაფარს". აგრეთვე, ბრწყინვალე ამალით, შირვანის შაჰები ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში[52] და ასე შემდეგ.

უცხოელ დამპყრობელთა მიერ საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მიმართ განუსაზღვრელი ჭრილობების მიუხედავად, ქართველი ერის განვითარება გარკვეულ წარმატებებს აღწევდა და თავის მოკრძალებულ ადგილს იკავებდა მსოფლიო ცივილიზაციათა სამყაროში. ამის ნათელი დასტურია ფეოდალური საქართველოს საზოგადოების მკვეთრი, თვითშეგნების ამაღლება, რომელიც XIX საუკუნის მეფის რუსეთმაც აღიარა და რომ მათთან ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. ისე, რომ მათ კარგად გაიაზრეს არსებული საყოველთაო უკმაყოფილების არსი და მისი დაძლევა აღნიშნულ პერიოდში შესაძლებელი იყო მხოლოდ რადიკალური ცვლილებების გზით, ანუ მმართველობის ძველი სისტემის აღდგენით, რომელზეც იგი არ წავიდა. ამ პრობლემის გადაჭრას ცარიზმი ოსტატურად მიუდგა და ქართველი ფეოდალების ზედაფენების ინტერესის მეტ-ნაკლები დაკმაყოფიელების მიზნით, საქართველოში მოავლინა ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი, ამ დროს რუსეთში საკმაოდ ცნობილი გენერალი პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვი — ციციშვილი, რომელიც გიორგი XII-ის მეუღლის მარიამ დედოფლის ნათესავი იყო.

როგორც ცნობილია, ციციანოვი, მოსკოვის ქართველთა კოლონიის წარმომადგენელი და დიდიხნის გარუსებული იყო, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ მისი მამა დიმიტრი, რომელიც ვახტანგ VI-ის დროის ემიგრირებულთა შორის იმყოფებოდა. ამიტომ, ციციანოვის წარმომავლობით, რუსეთი ცდილობდა ძველ ქართულ სამეფო სახლთან საერთო ენის გამონახვას. ამავდროულად, მის თანაშემწედ დაინიშნა აგრეთვე მეორე ქართველი გეენრალი, რომელიც ასევე ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი — დიმიტრი ორბელიანი იყო.

---

[52] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969 წ. გვ. 25.

მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვი მეტისმეტად ამაყი, ჯიუტი და ფიცხელი ხასიათის პიროვნებას წარმოადგენდა და მისი მოღავწეობა დაფუძნებული იყო ძალადობა-დაშინებაზე, იგი ხშირად მახვილგონებრივი მანევრებითაც გამოირჩეოდა და ამით სასურველ ურთიერთობას აღწევდა. იგი იმპერატორის დიდი ნდობით სარგებლობდა, რადმენადაც მისი განკარგულების ქვეშ ერთიანდებოდა არა მარტო ქართლ-კახეთი, არამედ ჩრდილო კავკასია და ასტრახანის გუბერნიაც კი. როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გადაწყვიტა ციციანოვის მეშვეობით ქართველი ბატონიშვილების რუსეთში გადასახლება და თავის მხრივ იგი წერილობით მიმართავდა დარეჯან და მარიამ დედოფლებს და პეტერბურგში იწვევდა, ხოლო მათ და ბატონიშვილებს სამშობლოს დატოვება არ სურდათ, ციციანოვმა კი ნახა, რომ მათ ნებით არ სურდათ რუსეთს გამგზავრება, 1803 წ. აპრილში, გენერალი ლაზარევი კაზაკთა რაზმით შეიჭრა მარიამ დედოფლის სასახლეში და მისი გადასახლება ძალით მოინდომა, შეურაცყოფილმა დედოფალმა გენერალი ლაზარევი ხანჯლით განგმირა. აღნიშნულის შემდეგ დედოფალი ქ. ვორონეჟში, ხოლო (1803-1805 წწ.) სამეფო სახლის სხვა წევრები მთლიანად რუსეთის სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს. ამასთან ერთად, ციციანოვი ცდილობდა ძველი სამეფოს ფეოდალ-მოხელეთა გულისმოგებას რისთვისაც მან ამგვარ მოხელეთა სია შეადგინა და რუსეთის იმპერატორს წარუდგინა სათანადო წოდებები მიენიჭებინა და პენსიები დაენიშნა, შექმნა თავად-აზნაურთა საკრებულო, რომლის წინამძღოლად აირჩიეს გარსევან ჭავჭავაძე, 1804 წ. ციციანოვის თაოსნობით აღდგენილი იქნა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად განადგურებული ქართული სტამბა, გაიხსნა პირველი აფთიაქი, დაიწყო გზების გაყვანა, საფოსტო კავშირების დამყარება და სხვ.

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ჯერი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაპყრობაზე მიდგა. სოლომონ მეორის ყოველგვარი წინააღმდეგობების მიუხედავად 1810 წლიდან დასავლეთ საქართველოს ცალკეული სამთავროები თანდათან რუსეთის „მფარველობაში" აღმოჩნდნენ, რომელიც 1833 წ. სვანეთის შესაბამისი მმართველობის გაუქმებით დამთავრდა.

საქართველოს ამ ესოდენ საბედისწერო პოლიტიკური ცხოვრების შეფასებისას ორიოდე სიტყვით არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, დიდი დიპლომატის სოლომონ ლიონიძის სწორუპოვარი საქმიანობა, როგორც სამშობლოსათის თავდადებული პიროვნების შესახებ. იგი ჯერ იყო ერეკლე მეორის სახელმწიფო კარის მდივანი, შემდეგ კი იმერეთის სამეფოს მდივანბეგი. ის კარგად ფლობდა რუსულ და აღმოსავლურ ენებს, ბრწყინვალედ იცოდა საბერძნეთ-რომის ლიტერატურა და ისტორია, იცნობდა ბერძენ ფილოსოფოსთა ნაშრომებს. თავისი შემოქმედებით თავდადებით ებრძოდა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლილობას და შინაგანი გაერთიანებული ძალის მეშვეობით ცდილობდა ირან-ოსმალეთისაგან სამშობლოს გამოხსნას. ამ მიზნით ერთმანეთთან აკავშირებდა მეფე-მთავრებს და ქართველი ხალხის დაქსაქსულ ძალებს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად. 1811 წ. აგვისტოს სოლომონ ლიონიძე გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ XVIII ს. მიწურულში ფეოდალური არისტოკრატიის გარკვეული ოდენობა რუსეთთან უშუალო შეერთების მომხრე იყო იმ მოტივით, რომ ოსმალეთ-ირანის ძალმომრეობის პირობებში რუსეთი მფარველის როლში მოევლინებოდა და ისტორიული მიწა-წყლის შემოერთება, ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებაში დაეხმარებოდა. ამ მიზნით, საქართველო რუსეთის ჯარებთან ერთად მონაწილეობდა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ის პერიოდია, როცა XVI საუკუნიდან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა ოსმალეთის მძიმე უღელქვეშ იმყოფებოდა და ოცნებობდნენ მისგან თავის დაღწევაზე. ისე, რომ სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი ოსმალეთის სახელმწიფოს მფლობელობაში იყო და ე.წ. „ახალციხის საფაშოში“ ერთიანდებოდა. აღნიშნული საფაშო წარმოადგენდა ოსმალეთის აგრესიის მთავარ დასაყრდენს ამიერკავკასიაში. ამიტომ, საქართეველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ სწორედ საფაშოდან უტევდნენ ოსმალები ქართლ-კახეთს, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ დამყარებული ჭართან და დაღესტანთან.

1828 წ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ომი. 23 ივნისს რუსეთის ჯარმა დაიპყრო ქ. ყარსი, 15 ივლისს ქ. ფოთი, 24 ივლისს

აღებული იქნა ახალქალაქი, ხოლო 16 აგვისტოს ქართველთა რაზმების ენერგიული მონაწილეობით ქ. ახალციხე. 1829 წ. 14 სექტემბერს ადრიანოპოლში დადებული ზავის თანახმად რუსეთმა შეიერთა ძველი ქართული ქალაქები: ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. ისე, რომ სამცხე-საათაბაგოს ერთი მცირე ნაწილი კვლავ საქართველოსთან ერთად რუსეთის მფარველობაში გაერთიანდა.[53] საქართველო რუსეთის საბრძოლო მოქმედებაში, აქტიურად იყო ჩაბმული, რაც კარგად გამოიხატა 1806-1812 და 1828-1829 წლების ომებში. აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა მომდევნო ხანებში, როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა შავ ზღვაზე გაბატონების მოპოვება, სადაც კავკასიის ფრონტი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტად იქცა. ეს ის პერიოდია, როდესაც 1854 წ. ქართველთა გაერთიანებულმა სამხედრო ნაწილებმა რუსეთის ჯართან ერთად განუმეორებელი შემართებით შეძლეს თურქების მრავალათასიანი ჯარის დამარცხება და დასავლეთ საქართველოდან განდევნა. აღნიშნული ოპერაციები განსაკუთრებით ისახელეს თავი: გენერალმა ი. ანდრონიკაშვილმა, 75 წლის მოხუცმა ქაიხოსრო მიქელაძემ, გიორგი ჯანდიერმა, გიორგი მაჩაბელმა, ზაქარია ანდრონიკაშვილმა, ნიკო ჭავჭავაძემ, დავით ჯავახიშვილმა, ელისა ბერიძემ, გიორგი ერისთავმა, ბოდბისხეველმა ნატროშვილმა, ივანე მუხრან-ბატონმა და სხვ.

როგორც ითქვა, XIX ს. პირველი ნახევარი და შემდგომი, საგლეხო რეფორმის წინა პერიოდი გამოირჩევა მშრომელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი მდგომარეობის გაუარესებით, რომელიც იწვევდა კლასობრივი ბრძოლის კიდევ უფრო გამწვავებას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ძვრები ანტიბატონყმური, რევოლუციური იდეოლოგიის წარმოქმნისათვის, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერის მოწინავე საზოგადოება.

რაც შეეხება აღნიშნული საუკუნის 60-იან წლებს, საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდადაა მიჩნეული. ამ ხანას უკავშირდება, როგორც საგლეხო, ისე ბურჟუაზიული

---

[53] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. გვ. 884.

რეფორმები, რამაც დააჩქარა კაპიტალისტური საზოგადოების ზრდა და ფეოდალური, კარჩაკეტილი ურთიერთობის რღვევის პროცესი. დღითიდღე იზრდება სოფლიდან ქალაქად მუშახელის — გლეხობის გადინების პროცესი. იაფფასიანი გლეხობის გვერდით, არანაკლები სახარბიელო აღმოჩნდა წვრილი ხელოსნების და ვაჭარ-მიკიტნების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ქალაქის ადგილობრივი ვაჭრები სულ უფრო და უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ახლად მოსული ვაჭრების მომრავლებისა და გავლენის გამო, რომელსაც მათი აზრით მთავრობა უწყობდა ხელს.

ზემოაღნიშნულ პროცესებში უპირველესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის ცენტრალური ქალაქების მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობა. ამ მხრივ კი ქართლის სინამდვილეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მუხრანის ეკონომიკურ-მეურნეობრივ ზონას, რომელიც სტრატეგიული მდებარეობითაც გამოირჩეოდა. კერძოდ, ცენტრალურ ბაზრებთან მჭიდრო ურთიერთობამ ბიძგი მისცა გამოცოცხლებულიყო და განვითარების ახალ ფაზაში გადასულიყო ღვინის, ხილ-ბოსტნეულის, მესაქონლეობის პროდუქტ-ნედლეულის წარმოება-გადამუშავების ობიექტები. მიუხედავად იმისა, რომ საგლეხო რეფორმას ქართველ თავად-აზნაურთა გარკვეული ნაწილი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა და ცდილობდა მის რამენაირად დამუხრუჭებას, ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა და მისმა პროგრესულმა ჯგუფმა დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით შედგენილ პროექტს დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა, მიიღო არა მარტო უმრავლესობისა და უმცირესობის მიერ შემუშავებული პროექტი, არამედ თავად ივანე მუხრანბატონის მიერ შედგენილი ერთპიროვნული აზრიც, რომელიც ითვალისწინებდა საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობაში აჩქარება დამღუპველი იქნება და 60-იან წლებში ბატონყმობის გაუქმება ნაადრევად მიაჩნდა. ისე, რომ ამით, ყველაზე რთული და მთავარი საკითხი, ანუ მიწის პრობლემა, რომელიც რეფორმის შედეგად უნდა განხორციელებულიყო, მუხრან-ბატონმა პრივილეგირებულთა სასარგებლოდ გადაჭრა. ამრიგად, 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმების შედეგად, ყმებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ,

რაშიც თავადაზნაურობამ, გარდა ერთდროული ანაზღაურებისა, დამატებითი დახმარებაც მიიღო.

XIX ს. 80-იანი წლებისათვის ი. მუხრან-ბატონის მამულში მცხოვრები 74 კომლი ხიზანი მიწის სარგებლობისათვის იხდიდა როგორც პროდუქტებით, ისე შრომით. რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხებს უარს ეუბნებოდნენ ფულად ანაზღაურებაზე და ამდენად მათი დაინტერესება მაღალმწარმოებლებისადმი ერთობ უმნიშვნელო იყო.

ივანე მუხრან-ბატონი თბილისის გუბერნიაში ერთ-ერთი მსხვილი მიწისმფლობელი იყო, რომლის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაში მეღვინეობა-მევენახეობა წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, ბატონყმობის გაუქმების შემდგომ, განსაკუთრებით მატულობს ხიზანთა მოძრაობა, რომელიც ყველაზე ფართოდ მიმდინარეობდა თბილისის გუბერნიაში, სადაც საგლეხო რეფორმა ხიზანთა მხოლოდ ერთ ნაწილს — ყმური წარმოშობის კომლებს შეეხო და ამით მათი ეკონომიური მდგომარეობა მნიშვნელოვანდ გაუარესდა. მიუხედავად ამისა, ზოგადად, ხიზანთა პრობლემის მოგვარებას მთავრობა მაინცდამაინც არ ჩქარობდა, რაც ბუნებრივია გლეხობაში იწვევდა მღელვარებას და აქედან გამომდინარე იგი იძულებული ხდებოდა გარკვეული ღონისძიებებიც კი განეხორციელებინა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ გადასახადების გადახდის მხრივაც შედარებით უკეთესი პირობები ისევ სახაზინო გლეხებს ჰქონდათ. მეორე ადგილზე დროებით ვალდებული, ხოლო მესამეზე ხიზანი გლეხები ყოფილან. ისე, რომ XIX ს. 80-იანი წლების მონაცემებით, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში (მუხრან-ბატონის ხიზნების მიხედვით), სახელმწიფო გლეხის ერთი კომლი საშუალოდ იხდიდა 13 მან. და 75 კაპ. დროებით ვალდებული — 28 მან. 84 კაპ. და ხიზნისა — 66 მან. და 43 კაპიკს.[54]

ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი საქართველოში შესაბამისი თავისებურებებით ხასიათდებოდა. ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ სოფლის მუშა ხალხს უბიძგა ქალაქისაკენ, სადაც სამუშაოს შოვნა არც-

---

[54] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 567.

თუ იოლი არ იყო. სამუშაო ძალას სამრეწველო ცენტრებში უმთავრესად სოფლიდან მისული გაღატაკებული გლეხობა წარმოადგენდა. გლეხთა უკმაყოფილება და გამოსვლები დიდი სისწრაფით მატულობდა და ორგანიზებულ ხასიათს იძენდა. ისრდებოდა გლეხთა დემოკრატიული მოძრაობის ორგანიზციების ქსელი. ამ მხრივ ქართლში გამოირჩეოდა სოფ. მუხრანისა და მჭადიჯვრის ორგანიზაციები. მწიფდება რევოლუციური სიტუაცია, რომელიც რუსეთის შესაბამისი მოძრაობის ანარეკლად ხდებოდა. 1917 წლის აპრილის დამდეგს მუხრანის საუფლისწულო მამულის გლეხობა იწყებს მიწების თვითნებურად მითვისება-დამუშავებას. ასეთსავე ქმედებებს ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვა მხარეებშიც. 1917 წლის 25 ოქტომბერის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში რევოლუციური განწყობა იზრდებოდა. თუმცა მთლიანად ამიერკავკასიის მასშტაბით კონტრრევოლუციური ძალები საგრძნობლად ორგანიზებულად მოქმედებდა. საქართველოს სინამდვილეში, კერძოდ თბილისში აქტიურად მიმდინარეობდა კონტრრევოლუციური ბლოკის მუშაობა, რომელიც პრობლემებს უქმნიდა ბოლშევიკურ ზრახვებს.

1918 წლის 26 მაისს, როდესაც ამიერკავკასიის დაუძლურებული სეიმი დაიშალა, მენშევიკებმა, რომელსაც ეროვნული საბჭოს სახით ფაქტიურად მთავრობას შეადგენდა, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა შემდგომში მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებში დაშვებულმა შეცდომებმა და საბჭოთა რუსეთის მომძლავრებამ, საბოლოოდ შეწყვიტა დამოუკიდებლობა და ძალისმეირი მეთოდებით საქართველო დაექვემდებარა ე.წ. რუსეთის სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელმაც შვიდ ათეულ წელზე მეტხანს იარსება.

თავი მეორე

სოფლის მეურნეობა

არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მიხედვით, „დიდი მცხეთის“ სანახებში მდებარე „მუხრანით კერძი ქალაქის“ ნაირფეროვანი ველები და ზეგანი ადგილები, ოდითგანვე მრავალწახნაგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებით გამოირჩეოდა. აქ, შესაბამისი მიკროზონების მიხედვით კარგად იყო შერწყმული, როგორც მარცვლეული კულტურების წარმოება, ისე მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა და მეცხოველეობის დარგები. რეგიონის დაბლობი, ნოტიო, წყალუხვი ადგილები, მთისა და ბარის გარდამავალი — ზეგანი, ურწყავ-სარწყავი ფართობები, შესაბამის პირობებს ქმნიდა ამ დარგების ინტენსიური განვითარებისათვის და პროდუქტ-ნედლეულით მსხვილი სავაჭრო დაბა-ქალაქების მომარაგების უზრუნველყოფისთვის.

ისე, რომ მუხრანის სანახები, როგორც მაღალი მეურნეობრივი თვისება-თავისებურებებით შემკული ტერიტორია, კარგად იყო ცნობილი მის ფარგლებს გარეთაც. აქაური ღვინო, ბოსტნეული, ხილეული, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, ფრინველი და სხვ. ბაზარზე ფართო მოთხოვნილებით და მაღალხარისხოვანი პროდუქციულობით გამოირჩეოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა, კერძოდ მარცვლეულის წარმოება, დაფუძნებული იყო უპირველესად ადგილობრივ, ქართულ, ანუ ენდემური ჯიშების მრავალსახეობაზე, ნიადაგების შედგენილობა-დამუშავების მაღალ ტექნოლოგიაზე, სარწყავი სისტემის ინტენსიურ დონეზე მოწყობაზე და სხვ., სადაც უძველესი დროიდანვე ფართოდ გამოიყენებოდა საკვეთ-სახნისით გაწყობილი ფრთიანი — „დიდი ქართული გუთანი“ და სადაც გამწევ, ცოცხალ ძალას 8-12 უღელი ხარ-კამეჩი წარმოადგენდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართლის მიწათმოქმედებაში გამოყენებულ ცოცხალ გამწევ ძალაში განსაკუთრებული ადგილი მუხრანული ჯიშის კამეჩს ეკავა, რომელიც მაღალი პროდუ-

ქტიულობითაც გამოირჩეოდა. (რძის მაღალი ცხიმიანობა, ხორცის თავისებური გემოვნება, ტყავის საღვინე რუმბებისა და ფეხსაცმელების წარმოებაში გამოყენება და სხვ.). ამასთან, მსხვილფეხა პირუტყვის სახეობებს შორის კამეჩი, შედარებით იოლი შენახვით — კვებითაც გამოირჩევა და სხვ. ამიტომ, ქართლის ზეპირსიტყვიერებაში, დღევანდლამდე შემორჩენილი გამოთქმა: „კამეჩო მუხრანულიხარ, გაწევა გეცოდინება ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს. ამასთან, დღესაც კარგადაა ცნობილი: მუხრანული ღვინო, მუხრანული ქათამი, მუხრანული კიტრი, მუხრანული მჟავეული და სხვ.

1782 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროა იმდროინდელი საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის, საინტერესო მონაცემებია დაფიქსირებული კონკრეტულად მუხრანის საბატონოს ანუ ე.წ. „მუხრანის ნაჰიეს" შესახებ. აღნიშნულ დავთარში, სადაც დასახელებულია ათასზე მეტი სოფელი, მათზე ცალ-ცალკეა მიწერილი დაწესებული გადასახადის არა მარტო რაოდენობა და პროდუქტ-ნედლეულის რაობა, არამედ მოცემული, შესაბამისი სოფლის საზღვრები, მოსახლეობის ოდენობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ.

ოსმალო ხელისუფალთა მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ზოგადად XVI ს. 70-იანი წლების მოვლენებს ასახავს და ერთ-ერთი ნაწილი ისლამთა სახელის — ლალა-ფაშას მიერ ქართული პროვინციების აშკარა ისლამიზაციას და მის სავაკუფო მფლობელობაში გადასვლას ეხება, გადასახადის რაობა მხოლოდ ოსმალური აღჩით განისაზღვრება. ისე, რომ აღნიშნულ დავთარში, საყურადღებო ცნობებია დაცული მუხრანის ე.წ. ლივაზე, სადაც საუბარია 45 გაერთიანებულ სოფელზე, რომელთა შორისაა მცხეთის ეკლესია, რამდენადაც ამ დროისათვის იგი მუხრანს ექვემდებარებოდა, სადაც სულ 12 კომლია შესული. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მუხრანის 45 სოფლიდან, მხოლოდ 6 სოფელია დასახელებული, სადაც მოსახლეობა

სრულყოფილადაა წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი ნახევრად ან მთლიანად დაცარიელებულია. მიუხედავად ამისა, თითოეულ სოფელზე მაინცაა შეწერილი გარკვეული ოდენობის გადასახადი.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მუხრანის ნაჰიეს მცხეთის ეკლესიის 12 კომლზე გაწერილი გადასახადების მიხედვით, შეადგენდა: „ხორბალი 100 ქილა, არჩა 3816, ქერი ქილა 80 ახჩა 1200, ჭვავი ქილა 20 ახჩა 300, ფეტვი ქილა 40 ახჩა 600; გადასახადი ცხვარზე 1500, გადასახადი ერბოზე 200, გადასახადი არუსანეზე 120, გადასახადი მურახსასი, გაბრანზე 14 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვეკაჩკუნ, ბეითალმანი ამავე სახე, ძალი გაიფ მალი მეფკუდ 250, შემოსავალი დაჭერილ თევზზე ჯამი 5000, საერთო ჯამი 15000“[55] ამასთან, აღსანიშნავია, რომ გადასახადის გაწერაში ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული და მითითებული კონკრეტული მონაცემები, გარემო ბუნებრივი პირობები და სხვ. მათ შორის თევზის დასაჭერი ადგილებიც კი მდ. მტკვარზე. ხოლო სამთავროს ეკლესიის შესახებ კი აღნიშნულია, რომ მას უკავია 250 დღიური მიწა, სადაც იწარმოებოდა 3000 ქილა მარცვლეული. შემდეგ მოზდევს: სოფ. ახალციხე, რომელიც ცარელია რეაისაგან და უკავია 400 დღიური მიწა და იძლევა 15000 ქილას; სოფ. კოდმანი, ექვემდებარება მუხრანს, სადაც აღრიცხულია 15 კომლი (გვარებით დ.ჰ.), რომელზეც გაწერილია ხორბალი ქილა 200 ახჩა 4000, ქერი 150 ქილა 2250 ქილა, ჭვავი 80, 1200 ახჩა, ფეტვი 100 ქილა, 1500 ახჩა, გადასახადი ცხვარზე 1800, სკაზე 180, ერბოზე 180, არუხანის 180, თევზზე 280, დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 220, ღირზე 380, სხვადასხვა 280, სულ 14250 ახჩა.[56] ამას მოზდევს: სოფ. საფურცლე, რომელიც ცარიელია აგრეთვე რეაისაგან (ყველა ესენი ექვემდებარება მუხრანს, დ.ჰ.), უკავია 50 დღიური მიწა, მარცვლეულის ჯამია 10 000 ქილა; სოფ. ქინძარა, ცარიელია 50 დღიური მიწა, მარცვლეული მოდის 2200

---

[55] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, აკად. ს. ჯიქიას რედაქციით, გვ. 450.

[56] იქვე, გვ. 451.

ქილა; სოფ. გოროვანი, ცარიელია, მიწა 50 დღიური (მიწის სიცარიელეში იგულისხმევა სახნავ-სათესი, დ.ჰ.), მოსავალი 9200; სოფ. კარაველი, ცხოვრობს 3 კომლი, უკავია 20 დღიური მიწა, საერთო შემოსავალზე გადასახადი 16000; სოფ. კობინიანი უკავია 120 დღიური (ცხოვრობს ერთი კომლი). ყველა გადასახადი შეადგენს 5000; სოფ. მისაქციელი, ცარიელია, მიწა 20 დღიური, მარცვლეულის ჯამი 10000 ქილა; სოფ. ციხისძირი, ცარიელია 20 დღიური მიწა, მარცვლეულის ჯამი 35000 ქილა, სოფ. სხალტაბა, 2 კომლი, 50 დღიური, საერთო გადასახადი 15000 ახჩა, სოფ. ქანდა, ცარიელია, 80 დღიური მიწა, საერთო გადასახადი 5000 ახჩა, სოფ. სასხორი, 2 კომლი, 20 დღიური, საერთო გადასახადი 2000 ახჩა; სოფ. ნადარბაზევი ცარიელია მიწა 20 დღიური, საერთო გადასახადი 10000 ახჩა; სოფ. ნასპარსევი, ცარიელია, 20 დღიური მიწა, საერთო გადასახადი 5000 ახჩა; სოფ. წილკანი, ცარიელია, უკავია 50 დღიური, გადასახადი 18000; სოფ. ძალისი, ცარიელია, უკავია 20 დღიური, გადასახადი 4000; სოფ. ახალდაბა, ცარიელია, უკავია 50 დღიური, გადასახადი 12000 ახჩა; სოფ. ტყვილიანი, ცარიელია, 50 დღიური, გადასახადი 15000 ახჩა; სოფ. საბურდიანო, ცარიელია, 50 დესეტინა უკავია და იხდის 5000 ახჩა; სოფ. უჟანო, ცარიელია, უკავია 80 დესეტინა, გადასახადი 5000 ახჩა; სოფ. გინეფერი ცარიელია,, უკავია 50 დესეტინა მიწა, იხდის 4000 ახჩას; სოფ. ჯვარმაგარი, ცარიელია, უკავია 20 დესეტინა, გადასაახდი 18000 ახჩა; სოფ. კოდის წყარო, ცარიელია, ფლობს 50 დღიურს, გადასახადი 10000 ახჩა; სოფ. ყურის უბანი, ცარიელია, 50 დესეტინა, გადასახადი 18000 ახჩა; სოფ. ჩუბინიანი, ცარიელია, უკავია 50 დესეტინა, გადასახადი 4000 ახჩა; სოფ. თელოვანი, ცარიელია, უკავია 50 დესეტინა, გადასახადი 9000 ახჩა; სოფ. ქსორისი, ცარიელია, უკავია 50 დესეტინა; გადასახადი 25000 ახჩა; სოფ. შიოსუბანი, ცარიელია, უკავია 50 დესეტინა, გადასახადი 19000 ახჩა; სოფ. ბეგთა თავი, ცარიელია, უკავია 20 დღიური, გადასახადი 18000 ახჩა; სოფ. ოკამი, ცარიელია, უკავია 50 დღიური, გადასახადი 20000 ახჩა; სოფ. თესი, ცარიელია, უკავია 50

დესეტინა, გადასახადი 7000 ახჩა; სოფ. ბერი ერისთავი, ცარიელია, უკავია 50 დესეტინა, გადასახადი 2900 ახჩა; სოფ. წეროვანი, ცარიელია, მიწის ოდენობა 400 დესეტინა, გადასახადი 15000 ახჩა; სოფ. რუსა, მიწის დღიური მფლობელობა 100 დესეტინა, სხვადასხვა გადასახადი 2000 ახჩას; სოფ. ციხე ქადაგი, ფლობს 145 დღიურს, გადასახადი 2000 ახჩას; სოფ. საგუდა, უკავია 185 დესეტინა, გადასახადი 2000 ახჩა; სოფ. ჭილუ რდინუსი, უკავია 200 დესეტინა მიწა, მარცვლეულისა და სხვადასხვა გადასახადი 10 000 ახჩა.[57]

როგორც ვნახეთ, აღნიშნული დოკუმენტი მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემებს შეიცავს, სადაც ამ შემთხვევაში ფრიად მნიშვნელოვანია სამუხრანბატონოს სოფლის მეურნეობის დარგთა სტრუქტურის, სათესი ფართობებისა და სოფლების ოდენობა, სულ 410, მათი ის სახელწოდებები, რომელთა დიდი ნაწილი სადღეისოდ ან ნასოფლარია, ან მის ადგილმიდამოებში ახალი დასახელების სოფლებია წარმოდგენილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე საუკუნის დიდ მოღვაწეს, ვახუშტი ბატონიშვილს, „მუხრანის სამთავრო"-ში 56 სოფელი აქვს შეტანილი, რომელიც მუხრანისაგან გამოყოფს მცხეთისა და მის „ქვეყანას" და მათ მიათვლის: შინდისს, მუხათ-გვერდს, კარსანს, მცხეთას, კოდმანს, არმაზს, ციხე დიდს, ძეგვს, ხეკორდს, სასხორს.

ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი, ერთხელ კიდევ გვამცნობს, რომ ხორბლეულის წარმოებით, საქართველოში უძველესი დროიდანვე ქართლი წარმოადგენდა ბელელს, რასაც უზრუნველყოფდა მაღალ დონეზე მოწყობილი სარწყავ-საირიგაციო სისტემის არსებობა. აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევით, „დიდი მცხეთის" პერიფერიაზე მდებარე მუხრანის ერთ-ერთი უმთავრესი არხი ძველ ქართულ მასალებში „საგლეხო რუდ" იწოდებოდა, რომ პირველყოვლისა სწორედ ამ

[57] იქვე, გვ. 456.

სანახებშია სავარაუდებელი სამეფო მეურნეობის პოზიციების განსაკუთრებული სიმტკიცე.[58]

ჯერ კიდევ ელინისტური ხანის ქართლის, კერძოდ მცხეთის, უფლისციხისა და ურბნისის შესაბამისი ისტორიული მასალებით დასტურდება, რომ ამ დროისათვის განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგები შეუძლებელი იყო მაღალი ხელოვნებით მოწყობილი სარწყავ-საირიგაციო სისტემის გარეშე. სწორედ აღნიშნული პერიოდისათვის უნდა ყოფილიყო მოქმედებაში თუნდაც ურბნისის ტირიფონის, ნასტაგისის, მუხრანის ველის, დიღმისა და სხვა სარწყავ-საირიგაციო სისტემები, რომელთა უმრავლესობა ესოდენ რთულ ნაგებობებს წარმოადგენდა.

ანტიკური ქალაქები, რომელნიც ამ შემთხვევაში იბერიაში არსებობდნენ და მათ შორის ქართლის ტერიტორიაზე, ბუნებრივია წარმოდგენილი იყო სასოფლო გარეუბნებით, რომელნიც მოსახლეობას შესაბამისი პროდუქტ-ნედლეულით ამარაგებდნენ. არსებული ისტორიული მასალების მიხედვით, აღნიშნული ხანისათვის, ეკონომიკურად ერთ-ერთ მძლავრ გარეუბანს მცხეთის საზღვრებში მიეკუთვნებოდა: ნაქულბაქევი, მუხათგვერდი, კარსანი, სოფელი ქართლი, კოდმანი, წიწამური, ჯაჭვი, ავჭალა, მუხრანი, ნასტაგისი, ციხედიდი, დიღმის ველი და ა.შ.[59]

ქალაქმშენებლობა თავისთავად აფართოებდა მის ირგვლივ ათვისებული და აუთვისებელი ფართობების მის სამსახურში ჩაყენებას და მათ სავარგულებად აქცევდა, რაზეც მეტყველებს ამ შემთხვევაში საკვლევი რეგიონის ირგვლივ არსებული ზემოაღნიშნული მასალები, კერძოდ ნასტაგისის, დიღმის, მუხრანისა და სხვ. სარწყავი სისტემები. ამასთან, მკვლევართა გარკვეული ნაწილი, სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქალაქმშენებლობა დასაქმებული მონებიდან გამონთავისუფლებული ნაწილი, მის მიმდებარედ, ახლად ათვისებულ მიწებზე

---

[58] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, 1970, გვ. 603.

[59] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 635.

სახლდებოდნენ და ისინი ყველაზე უუფლებო მიწათმოქმედნი ხდებოდნენ. აღნიშნულის ერთ-ერთ დასტურს წარმოადგენს ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში შემორჩენილი ცნობა მეფის მიერ ახლადგატანილ არხზე მერუვეთა დასხმის შესახებ და ე.წ. „საეკლესიო რუ", რომელიც მუხრანის ველზე არის დადასტურებული. და დასცა ვენაჴი და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუვენი და სტაგითა რუჲსაჲთა და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი" /ნარკვევები, ტ. II, გვ. 641/.

შედარებით მწირი წერილობითი და მატერიალური კულტურის ისტორიული წყაროების მიუხედავად, თამამად შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ სარწყავი მეურნეობის განვითარება ყოველთვის იყო საერთოსახელმწიფოებრივ მშენებლობის ობიექტი. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც IV ს. მიწურულის ერთი ცნობა, რომელიც იტყობინება, რომ მეფე თრდატმა „რუსთავისა რუჲ გამოიღო". ამავე წყაროს ცნობით, VI ს. გაუტანიათ წილკნის რუ, ხოლო V-VI საუკუნეების მონაცემებით კი ამ დროისათვის ცნობილი იყო ისეთი მსხვილი სარწყავი სისტემა, როგორიც იყო: ნახიდურის, გაჩიანის, მუხრანის, რუისურბნისისა და სხვა დიდი და მცირე არხები, რომელთაც თავის მხრივ დიდი სოციალური ტეხილი მოჰყვა.[60] აღსანიშნავია, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი „გლეხის" „გლახასთან" შედარებისას აღნიშნავს, რომ ტოპონიმი „მუხრანის რუ ქსნიდან, „სიგლახის სახელწოდებით იხსენიება".

სახნავ-საირიგაციო სისტემის მაღალ დონეზე მოწყობა თავისთავად გათვლილი იყო ქვეყნის მთავარი ეკონომიკური საფუძვლის — მარცვლეული კულტურების ინტენსიურ წარმოებაზე. სწორედ ამ გზით მიმდინარეობდა მშიერი, აუთვისებელი ველების, თუნდაც სათიბ-საძოვრების ათვისება და გაფართოვება. სარწყავ-საირიგაციო მშენებლობის განვითარება უზრუნველყოფდა ამგვარი დგილების არა მარტო ხალხის სამსახურში ჩაყენებას, არამედ ახალი სოფლებისა და დაბა-ქალაქების აღმოცენებას. ამასთან, ყველა ზემოაღნიშნული

---

[60] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, გვ. 362.

პრობლემების გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, იარაღ-ინვენტარის წარმოება-განვითარების გარეშე. ამის ნათელ მაგალითად მიგვაჩნია თუნდაც ვახტანგ გორგასლის პერიოდის ქართლში საკმაოდ მაღალ დონეზე არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ შორის ისეთი სამიწათმოქმედო იარაღი, როგორიც იყო ერქვანი (დიდი ქართული გუთანი), სადაც მრავალუღელიანი — გუთნეული — გამწევი ძალა გამოიყენებოდა. იგი წარმოადგენდა ამ პერიოდისათვის ერთ-ერთ რთულ — სახნის-საკვეთიან, ფრთიან სახნავ იარაღს. ამასთან, მთის პირობებისათვის განსაკუთრებით ეფექტურ სამიწათმოქმედო იარაღს წარმოადგენდა უფრო მარტივი და მსუბუქი, ცალუღელა სახვნელი, რომლის ერთი სახეობა „აჩაჩა გუთნის" სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს, განსაკუთრებით მთის რეგიონებში დღესაც კარგად ახსოვთ და გარკვეულწილად ძნელად მისადგომ პატარ-პატარა ფართობებში, ბაღ-ბოსტნების ნიადაგის დამუშავებისას იყენებენ ე.წ. „ქართულ", „ფშაურ", „რაჭულ", „იემრულ", „სვანურ" და სხვ. სახვნელ იარაღებს. ამ პერიოდისათვის მემინდვრეობის სისტემაში წამყვანი ადგილი ხორბლის წარმოებას ეკავა, რომლის საკვები მცენარეულის ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად „ხუარბლად" მოიხსენიებოდნენ.[61] ხორბლეულიდან ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა უძველესი ქართული ჯიშები იფქლი და დიკა. ისიც ცნობილია, რომ ხორბლეული კულტურების ერთ-ერთ სამშობლოდ საქართველო მიიჩნევა, სადაც არსებობდა შესაბამისი ბუნებრივი პირობები გარეული და პრიმიტიული ჯიშების კულტურულ სახეობებად ჩამოყალიბებისათვის. ბუნებრივია, რომ ხორბლეულთან ერთად ძველთაგანვე იწარმოებოდა ქერი და ფეტვი.

რაც შეეხება ზოგადად, მუხრანის მხარეში სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვან სტრუქტურას, აქ, მარცვლეული კულტურების წარმოების პარალელურად, განსაკუთრებით მაღალ დონეზე იყო განვი-

---

[61] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. 1, 1930, გვ. 319.

თარებული მევენეხეობა-მეღვინეობის წარმოება, რამდენადაც აღნიშნულის პროდუქტ-ნედლეულის მოხმარება ქართველი კაცის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, როცა ერთ-ერთი უძველესი სარწყავი არხის არსებობა ქართლში, უპირველესად მრავალწლიანი ნარგავებისა და კერძოდ მევენახეობის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ისე, რომ მევენახეობა-მეღვინეობის უძველსი დროიდანვე მაღალ დონეზე წარმოსაჩენად უამრავ სხვა წერილობით წყაროებთან ერთად IV-V საუკუნეებით დათარიღებული ნაირფეროვანი ქვევრებისა და სხვა მასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის უამრავი ძეგლები მეტყველებენ.

აკად. ნ. კეცხოველი მუხრანის შესახებ წერს: „მუხრანის ვაკე ქსნისა და არაგვის შუა მდებარე ვრცელი მინდორია მდინარე ნარეკვავით გადაკვეთილი, რომელიც ორივე მთის დიდი მდინარის გავლენას განიცდიდა ევროპული წესით დაყენებული მუხრანული ღვინო საქართველოს ღვინოებს შორის პირველობდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი ნიადაგმცოდნენი მუხრანის ვაკის ნიადაგებს განიხილავენ როგორც ჭალის ტყის ნიადაგების ერთ-ერთ სახესხვაობას ...“ მევენახეობა და მეღვინეობა კარგად განვითარდა მუხრანსა, აღაიანსა და საგურამოში“...[62]

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ისტორიაში, IX-X საუკუნეებში გარდამავალი ეტაპია ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებთან ერთად ბუნებრივია განვითარების მაღალ დონეს აღწევს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები. მეზობელ სახელმწიფოებში, სადაც მიმდინარეობდა დამოუკიდებელი, შედარებით პატარა სახელმწიფოების ჩამოყალიბება და შესაბამისად ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა, თავისთავად სასიკეთო ზეგავლენას ახდენს საქართველოში სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე, საიდანაც გაედინება გარკვეული

---

[62] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, 1957, გვ. 187.

სახის პროდუქტ-ნედლეული. ისე, რომ აღნიშნული პერიოდისათვის, საქართველო, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის როგორც მაჰმადიანურ ისე ქრისტიანულ ქვეყნებთან და ეს პროცესი ბუნებრივია ყველა პირობას ქმნიდა, რათა მათ შორის სოფლის მეურნეობისა და მისთვის შესაბამისი იარაღ-ინვენტარის გაუმჯობესება-განვითარებაც მაღალ დონეზე ყოფილიყო წარმოჩენილი. ამ მიმართებით, განსაკუთრებით აქტიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი IX-X საუკუნეებში, როდესაც ნათლად იყო გამოკვეთილი სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების ინტენსიური აღმავლობის პროცესი, როგორიც იყო: მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა განთავისუფლება დაიწყო არაბთა ბატონობისაგან და შესაძლებლობა შეიქმნა დაუსახლებელი ადგილების აღდგენის, სახნავ-სათესი ფართობების გაფართოების, ხალხის ცხოვრების პირობების მეტ-ნაკლები გაუმჯობესებისათვის და სხვ. ბუნებრივია, შესაბამისად იზრდება სხვა სამიწათმოქმედო ფართობებიც. მიწათმოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია უძველეს და უმნიშვნელოვანეს დარგს — მევენახეობა-მეღვინეობას, რომელმაც, როგორც ითქვა განვითარების მწვერვალს IX-X საუკუნეებში მიაღწია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ტაოკლარჯეთის სავანეებს, როგორც წესი, ყველას აქვს თავისი ვენახი[63], რომელიც აუცილებელი ელემენტია ამ დროის ქართველი კაცის მეურნეობაში. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვიდრდება ტერმინი „ვენახის“ მნიშვნელობა და ნარატიულ წყაროებში ფართოდ ვრცელდება ყურძნის ხატვა და გამოქანდაკება. არცისაა შემთხვევითი, რომ წმინდა ნინოს ხელში ვაზის ლერწისაგან გაკეთებული — შეკრული ჯვარია გამოსახული. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი გვამცნობს, რომ მესხეთში, ამ

---

[63] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II, 1935, გვ. 291.

თემის მთაგორიანების მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით ვითარცა დახელოვნებულ მიწისმოქმედთ, ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილ-ნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ.[64]

ამგვარად, აქ მოტანილი მცირეოდენი მონაცემებიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ვაზის კულტურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართველი მეურნის სისხლში და ხორცშია გამჯდარი, რომლისადმი უმაღლესი შეფასება დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ გამონათქვამში გამოიხატა. მევენახეობა, მეტნაკლებად, გარდა მაღალმთიანი ზოლისა, მთელ საქართველოში იყო განვითარებული, რასაც არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებთან ერთად, გვამცნობს მდიდარი ეთნოგრაფიული მასალაც. თანამედროვე ეთნოგრაფიული ყოფიდან აღსანიშნავია მუხრანბატონის მხარეში დაფიქსირებული არაერთი, მაღალი გემოვნებით და კულტურული მემკვიდრეობის დონეზე მოწყობილი ღვინის დაყენება-შენახვის ამსახველი დგამ-ჭურჭელი, ქვევრები და სხვა ატრიბუტი, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობების კომპლექსში მარანის სახითაა წარმოდგენილი. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, როცა მეღვინეობის დარგთან დაკავშირებული შესაბამისი საცავ-მოწყობილობა — მარნები, ისტორიის ბედუკუღმართობის პერიოდებში დროებით სახიზარ ადგილებში, მიუვალ ადგილებში, მღვიმეებშიც კი ჰქონდათ მოწყობილი. აქვე უნდა ითქვას, რომ ღვინის წარმოების ერთ-ერთ კლასიკურ რეგიონად აღიარებული მუხრანის სანახებში დღემდეა შემორჩენილი მაღალ დონეზე მოწყობილი „მუხრანბატონიანთ მარანი“.

როგორც ვიცით, სოფლის მეურნეობაში მაღალპროდუქტიული წარმოება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. ისიც ცნობილია, რომ ამ მხრივადაც, გეოგრაფიული მრავალფეროვნების შესაბამისად, საქართველოში არცთუ იშვიათად მიმდინარეობს დროის შესაბამისობასთან უჩვეულო, ჭირვეული კლიმატური მოვლენები, რომელიც ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად მძიმე ზემოქმედებას ახდენს მეურნის ფსიქოლოგიურ განწყობაზე.

---

[64] იქვე, გვ. 110.

სწორედ ამგვარი მოვლენის ასახვას უნდა წარმოადგენდეს თუნდაც დავით გურამიშვილის ლექსად თქმული:

„ვენახის ღვინო დაძვირდა, ქართლს დაემტერა რა ჭირი,
ვიმტვრივე ჭალას ბაბილო ნაქაჯი და ნაჭაჭარი;
მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უმზადე ტკბილი მაჭარი
ავს სარგებელსა არა იქს ამ უსასყიდლოს ვაჭარი“.

ქართველი მეურნის ვენახი, ძველთაგანვე გამოირჩეოდა ვაზის ჯიშთა სიუხვით, მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა მსოფლიოში დაფიქსირებული 500-ზე მეტი ჯიშიდან საქართველოზე მოდის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო ქართულ ღვინო-მასალას სადღეისოდ სახელი აქვს განთქმული პლანეტის უამრავ ქვეყანაში.

შუასაუკუნეების საქართველოს სინამდვილეში, მაღალ მეურნეობრივ დონეზე იყო წარმოდგენილი მებაღეობის დარგის კულტურა, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენის სოფლის მეურნეობის წარმოებაში იყო დამკვიდრებული. მებაღეობა-მებოსტნეობის დარგების განვითარების მისაბაძ მაგალითს იძლეოდა უმთავრესად საშუალო საუკუნეების აღმოსავლეთის, კერძოდ სპარსეთისა და შუამდინარეთის — ასურეთის მებაღეობა-მებოსტნეობის განსაცვიფრებლად მაღალი დონის არსებობა, რომელთაგანაც, როგორც ითქვა მჭიდრო კავშირურთიერთობა გაგვაჩნდა.

სამუხრანბატონოში სასოფლო მამულები განსაკუთრებით აღორძინდა ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობის უმცროსი შტოს ერთ-ერთი წარმომადგენლის ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის დროს, რომლის პაპა, ივანე საკმაოდ გავლენიანი, პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა რა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემუშავებაში, დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რეგულირების საქმეში. ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი ჩინით გენერალ-ლეიტენანტი იყო და მიუხედავად ამისა თავისი სამომავლო საქმიანობა მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარებას დაუკავშირა. მეღვინეობის დარგში მიღწეული წარმატებისათვის 1892 წ. იგი აირჩიეს სოფლის მეურნეობის

კავკასიური საზოგადოების საპატიო წევრად. მისი მამის — კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, მამული და ყმები ივანეს ბიძებს ოთხ ნაწილად გაუყვია. მეოთხედი წილი ივანეს შეხვედრია, რომელმაც ოთხ ძმასთან ერთად გაიყო. პირველ ხანებში მისი წლიური შემოსავალი ორმოც თუმნამდე აღწევდა, რომელმაც სულ მალე სამიათას თუმანს გადააჭარბა. მის შედარებით სწრაფად გამდიდრებას ხელი შეუწყო სამეგრელოს წარჩინებული გვარის, დადიანის ქალის შერთვამ, რომელსაც მზითვად დიდი ქონება მოჰყოლია. კერძოდ, დიღმის მამული თავისი სახლკარით. მან კარგად აუბა მხარი კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებას საქართველოში და იწყო მამულის ევროპულ ყაიდაზე მოწყობა. ამ მიზნით ერთხანს ბანკიც კი დაარსა, მონაწილეობა მიიღო სამთამადნო, ნავთობის გადამუშავების მრეწველობის განვითარებაში და სხვ. სწორედ ამგვარი ინტერესის შედეგს წარმოადგენდა მისი სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი დიდი ყურადღება. 1861 წელს თავდაპირველად მდ. ქსანის ნაპირზე „ელისაბედის" სახელით დაარსა ფერმა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდა და რომელსაც ფრანგი აგრონომი ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ფერმა ახლანდელი სოფ. აღაიანის ტერიტორიაზე, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე იყო მოწყობილი, რომლის ნაშთები დღესაც შეინიშნება და „ფერმის" სახელითაა ცნობილი.

1876-1887 წწ. სოფ. მუხრანის ჩრდ. აღმოსავლეთით, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით, ივანე მუხრანბატონმა, გააშენა ახალი კარ-მიდამო სასახლით, ღვინის სარდაფებითა და დეკორაციულ-დენდროლოგიური ფანჩატურ-ბაღით, როემლსაც XX ს. 70-იან წლებში 4,4 ჰექტარი ფართობი ეკავა. მუხრანბატონის იმჟამინდელი ფერმა-მეურნეობა იმთავითვე სავაჭრო-კაპიტალისტური მიმართულებისას წარმოადგენდა. მეურნეობა მრავალდარგოვანი კულტურებით გამოირჩეოდა. აქ იწარმოებოდა ღვინო, მეცხოველეობის პროდუქტი, მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, რომელიც ბაზარზე გადიოდა. ისე, რომ XIX ს. აქ წარმოებული პროდუქტ-ნედლეული გარე ბაზრებზეც ფართო მოთხოვნილებით ხასი-

ათდებოდა და შესაბამის ბაზრობა-გამოფენებზე მაღალი შეფასებითაც ხასიათდებოდა, რაც თავისთავად მისი ინტენსიური წარმოების საფუძველს იძლეოდა.

მუხრანის მიმდებარე სოფლებიდან მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით გამოირჩეოდა: ქსოვრისი, ოძისი, დამპალო, მუხრანი, ძალისი, საგურამო, ჭოპორტი და ბიწმენდი. მარტო 1874 წ. სოფ. მუხრანში გაშენებული იყო 176,5 დესეტინა ვენახი; 1896 წ. კი 232 დესეტინა. ისე, რომ 22 წლის განმავლობაში, მუხრანის სანახებში, ვენახის ფართობი 13,8% გაზრდილა. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის ერთი დესეტინა კარგი მსხმოიარე ვენახის ფასი 300-400 მან ღირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 1874 წ. იმავე სოფ. მუხრანში აღრიცხული 176,5 დეს. ვენახიდან. ივ. მუხრანბატონის მამულს ეკუთვნოდა 50 დეს. რომელიც ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, სადაც ვაზის წითელი ჯიშებიდან ძირითადად გავრცელებული იყო: საფერავი, კახური, თავკვერი, ფერადი, შავი და წითელი, გაღმამხრული, საააბი, ადრიანი, პარტყილი, დიღმური, მსხვილმარცვლა, ან საბატონო, ჟია; თეთრი ჯიშებიდან: მწვანე, რქაწითელი, არაგვისპირული, კახური, ხარისთვალა, ბუდეშური, თითა, გორული, შავთითა და სხვ.

ასეთ ვითარებაში, მუხრანის სანახების ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი სტრუქტურა, დიდ ქალაქებთან სიახლოვე და სხვ. უძველესი დროიდანვე ფართო შესაძლებლობას იძლეოდა აღნიშნული დარგების მაღალ დონეზე განვითარებისათვის. ამ გარემოებას ხელს უწყობდა აგრეთვე ფეოდალური, მსხვილი მამულის მიწისმფლობელობა, რომელიც გაუყრელი სახლის მემკვიდრეობით საკუთრებას ემყარებოდა და ნათესავთა ფართო წრეს მოიცავდა. მაგრამ, ძნელბედობის პერიოდში, კერძოდ XIII-XV სს., როდესაც მსხვილი მიწისმფლობელობის ძველი ცენტრები მოიშალა და ახლის შექმნისათვის სათანადო გზები მეტად შეიზღუდა და სოფლის მეურნეობა აღარ იყო მაღალშემოსავლიანი, რამდენადაც კავშირი გაწყდა ქალაქთან, აღარ მიმდინარეობდა სარწყავ-საირიგაციო ნაგებობათა აღდგენა-განვითარება, აღარ მიმდინარეობდა ახალი მიწების ათვისება და სხვ. ბუნებრივია დაქვე-

ითდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ-ნედლეულის წარმოებაც. ამიტომ, მომდევნო საუკუნეებში ადგილი აქვს მსხვილი მიწათმფლობელობის დაცვა-აღდგენის გამოვლინებას, რომელიც მიმდინარეობს არა მარტო ფეოდალის სახლის შიგნით, არამედ ორი, სამი ასეთი სახლების „შეყრილობით" — გამსხვილება-გაერთიანებით. უნდა ითქვას, რომ საერთოდ, საქართველო გამოსადეგი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი სიმცირით გამოირჩეოდა, მაგრამ იმ პერიოდებში, როდესაც მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა, აღნიშნული მოვლენა ნაკლებად იგრძნობოდა. ეს პროცესი საქართველოში განსაკუთრებით მიმდინარეობდა XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც მწარმოებელი მოსახლეობის შემცირების გამო, ერთდროს ინტენსიურად განვითარებული სოფლის მეურნეობა გაველურებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამ მხრივ შედარებით ნაკლებად დაქვეითდა მეცხოველეობის დარგები, რომლისთვისაც შესაბამისი საძოვრები და საკვებმომპოვებელი ბაზა ფაქტობრივად არ შემცირებულა. ცნობილია, რომ ძველთაგანვე, მიწათმოქმედების შემდეგ, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მთავარი ადგილი მეცხოველეობას ეკავა. ამ დარგის ინტენსიურ განვითარებას ხელს უწყობდა ალპური, სუბალპური, საზაფხულო და ზამთრის საძოვრები, სათიბები, მარცვლეული კულტურების წარმოების მრავალსახეობა და სხვ. მესაქონლეობის განვითარება თავისთავად ხელს უწყობდა ტრანსპორტის, მიწათმოქმედებისა და გადაადგილების საშუალებათა განვითარებას. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც ცხენი, ძროხა, ცხვარი თხა და შინაური ფრინველი არ ყოლოდა. აღსანიშნავია, რომ კახეთისა და ქართლის საქონელი ზაფხულში თრიალეთში იდგა. ვახუშტის ცნობებით ქართლის, განსაკუთრებით მაჰმადიანი მომთაბარე მესაქონლეები ყაიყულასა და პალაკაციოშიც მიდიოდნენ. მისივე მონაცემებით, ქართლის მესაქონლეთათვის ზამთრის საუკეთესო საძოვრებს შორის გამოირჩეოდა დიღმის ველი, აღაიანის მინდორი, მუხრანის ველი და სხვ. ისე, რომ ქართლის ამ რეგიონში საკმაოდ იყო განვითარებული, როგორც მსხვილფეხარქოსანი, ისე წვრილფეხა პირუტყვი. მუხრანის

საგარეუბნო ზონა მდიდარი იყო აგრეთვე სანადირო-სათევზაო ადგილებით, მეფუტკრეობით.

საქართველოში (და არამარტო აქ) ოდითგანვე პრობლემატურს წარმოადგენდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხი, სადაც მიწის მეპატრონე თუ დროებით მესაკუთრე, დამქირავებელი გლეხი მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იმყოფება. ამიტომ ამ მიმართებით ისტორიას ახსოვს მუდმივად მოქმედი, გატარებული რეფორმები. რუსეთში 1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ფაქტობრივად ხელუხლებელი დარჩა ბატონყმური მეურნეობა. აპრილში მუხრანელმა გლეხობამ თვითნებურად იწყო საუფლისწულო მამულების დამუშავება., სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მოხდა მიწების ნაციონალიზაცია და მათ დაუტოვეს მხოლოდ ე.წ. საკარმიდამო ფართობები; ბოლშევიკები გლეხებს ურჩევდნენ მემამულეთა წინააღმდეგ ორგანიზებულად ემოქმედათ და ა.შ.მეორე მსოფლიო ომის შემდგომ (1941-1945 წწ.) მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების მიმართულებით. გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი, გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკით და შესაბამისი მოწყობილობით მომარაგება, ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტების ქსელი, აღდგენილი და გაყვანილი იქნა ახალი სარწყავსაირიგაციო ნაგებობა, რომელიც მუხრანის ზონის სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც განხორციელდა.

თავი მესამე

მატერიალური და სულიერი კულტურა

„საზოგადოება ქმნის მეცნიერებას და კულტურას,
მეცნიერება და კულტურა მართავს საზოგადოებას“.

ქართულ საისტორიო მატიანეებში აღმოსავლეთ საქართველო ქართლადაა ცნობილი, ხოლო უცხოურ, კერძოდ ბერძნულ წყაროებში – იბერიად. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლი იყო ის ადგილი, სადაც დამკვიდრდა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი – ქართლოსი. აღნიშნული მატიანე, რომელიც საისტორიო თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და სადაც ქართველ ისტორიკოსთა მიერ თანმიმდევრულადაა მოთხრობილი ქართველი ერის თავგადასავალი უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე და იწყება ლეონტი მროველის ცნობებით უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნემდე, ვკითხულობთ: „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მასზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და ეწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა „ქართლი“. ხოლო შვილთა შორის მასთა გამოჩნდეს ხუთნიგმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს“.[65]

როდესაც საკვლევი რეგიონის ყოფისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს ვიხილავთ, იმთავითვე ხაზგასმული უნდა იქნეს იმ ისტორიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს თავისებურების შესახებ, რაც ამ მხარისათვისაა დამახასიათებელი. მუხრანის ადმინისტრაციული ცენტრი, როგორც ითქვა წარმოადგენდა გზაჯვარედინს, რომელზეც ოდითგანვე აქტიურად მიმდინარეობდა ადგილობრივი და მეზობელი სახელმწიფოებიდან ვაჭარ-ხელოსნების,

[65] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 8.

დიპლომატიური კორპუსის, სასულიერო და უბრალო, მომთაბარე, მიწისმოქმედი საზოგადოების გარკვეული ნაწილის განუწყვეტელი მოძრაობა, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის სულიერ, კულტურულ-ეკონომიკურ დონეს კიდევ უფრო მაღალ რანგში აყვანას.

არაგვის ხეობის საერისთაოში, ისტორიულად, საქართველოს სხვა მხარეებისა და რეგიონების მსგავსად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს განსაზღვრავდა არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური გარემო. აქედან გამომდინარე, საკვლევი რეგიონის სოციალური დიფერენციაციის პროცესი, შესაბამისად, როგორც პირველადი ფორმა, უმთავრესად ბარის მოსახლეობის ფენაში მიმდინარეობდა და აქედან გამომდინარე, პრივილეგირებული საზოგადოების წარმოჩენაც აქ შეინიშნებოდა. ისე, რომ სავსებით ნათელია, როდესაც ფეოდალური კლასის, ანუ ერისთავთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაც და აღზევებაც უმთავრესად ბარის ზონაში მიმდინარეობდა.

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, ფრიადსაყურადღებო გამოკვლევა აქვს პროფ. დ. გვრიტიშვილს, რომელმაც შესაბამისი წერილობითი წყაროების მიხედვით გააანალიზა არაგვის ხეობის ერისთავების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გვიჩვენა მმართველობის სისტემის თავისებურებანი. მის მიერ დამოწმებული ერთ-ერთი დოკუმენტი (– 1474 წ. 24 ივნისი) გვამცნობს, რომ ვამიყ შაბურისძე-შაბურიშვილი არაგვის ერისთავია და მას „ჭერია დაბალი საერისთაო". ამ და სხვა დამოწმებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ XII-XV საუკუნეებში ეს გვარი არაგვის ერისთავები იყვნენ, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათი საერისთავო მოიცავდა არა მთელ არაგვის ხეობის ტერიტორიას, არამედ მარტო მის ქვედა ნაწილს, ანუ ბარის ტერიტორიას და შესაბამისად ეწოდებოდა კიდეც „დაბალი საერისთაო".[66]

---

[66] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955. გვ. 84.

ამასთან, ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, ვახუშტი ბატონიშვილის-ბაგრატიონის ცნობით, ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრების გაბოგანოებამდე არაგვის ხეობაში ერისთავებად მსხდარან არა შაბურისძენი, არამედ თექთურმანიძე და ჭარმეთელი რომელთა ამოწყვეტის შემდგომ, ნუგზარ ერისთავის წინაპრები გაბატონებულან. ამ კონტექსტში ფრიადსაყურადღებოა იმავე პროფ. დ. გვრიტიშვილის დასკვნა, რომელიც დაფუძნებულია „ჟამთა აღმწერლისა" და ბერი ეგნატაშვილის ცნობებზე, სადაც XIII ს. დამლევსა და XIV ს. დამდეგს, არაგვის ერისთავებად შაბურიძეები ყოფილან და რომ XVI საუკუნიდან მდგომარეობის გართულებით უსარგებლიათ ნუგზარ ერისთავის წინაპრებს და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაურების, ოსებისა და ქსნის ერისთავების დახმარებით არაგვის ხეობაში გაერისთავებულან.[67]

არაგვის საერისთავოს გაუქმებისა და საუფლისწულოდ მისი გარდაქმნის შემდგომ (1743 წ.), ნებისმიერი სადავო თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხი მეფის ან უფლისწულის მეშვეობით წყდებოდა. საზოგადოებრივი ყოფა მჭიდროდ აკავშირებდა მთისა და ბარის მოსახლეობის დინამიური ურთიერთობისა და შემდგომი განვითარების პროცესებს; განსაკუთრებული ადგილი სალოცავების ინსტიტუტს ეკავა. ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუხრანის გეოპოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს, კერძოდ ქართლის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს ინარჩუნებდა, რომელიც კარგად აისახებოდა ამ რეგიონის ყოფისა და კულტურის თავისებურებებში.

ცნობილია, რომ ნებისმიერი პრობლემის შესწავლა-გაშუქება ეფუძნება მატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების შეჯერება-განზოგადებას, სადაც საკვლევი რეგიონის ირგვლივ ფრიადსაყურადღებო ცნობებს გარკვეული ადგილი უკავია XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის, ნატურალისტის, მედიცინის

---

[67] იქვე, გვ. 95.

დოქტორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის გამოკვლევაში.

გიულდენშტედტმა საქართველოში მოგზაურობა დაიწყო 1771 წლის 11 სექტემბერს. 9 ოქტომბერს იგი დაემგზავრა დუშეთის რაიონის მმართველი თავადის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის 800-მდე რაზმელით დუშეთიდან მუხრანის გავლით მცხეთისაკენ მიმავალ ლაშქარს. მოგზაური დეტალურად აღწერს გარემო პირობებს, ღირსშესანიშნაობას და აღნიშნავს, რომ 3 მაისს ქსოვრისდან სამხრეთით ქსნის ახლოს ერთნახევარ საათში ვიყავით მუხრანში. მთელი გზა მიდიოდა გაშლილი დაბლობ ველზე, რომელიც გამოყენებულია სახნავად, ხოლო მორწყვა ხდებოდა ქსნიდან გამოყვანილი არხების მეშვეობით. ნიადაგი მოყვითალო, თიხნარია. მოგზაურს 4 მაისს ღამე მუხრანში ყველაზე მაღალ კოშკში გაუთენებია (ჩანს რომ სოფელში რამოდენიმე კოშკი არსებობდა დ.პ.), რომელიც მისი გადმოცემით კონსტანტინე მუხრანბატონის მიერ ყოფილა აშენებული დაახლოებით 20 წლის წინ ციტადელთან ერთად.[68]

აღნიშნული კოშკიდან იგი თვალსაწიერში აქცევს მის წინაშე გადაშლილ გარემოს და დასძენს: „კოშკიდან ჩანს: ქსოვრისი და დამპალა პირდაპირ ჩრდილოეთით, წილკანი, ნარეკვავის მდინარეს იქით მხარეს ჩრდილო აღმოსავლეთით, ფონთხელა არაგვის დასავლეთ (მარჯვენა) ნაპირზე, ნარეკვავის შესართავთან, აღმოსავლეთით საგურამო არაგვის აღმოსავლეთ მხარეზე ოდნავ ჩრდილოეთისკენ, არაგვში ჩამავალ პატარა მდინარეზე (ნარეკვავი), არაგვიდან ოდნავ მოშორებით; სხალტაბა სამხრეთ აღმოსავლეთით და წეროვან-გოროვანიდან ოდნავ მოშორებით აღმოსავლეთისაკენ; აღაიანი — სამხრეთ-დასავლეთით, 2 ვერსზე; ქანდა სამხრეთ-დასავლეთით დაახლ. 4 ვერსზე და ქანდას პირდაპირ ქსნის დასავლეთ მხარეზე ქადაგიანი და ციხისძირი — სამხრეთით, ძალზე მცირედ დასავლეთისაკენ დაახლოებით 7 ვერსზე მუხრანიდან“. მოგზაური აქვე გვამცნობს, რომ 28 ივნისს ლეკები თავს

---

[68] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I., გერმანულიდან თარგმნა და გამოსცა გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 53.

დასხმიან და გაუძარცვავთ მუხრანი. სოფელ მუხრანს იგი მიაკუთვნებს ქსნის ხეობას, რამდენადაც მის მიერ ჩამოთვლილ „ქსანზე ზევიდან ქვევით კიდევ არის სოფლები“: ლარგვი, მონასტერი, ლეგაშენი, საქორეთი, ქვენი, ციხე, იპნევი, იკოთი, წირქოლი, ციხე, ირეტვა (ერედა), ყანჩაველი, ახალგორი, ციხე, ლამისყანა, ციხე, ქსოვრისი, ციხე, ციხისძირი, სხალტბა, მუხრანი, ციხე რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სადღეისოდ ნასოფლარს ან სახეცვლილებითაა შემორჩენილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უმთვარესად ზემოქართლის ჩრდილოეთის ნაწილს იგი ოსურ მხარედ მოიხსენიებს და აღნიშნავს: „ამ ოსური მხარეებიდან შემდეგნი არიან ქართველებით დასახლებული ადგილები, ნაწილობრივ სომხებთან შერევით“ და ჩამოთვლის 60-მდე სოფელს, რომელსაც პატარა ლიახვის აუზში განიხილავს.

აღსანიშნავია, რომ გიულდენშტედტის მიერ დატოვებული უმნიშვნელოვანესი ისტორიული ცნობების გვერდით ვხვდებით რიგ უზუსტობასაც, რაც უმთავრესად ზეპირსიტყვიერი მონაცემების გაზიარების შედეგია. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად მიგვაჩნია ზემო ქართლის ჩრდილოეთის ნაწილის „ოსეთის მხარეთ“, ან „ოსეთის საზოგადოებად“ მოხსენება. „ახლა ვიმყოფები პროვინცია“ ქართლის შუაგულში (1771 წ. 15 აგვისტო), ოსეთიდან ქალაქ დუშეთამდე ვიმგზავრე ოსების საზოგადოებაში, რომელთაგან რამდენიმე 100 კაცი მეფე ერეკლემ თავისი ჯარისათვის დაიქირავა.[69]

როგორც ჩანს, მოგზაურს საკმაოდ დიდი დრო (ზაფხული) გაუტარებია მუხრანში, რამდენადაც იგი მდებარეობდა ქართლის შუაგულში და აქედან მოძრაობდა დუშეთში, გორში, ცხინვალში, თბილისში, მცხეთაში, ახალგორში და სხვ. „5 მაისს ქსნის ერისთავის ამალით, მუხრანისა და მცხეთის გავლით, ახალგორიდან თბილისში მოვედი: ...„მე მქონდა ბედნიერება 24 ივნისს გამომეგზავნა უკანასკნელი მოხსენება ბ-ნ გენერალ სუხოტინის ბანაკიდან, მუხრანიდან, რომელიც არის ქართლში“ და ა.შ. რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ რეგიონის უწყვეტ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშ-

---

[69] იქვე, გვ. 129.

ვნელობაზე, რომელიც აქტიურადაა წარმოდგენილი ქვეყნის ძლიერება-განვითარების სფეროში.

როგორც ცნობილია, XVIII ს. პირველ ოცეულში, ქართლი განუხრელ აღმავლობას განიცდიდა, სადაც განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის აღორძინება და განვითარება, რომელიც დაფუძნებული იყო მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე, სარწყავ-საირიგაციო ქსელის გაფართოებაზე და სხვ. ისე, რომ ქართლის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობის ველ-მინდვრების ძირითადი ფართობები დასერილი იყო ხელოვნურად მოწყობილი რუსხმულებით, რუებით, რომელთაც თავად სოფლები უვლიდნენ და განაგებდნენ. საამისოდ კი მტკიცედ იყო დაკანონებული წყლის რეგულირება-სარგებლობის პრინციპი, რომელთაც მერუეები მართავდნენ და რომელიც ვახტანგ VI სამართლებრივი ნორმებით იყო გათვალისწინებული.

საქართველოს ისტორიის ამ ეპოქაში, კერძოდ ქართლის სამეფოს ეკონომიკური მომძლავრებისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ავბედობის დროს აყრილ-გაქცეული მოსახლეობის — უმთავრესად გლეხობის თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ-სამეურნეო ადგილებზე დაბრუნებას, რისთვისაც ხელისუფლებამ სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ისტორიაში „მყრელობის" სახელითაა შესული. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ე.წ. „ახალ მოსულ კაცებს" განსაკუთრებული შეღავათები მიენიჭათ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლად მათი დაბრუნების პროცესი და შესაბამისად პროდუქტ-ნედლეულის წარმოებაც. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ძვრები განვითარდა განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევარში, რომელიც გამოიკვეთა, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ-კულტურულ სფეროებში.

ისევ და ისევ თუ გავითვალისწინებთ ქართლის ამ რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას საქართველოს სახელმწიფოს ხანგრძლივ სისტემაში, დავინახავთ, რომ იგი, როგორც უძველესი მცხეთის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნა-

წილი, ყოველთვის გამოირჩეოდა მოსახლეობის დასახლების სიმჭიდროვით, რომელიც ერთიან თავდაცვით ციტადელს, სულიერი სიძლიერის გამომხატველ ცენტარლურ ადგილს, განათლებისა და მატერიალური ფასეულობების მდიდარ მხარეს წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში, სამუხრანბატონოს კომპლექსურად შესწავლისას, განსაკუთრებით ფრიადსაყურადღებოდ წარმოგვიდგება აქ განვითარებული პოლიტიკური, კულტურული და სოციალური პირობების შერწყმული თანაარსებობის მდიდარი ტრადიციები: დასახლების სტრუქტურა, საზოგადოების ფენებად წარმოჩენის ხასიათი, რელიგიური წესჩვეულებების აღსრულების უძველესი რიტუალები, მატერიალური კულტურის ამსახველი სასულიერო და თავდაცვითი ნაგებობების სიმტკიცე და სიმრავლე, მათი ერთ კომპლექსში წარმოჩენის შინაარსობრივი და ვიზუალური მახასიათებლები, მოსახლეობის ეთნიკური სიჭარბე და მათი თანაარსებობის მდიდარი, სტუმარ-მასპინძლური დამოკიდებულების განუმეორებელი სითბო, მეზობელ ხალხებთან თანამეგობრული, ბრძნული დამოკიდებულების გამოვლენა და სხვა მრავალი. ამასთან, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ რამდენადაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით, საკვლევი ობიექტი ძირითადად მცხეთის რაიონშია წარმოდგენილი, ამდენად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევაძიების სფერო მოიცავს მხოლოდ იმ დასახლებული ტერიტორიის ნაწილს, რომელიც უმთავრესად მუხრანის საბატონოს იურისდიქციაში იყო მოქცეული, ან სხვადასხვა დროს მასთან მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდა.

თანამედროვე სოფ. მუხრანი, რომელიც მცხეთის რაიონის ერთ-ერთ უმსხვილეს დასახლებას წარმოადგენს აღორძინება-განვითარებას იწყებს XIX-XX საუკუნეებში, რომლის მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული უმთავრესად რეგიონის მეზობელი სოფლების მოსახლეობა და აქედან გამომდინარე, იგი ითვლება ერთ-ერთ მსხვილ, გამორჩეულ კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრად. სოფელი წარმოდგენილია საკმაოდ მსხვილი უბნებით, რომელთაგან ძველი სახელებიდან შემორჩა:

ებრაელების, ჭაობის, ამირაანთ, ზარიაანთ, თანდუაანთ, მერებაანთ, გურგენიაანთ, აბანოს და სხვ. სახელწოდებები.

როგროც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ვახუშტი ბატონიშვილი მუხრანის ტერიტორიის შემოსაზღვრულ ობიექტებად მოიხსენიებს შემდეგ ადგილებს: „საზღვარი მუხრანის არს ძეგვისწყლიდამ დიღმის იწრომდე, არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი, სამხრით მტკვარი, ჩრდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა. დასავლით გორი ოკამისა, სამხრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავტყეს და წლევისა კასპის ბოლომდე". ამასთან, ავტორი მცხეთისა და მის „ქვეყანას" გამოყოფს მუხრანისაგან და მათ მიათვლის სოფლებს: შინდისს, მუხათგვერდს, კარსანს, წეროვანს, მცეხთას, კოდმანს, არმაზს, ციხედიდს, ძეგვს, ხეკორდს, სასხორისს. ის, რომ „მუხრანის სამთავრო", რომ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, მეტყველებს ამ პერიოდისათვის მასში შემავალი სოფლების ოდენობა, რომელიც 56-ს ითვლიდა.[70]

ეს სოფლები იყვნენ: ახალციხე, ქინძარა, საფურცლე, საგუდე, გოროვანი, კიჯინიანი, წეროვანი, სხალტბა, ქანდა; ციხისძირი, ნასპარხევი, ნასტაკისი, აღაიანი, ქადაგიანი, ბეგთათავი, ჩანგილარი, ვარდისუბანი, შიოსუბანი, ოკამი 2, თეზი, ლამისყანა, ახალდაბა, ირტი, ნოტრევი, ჭაბა, ხვითი, ქსოვრისი 2, დამპალეთი, ჯიგარაშენი, სუმზიანი, კოდისწყარო, მჭადის ჯვარი, გენეფერი, ჯვარ-მაგარი, გეენსმანი, გრემისხევი, ტოპჩა, უჟანო, ებნისი, ჭილუტი, საბურდიანო, ტყვილიანი, ყურის-უბანი, გოგილაური, ძალისი, წილკანი, ჭაპური, ახალუბანი, მისაქციელი, ხშირი, ოკურ-ხიდა, ფრეზეთი, ახალციხე, ციხებოდავი.[71]

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სოფელთა ძირითადი უმრავლესობა დღესაცაა წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი მათგანი მთლიანად გამქრალია, ან ნასოფლარის სახითაა შემორჩენილი. ვახუშტის მიერ დაფიქსირებულ სოფელთა შორის სადღეისოდ გამქრალია

---

[70] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 60.
[71] იქვე, გვ. 199.

მაგალითად: კიჯინიანი, ბეგთათავი, უჟანო, გოგილაური, ხოლო ტოპონიმი ნასპარსეკი გამქრალა, მაგრამ ვახუშტი-გიულდეშტედტის მიხედვით ლოკალიზდება ნასტაკისის აღმოსავლეთით შიომღვიმემდე.[72] ამასთან, სოფლების გარკვეულმა ნაწილმა, ჩვენამდე მოაღწია ტოპონიმების სახით და იხსენება მაგალითად: „ახალციხე" სახნავისა და ხევის სახელით, რომელიც მცხეთის დასავლეთით, ბებრის ციხესთან მდებარეობს; „ქინძარა", მინდვრის სახელია ბებრის ციხის ჩრდილო-დასავლეთით ორ კილომეტრზე, ახლანდელი შამპანიურის ქარხნის ტერიტორიაზე; „საგუდე", მინდვრის სახელია და ძველად ნატახტარს ეწოდებოდა; ძველ დამპალეთს თუ დამპალს სადღეისოდ ვაზიანი ეწოდება; ჯიგრაშენმა სახელი შემოინახა სახნავის სახელით — „ჯიგრიანები", რომელიც ძალისის „ჩიტია ეკლესიის" დასავლეთით მდებარეობს; სახელწოდება „სუმბიანი", შემორჩენილია „ზუმბიანი საყდრის" სახით, რომელიც დამპალოს (ვაზიანთან) ახლოს მდებარეობს, ხოლო სახელწოდება „ჯვარ-მაგარი" საერთოდ გამქრალია და მისი სახელი ისმის გრემისხევის დასავლეთით მდებარე ეკლესიის სახელწოდებაში — „მთის ჯვარი", რომლიც გადმოცემით „მაგარი ჯვარი" ე.ი. ძლიერი ჯვარი (ხატია); ამ ტერიტორიის ახლოს მდებარეობს „გენესმანის" სახნავი და ტყე; სოფ. ჭილუტს დღეს ჭილურტი ეწოდება, ირტოს-ილტოზა. ყურისუბანი სოფელ ერედას ძველი სახელია. ჭაპური მინდვრის სახელწოდებაა თანამედროვე მუხრანის სამხრეთ-დასვლეთით. ხშირი დაცულია „ხშირი-ხევის" სახელწოდებაში, რომლის ადგილას გადმოცემით ვაკე — „ბუსნო" ადგილი და სოფელი ყოფილა, რომელიც დაახლოებით 150-200 წლის წინათ ჩაუხრამავს და საკმაოდ ღრმა ხევად ქცეულა და ა.შ. აგრეთვე ვახუშტი იხსენებს აგრეთვე მეორე ახალციხეს ფრეზეთსა და ციხებოდავთან მეზობლობაში. ამჟამად კი იმ მიდამოებში სოფელი ახალდაბაა გაშენებული. ამასთან, შესაძლოა მას ძველადაც ასეევ ერქვა სოფელი ტყვილიანის სახელი, რომელიც ძალისის ჩრდილოეთით 5-6 კილომეტრზე მდებარე ეკლესიას დაუცავს და მოსახლეობა „ტყვილ

---

[72] ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 97.

ხატს“ ან ტყვილ ღვთისმშობელს უწოდებს. ამასთან საინტერესოა ის გარემოებაც რომ წილკნელის XVII ს-ის სარგოს წიგნი ამ სოფელს „იტყვლიანს“ უწოდებს. „ტყვილიანი“ – „ტყვილი“ ალბათ შემდგომი ხანის გააზრების შედეგია. ვახუშტისეულ ციხე-ბოდავს დღეს ციხევდავი ჰქვია, ზუსტად იმ ფორმით გვხვდება იგი წილკნელის სარგოს წიგნში – აღნიშნავს პროფ. ჯ. გვასალია.

პროფ. ჯ. გვასალიას მიხედვით, ფრიადსაყურადღებოა სოფ. თეკანას ადგილის საკითხი, რომელიც ვახუშტისაც არ აქვს მოხსენებული და უნდა ვივარაუდოთ, რომ იმხანად იგი უკვე გაუკაცრიელებული იქნებოდა. მანამდე კი, კერძოდ, XVI ს-ის 30-იანი წლების ერთი სიგელი გვამცნობს, რომ: ბატონ ბაგრატს (ანუ მუხრანბატონს) მისაქციელი, აღაიანი, სრულიად ჭდომილთა დადვა და აგარულის სამზღუარსა წამოგუელჭიდა და დაიჭირა; გადმოუგდო ქსანი და რაც ქსნის გაღმა ჭალა და მამული დარჩა დაიჭირა და აქუს... კუდე კუნელთა საზღუარშიგა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქვა“.[73]

ამჟამად, თეკანას ანუ ყვავის საყდარს აქაური მოსახლეობა ნასაყდრალად მოიხსენიებს, რომელიც ნატახტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 1,5-2 კმ. მდებარეობს და სადაც მხოლოდ პატარა ეკლესიის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ამასთან, თეკანას სამხრეთით მდებარე მინდორს მოსახლეობა დღეისათვის კუნელას სახელით იხსენებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, როცა ვახუშტისა და ზოგიერთ წერილობით წყაროებში მუხრანის შემოსაზღვრული ტერიტორიის მონაცემებში სხვადასხვა მოცემულებაა დაფიქსირებული, რაც გარკვეულ წილად პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებთანაც უნდა იყოს დაკავშირებული და ისინი მეზობელი სათავადოების (არაგვისა და ქსნის) იურისდიქციაშია მოქცეული. ისე, რომ ამგვარი შეუსაბამოები ისტორიოგრაფიაში არცთუ იშვიათი შემთხვევაა და ამდენად სამუხრანბატონოს მაგალითიც გამონაკლისს ჯერ უნდა წარმოადგენდეს.

---

[73] იქვე, გვ. 98.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა-გამოკვლევა დაზღვეული არ იქნება გარკვეული უზუსტობისა და კომპლექსურად შესწავლის პრეტენზიით. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ ისტორიულად შედარებით იმ მდიდარი წარსულის მქონე ობიექტების ერთხელ კიდევ ფართოდ წარმოჩენას, რომლის ირგვლივ შესაბამისი მასალები იქნა მოპოვებული და განზოგადებული.

რამდენადაც საკვლევი რეგიონის ძირითადი ტერიტორია მცხეთის რაიონშია მოქცეული, ამდენად საქართველოს უძველესი ქალაქის (დედაქალაქის) შესახებ ისტორიას მხოლოდ მოკლე ექსკურსით შემოვიფარგლებით. თუმცა სავარაუდოა, რომ ზოგიერთი წერილობითი წყარო გვამცნობს, რომ ერთდროულად არსებობდა ქალაქი მცხეთა და მის მიმდებარედ სოფელი მცხეთაც, რომელიც ჟამთავითარებაში ქალაქის ერთ-ერთ უბნად წარმოჩინდა. ამგვარი პროცესები საქართველოს ისტორიოგრაფიისთვის საკმაოდაა დამახასიათებელი. ისე, რომ, რამდენადაც მცხეთა, როგორც საქართველოს უძველესი ქალაქი საკმაოდ ფართოდაა შესწავლილი, ამდენად, მუხრანის საბატონოს წინამდებარე გამოკვლევაში, შედარებით მსხვილი ადმინისტრაციული დასახლებების სხვადასხვა ასპექტებით წარმოჩენას ვიწყებთ მისი ცენტრის — მუხრანის მოკლე ისტორიული წარსულით.

მუხრანი, ანუ მუხნარი, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული გადაშლილია ე.წ. მუხრანის დიდ ველზე, რომელიც მოიცავს საკმაოდ ფართო და მზარდ გარეუბნებს. ისტორიულად იგი წარმოადგენდა დიდი მცხეთის სასოფლო-სამეურნეო რეგიონს, რომელზეც ჯერ კიდევ ძვ.წ. III-II სს-ში მცხეთის შესაბამისად, გადიოდა ერთობ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სტრატეგიული გზები. მუხრანის გეოგრაფიულმა მდგომარეობამ, რომელიც ოდითგანვე მჭიდრო დამაკავშირებელ ობიექტს წარმოადგენდა მთისა და ბარის მოსახლეობას შორის, განსაზღვრა მისი, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, მისი წვლილი ქართლის სამეფოს წარმომავლობა-განვითარებასა და შემდეგ

საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს თუნდაც მის მიმდებარედ II-IV სს-ში ქალაქი ძალისის არსებობა. ვახტანგ გორგასალის დროს, წილკანის საეპისკოპოსოს ძლიერ სასულიერო ბირთვად ჩამოყალიბება, იმავე გორგასალის ოსეთში ლაშქრობისას აქ დაბანაკება., X-ს-ში ლეონ აფხაზთა მეფის მიერ კახეთისათვის ბრძოლის დროს მუხრანის დაპყრობა, რომელიც კახეთის ხელისუფლებამ კვლავ უკან დაიბრუნა; რომ დავით აღმაშენებელმა კახეთის ვასალებს ძაგანიაძეების ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს, რომლებიც თავს „ზედაზნის ერისთავთერისთავებს და მუხრანის მფლობელებს უწოდებდნენ, ზედაზნის ციხესთან ერთად, მუხრანის ქვეყანაც წაართვა და საკუთარი მოხელე – „გამგე მუხრანა" დაადგინა და სხვა, მეტყველებს „მუხრანის ქვეყნის" ყოველმხრივ დაწინაურებააღზევებაზე, რომელზეც ისტორიული გეოგრაფიის ზემოთ განხილულ ნაწილში გვაქვს დაფიქსირებული.

ისევე, როგორც საქართველოს, კერძოდ ქართლის სხვა რეგიონები, მუხრანი, როგორც გამორჩეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცენტრი, განიცდიდა მომხდურთა თვადსახმებს და შესაბამისად მოსახლეობის დაქსაქსვას და ეკონომიკურად დასუსტების პერიოდებს, რომლის ხელახალ აღორძინებას გარკვეული დრო და მოსახლეობის განუხრელი ძალისხმევა საჭიროებდა. ისე, რომ მუხრანი, ყოველთვის იმყოფებოდა ქვეყნის – ქართლის სათავგადასავლო ეპიცენტრში. აქედან გამომდინარე, მუხრანის მოსახლეობა, შესაბამისად რეაგირებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, განსაკუთრებით კი ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატის შემდგომ განვითარებულ პროცესებზე და მათ შორის არცთუ იშვიათად ამბოხება-რევოლუციების გახმაურებულ მოვლენებზე, საბჭოური მმართველობის ხანაში მომხდარ ცვლილებებზე და ა.შ. რომელთაგან აღსანიშნავია: 1905-7 წწ. სამუხრანოში გლეხთა რევოლუციური გამოსვლები; 1905 წ. 5 მარტს მუხრანის კანცელარიაში ძალისისა და მჭადიჯვრის მოსახლეობის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება, როდესაც გლეხებმა, რომლებმაც

თვითნებურად მოჭრეს ხეები საუფლისწულო ტყეში და საქმის გასარჩევად თბილისიდან ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკი, რომელთა წინაშე წარდგნენ 14 სოფლის წარმომადგენლები — სულ 800-მდე კაცი ხელკეტებით და ზოგი ცეცხლსასროლი იარაღითაც კი. მათი ცხრაპუნქტიანი სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნა საკმაოდ გააზრებული და შინაარსიანი იყო, რომელთაგან აღსანიშნავია: ყოველ სოფელს ჰყოლოდა დეპუტატი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა სასამართლო გადაწყვეტილებებში; სოფელს გადასცემოდა მის ტერიტორიაზე არსებული საადგილმამულო საკუთრება; საძოვარი და ტყე ყოფილიყო უფასო; ბიბლიოთეკები ყოფილიყო თავისუფალი, ცენზურის გარეშე; ჯარში გაწეულს ემსახურა ამიერკავკასიის მასშტაბით; სკოლები გახსნილიყო, როგორც სახელმწიფო, ასევე სოფლის ხარჯზე, სამეურნეო განხრით, სწავლება ქართულ ენაზე, ნაწილობრივ რუსულადაც, გამოცხადებულიყო წერისა და ბეჭდვის თავისუფლება და ა.შ. ყოველივე აღნიშნულის დასაკმაყოფილებლად გლეხობის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა მთავრობას 14 მარტამდე მისცეს ვადა. ავჯანყებულთა დასასჯელად თბილისიდან ერთი ბატალიონი ჯარი გაიგზავნა. ჯარი ჩაუყენეს სოფლებს: ძალისს, წილკანს, მჭადიჯვარს.

აღნიშნულის მიუხედავად, იმავე წლის 3 აგვისტოს, მუხრანბატონის სასახლესთან (ამჟამად სასწავლო-საცდელი მეურნეობა), თავი მოიყარა ათასამდე გლეხმა, სადაც მოხდა შეიარაღებული შეტაკება გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა. 5 აგვისტოს მუხრანბატონის დასახმარებლად ჯარით ჩამოვიდა თავადი ამილახვარი, მაგრამ ვერას გახდა. 10 აგვისტოს დღისით გლეხებმა მოკლეს თავადი ივანე მუხრაბატონი.[74]

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოფელს მეტნაკლები დაცულობით შემორჩა: „მელიების გორად“ წოდებული არქეოლოგიური, ძველი ნამოსახლარი, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით ერთ კილო-

---

[74] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. 1990, გვ. 299.

მეტრზე მდებარეობს ადგილ „ჭაპურაში“, ოვალური ფორმის ხელოვნურად მოწყობილ გორაზე. ძეგლი თარიღდება ადრინდელი და გვიანდელი ბრინჯაოს ხანით., ნამოსახლარი „ნაცრისგორისა“ მდებარეობს სოფლის ჩრდ. დასავლეთით მდებარე გორაზე და თარიღდება ბრინჯაოს ხანით., სოფლის შუაგულში ე.წ. „გალავნის უბანში“ დგას XIX ს. აგებული სასახლე, რომელიც ეკუთვნოდა ინგლის-ბურების ომის (1899-1902 წწ.) აქტიურ მონაწილეს ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონს (ნიკო ბური, ავტორი წიგნისა „ბურებთან“)., მეორე სასახლე სოფლის განაპირასაა და მიეკუთვნება XIX ს. II ნახევარს. არქიტექტურული ძეგლი ეკუთვნოდა ერთ-ერთ მსხვილ ქართველ მემამულეს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს (1809-95 წწ.), რომელიც ფლობდა 25 ათას დესეტინა მიწას. მან 1876 წ. საფრანგეთიდან მოიწვია მეღვინე სპეციალისტები, ცნობილი ქართველი მეღვინე ზ. ჯორჯაძე და მათი კონსულტაციით მუხრანში ააგო ღვინის ქარხანა, სადაც დაიწყო ევროპული წესით ღვინის დაყენება, რომელმაც 1882 წ. ქ. მოსკოვში მოწყობილ გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო გერბი დაიმსახურა., სოფ. მუხრანის ჩრდ. დასავლეთით, ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს არქიტექტურული ძეგლი ციხე-გალავანი ისტორიულ შიოსუბანში, რომლის ჩრდ. აღმოსავლეთით მდებარეობს კარის ეკლესია. სასახლე ფაქტიურად დანგრეულია და მის შიგნით დგას ორი ეკლესია — გრიგოლ განმანათლებლის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია და დარბაზული ეკლესია. ციტადელის ჭიშკრის თავზე წარწერის თანახმად იგი XVIII ს. 30-იან წლებში აუგია მამუკა მუხრანბატონს.[75]

სოფელი ვაზიანი მდებარეობს მუხრანის ჩრდილოეთით, სადაც მატერიალური კულტურის ობიექტებიდან თავისი სიძველით გამოირჩევა არქეოლოგიური ძეგლი — ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს ადგილ „დამპალოსა“ და სოფ. მჭადიჯვარს შორის მაღლობზე. ნამოსახლარის ტერიტორიაზე მიკვლეულია ბრინჯაოს ხანისა და ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნაშთები., სოფლის

---

[75] იქვე, გვ. 300.

სასაფლაოზე დგას ე.წ. სუმბიანის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ სამუხრანბატონოში ერთ-ერთ ძველ და საკმაოდ გავრცელებულ გვარად, წერილობით წყაროებში დაფიქსირებულია მუსხელიშვილების საგვარეულო, რაზეც გვამცნობს თუნდაც 1741 წლის ქსნის საერისთაოს საგვარეულოთა აღწერილობის საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ მუსხელიშვილები დახვედრიან მუხრანბატონებს, როდესაც მათ სათავადო შექმნეს. (დ. პავლიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2012).

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, სოფ. ვაზიანის ნასოფლარს, ან საერთოდ ამ ადგილს, ძველად დამპალეთს თუ დამპალოს სახელით მოიხსენიებდნენ. ამასთან, ჩანს, რომ ეს სახლი ადგილების, ნიადაგის სინოტივესთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც მიმდებარე ტერიტორიებზე ტყის გამეჩხერება-ამოვარდნის შემდგომ მიწებიც გამოშრა და შესაძლებელი გამხდარა ვენახებიც კი გაშენებულიყო. აღსანიშნავია, რომ 1669 წლის წილკნის სამწყსოს სიგელის მიხედვით,[76] სამუხრანბატონოში შემავალ სოფელთა შორის დამპალაც მოიხსენება და ვაზიანი, როგორც ასეთი არსადაა დაფიქსირებული. აქვე უნდა ითქვას, რომ დამპალეთი გარკვეულ პერიოდებში მოიხსენიებოდა როგორც მიკრომხარე, ან მცირე ტერიტორიული ადგილი, რომელზეც ან მის მიმდებარედ გაშენდა დღევანდელი სოფელი ვაზიანი. აქვე უნდა ითქვას, რომ ჟამთა ვითარებაში, რომელიც საზოგადოების განვითარების ბუნებრივი პროცესია, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა და არცთუ იშვიათად სხვადასხვა მებატონეთა, თუ სამეფოს საზღვრებში ექცეოდა. ისე, რომ თვით შიგნით, საბატონოშიც ესა თუ ის სოფელი ან ადგილი უმთავრესად დაწინაურების შედეგად ცალკე გამოყოფილ ერთეულადაც გვევლინება, რომელიც მეზობელ სათავადოთა ხარჯზეც კი მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ვაზიანი, ანუ დამპალეთი ყველა ვითარებაში, ისტორიულად ვახუშტის მიხედვიტაც მუხრანის სამთავროში შემავალი სოფელია.

---

[76] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 564.

მუხრანის ვრცელ ველზეა განლაგებული სოფ. ქსოვრისი, ისტორიულად — გორება, მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე და ძველთაგანვე წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ-ეკონომიკურად ძლიერ ობიექტს. სოფ. ქსოვრისისა და საერთოდ ქსნის ხეობის ეს ადგილები ოდითგანვე ცნობილი იყო მდიდარი საზამთრო საძოვრებით, რომელიც მჭიდროდ აკავშირებდა მთისა და ბარის მოსახლეობას გარდაუვალი ურთიერთობისათვის. ასეთ ვითარებაში, ქსნისხველები უდაოდ სარგებლობდნენ როგორც უშუალოდ მუხრანის, ისე მომდევნო დროისათვის საამილახვროს საძოვრებით და როდესაც გვიანშუასაუკუნეებში ქსნის ხევის სამხრეთ ნაწილში წარმოიქმნა ორი სათავადო — სამუხრანბატონო და საამილახვრო, ქსნისხველებს ფაქტობრივად მოესპოთ საზამთრო საძოვრებით სარგებლობის უფლება. აღნიშნული ფაქტორი ერთობ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ბარისა და მთის მოსახლეობის ურთიერთობის დასუსტებაში.

რამდენადაც მუხრანის ველის ნაყოფიერებას უმთავრესად განაპირობებდა მდ. ქსნის ფაქტორი, საიდანაც უძველესი დროიდანვე, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული, განსაზღვრავდა აქედან გამოყვანილი საკმაოდ რთული საინჟინრო ნაგებობებით მოწყობილი არაერთი არხი. ისე, რომ ქსნიდან იღებდა სათავეს აგრეთვე ცნობილი თელოვანის რუ, „საგლეხო“ რუ, „დიდი“ რუ და სხვ. რომელთაგან საღეისოდ შემორჩა და მეტნაკლები დატვირთვით მოქმედებენ თელოვანის არხის ორი ნარუალი, რომელთაგან ერთი სოფ. ოძისიდან იღებს სათავეს, ხოლო მეორე სოფ. ქსოვრისიდან. ამასთან, თელოვანის რუს წყალი რწყავდა აგრეთვე სოფ. ძალისისა და წილკანის მიწებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქსნიდან გამომდინარე თელოვანის არხი, რომლის გამოყვანის სინამდვილეს წყაროები იასე წილკნელს მიაწერს, იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ასეთ რთულ რელიეფურ ადგილზე ლურსხმულების მოწყობა წილკნელის სასწაულმოქმედებით ხსნის. საგლეხო რუ სათავეს იღებდა ქსოვრისთან, რომელიც რწყავდა მიწებს წილკნამდე. რამდენადაც გლეხები მებატონესთან მიდიოდნენ

სარწყავი წყლის სათხოვნელად, ამდენად, გადმოცემით, მას საგლეხო რუს სახელი შემორჩა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, როდესაც ახალგორი „მცირე ქალაქადაა“ ცნობილი მდინარე ქსანზე, სადაც „მკვიდრობდნენ ქართველნი და სომეხნი, ას ორმოცი: ერისთავის დავითის მამულია“,[77] მაშინ, როდესაც აქაური ვაჭრები სავაჭროდ მიდიოდნენ უცხოეთში და ვაჭრობდნენ მატყლით, ღვინით, ყველით, ხორბლით და სხვ. ეწეოდნენ ხელოსნობას — ოქრომჭედლობას, მეუნაგირეობას, ხაბაზობას, დერ-ციგობას, ქსოვდნენ შალს, სელისა და ბამბის ქსოვილებს, მიზდევდნენ აგრეთვე მებაღეობა-მევენახეობას და თბილისთან აკავშირებდა სავაჭრო ანუ „საქალაქო გზა“, იგი გადიოდა ქსოვრის-წილკან-მცხეთაზე. ისე, რომ ახალგორში, სადაც მუშაობდა სამღებრო, თავისი მოხერხებული მდებარეობის გამო აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა გააჩ-ნდა, როგორც ქართლის ყველა რეგიონთან, ისე ჩრდილოეთ კავკასი-ასთან, ბუნებრივია ამ პროცესებში ჩართული სოფლებიც, რაზეც გადიოდა შესაბამისი გზები, თავისთავად დაწინაურებულ ადგილებად იყო წარმომდგარი.

სოფ. ქსოვრისი, როგორც ამ რეგიონის ერთ-ერთი ძლიერი საფორტიფიკაციო ცენტრი ლეკთა ხშირი თარეშის ობიექტსაც წარ-მოადგენდა. სწორედ აქ აღსანიშნავია XVII-XVIII სს. მიჯნაზე ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩნდა ამ სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის აზნაურ ზურაბ რატიშვილის მამაცობა, რომელიც წარმომავლობით ქსნის ერისთავთა სახლის განაყოფი იყო და მას სამეფო კარმა თავადობაც უბოძა. ამასთან აღსანიშნავია, რომ, როდესაც ჟამურის ხეობაზე ქსნის ერისთავების გამუდმებული დავა, მიმდინარეობდა მაშინაც ქსოვრისში მცხოვრებ აზნაურ რატიშვილებთანაც პრეტენზია გააჩნდათ, რამდენადაც მათ ქსნის ერისთავთა განაყოფებად მიიჩნევდნენ. ამასთან, საგულისხმო იყო ის ფაქტიც, რომ რატიშვილებს მამულები გააჩნდათ აგრეთვე ყანჩაეთში და კაბენის მონასტერშიც, რომელიც მათ

---

[77] ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“ ისტორიის სერია, 1973, №1, გვ. 153.

საძვალედ ითვლებოდა, მანამდე მას გვიან ხანამდე, ვიდრე თელოვანში გადაიტანდნენ. ამავე სოფლებთანაა დაკავშირებული აგრეთვე 1723 წ. ვახტანგ VI დაბანაკება ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქსოვრისთანაა დაკავშირებული 1732 წ. დეკემბერში მომხდარი ლეკების თავდასხმა და გივი ამილახვარისა და თარხან ლუარსაბის მიერ მტრის განადგურება და ა.შ.

სოფელ ქსოვრისის ამ ფრიადსაყურადღებო ფაქტობრივი მახასიათებლების შესაბამისად, აქ, საკმაოდ მდიდრადაა წარმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მის უტყუარ, შინაარსობრივ და ვიზუალურ სიმდიდრეზე. ამ მიმართებით აღსანიშნავია თუნდაც ნასოფლარი „ფფუტიანი ქედი", რომელიც გვიანდელი ანტიკური ხანითაა დათარიღებული. რაც შეეხება სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ადგილს „გორა-გორების" სახით, მოსახლეობა მას დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ ძეგლად მიიჩნევს და აქ შესაბამის რიტუალებსაც აღავლენდნენ., სოფლიდან 2-3 კილომეტრზე მთის ფერდობზე დგას VIII-IX სს. თელოვანის ჯვარპატიოსნის ეკლესია, რომელიც XVIII ს. შეუკეთებიათ — განუახლებიათ. აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიამ შემოგვინახა X ს-ის მხატვრობა, სადაც გამოსახულია ორი წმინდანი მთელი ტანით, აგრეთვე სამხრეთ პილასტრეზე წმ. მეომარი. აქვეა მხატვრობის შესანიშნავი ნიმუში, სადაც ასახულია მცენარეული ორნამენტების ფრაგმენტები და სხვ. ეკლესია დგას ადრინდელი ფეოდალური ხანის ნასოფლარზე, რომელსაც რამოდენიმე ჰექტარი ფართობი უკავია., ციხე-დარბაზი მდებარეობს სოფლის ცენტრში და თარიღდება XVIII საუკუნით. ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე მდებარეობს დარბაზული სტილის ეკლესია, რომელზეც შემორჩენილი მხედრული წარწერის შესაბამისად, იგი აშენებულია 1712 წელს. აქვე ყოფილა სასახლე, თუმცა მისი ნაშთები აღარაა შემორჩენილი.[78]

---

[78] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, 1999, გვ. 317.

ნაქალაქარი ძალისი შედის იმ ერთიან, ძველი ცივილიზაციის არიალში, რომელიც აქტიური ცხოვრებით იყო ცნობილი (მცხეთის, არმაზის, ზღუდერის, არაგვისპირის, ჟინვალისა და სხვ.) და ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში.

ნაქალაქარი ძალისი, რომლის ისტორიული წარსულისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საკმოად არგუმენტირებული მონაცემები განვიხილეთ მონოგრაფიის პირველ თავში, მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მისი ადგილი და როლი რეგიონის წინსვლა-განვითარებაში, ქვეყნის თავდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებაში ერთობ მნიშვნელოვანია. ისე, რომ აქ აღმოჩენილი მდიდარი არქეოლო-გიური მასალა, წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მონა-ცემები ერთხმად მიგვანიშნებს ძალისის, როგორც ერთიან კომპლექს-ში წარმოსახულ ღია ცისქვეშ მუზეუმს. სოფელი სამუხრანბატონოს შექმნის პირველსავე ეტაპზე მის საზღვრებშია მოქცეული. სხვა წერილობით წყაროებთან ერთად ამას ადასტურებს წილკნის სამწყსოს სიგელიც (1669 წ.), სადაც სხვა სოფლებთან ერთად სამუ-ხრანბატონოში ძალისიცაა მოხსენებული. და მაშინ, როდესაც მუხრანი თავისი სიძლიერის ზენიტში იყო და მჭიდროდ იყო დაკავშირებული თრიალეთთან, ჯერ ანტიკურსა და შემდეგ განვითარებული შუა საუკუნეთა ხანაში (ბარის) და თრიალეთის (მთის) კავშირმა დიდი როლი შეასრულა ჯერ ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოშობასა, ხოლო შემდეგ საქართველოს გაერთიანებაში. II-IV სს-ში მუხრანის ცენტრია ქალაქი ძალისი.[79]

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: არქეოლო-გიური ძეგლი – ნამოსახლარი, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით, გორაზე მდ. ნარეკვავის ნაპირზეა მიკვლეული. ძეგლი თარიღდება I-IV სს-ით; არქეოლოგიური ძეგლი – ნასოფლარი, სოფლის ჩრდ. აღ-მოსავლეთით მდ. ნარეკვავაზე და სოფ. ერედას შორის მდებარეობს. ძეგლი თარიღდება შუა და გვიანდელი ფეოდალური ხანით; არქეოლო-

[79] ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 107.

გიური ძეგლი-სამაროვანი მდებარეობს ნარეკვავის ხევის მუხრანის ველთან შეერთების ადგილზე, თარიღდება ძვ.წ. II ს-ითა და ახ. წ. IV-VII სს-ით; თვითონ ძალისი — ნაქალაქარი, რომელიც მუხრანის ველზე მდ. ნარეკვავის ორივე ნაპირზე მდებარეობს თარიღდება ძვ.წ. II — ახ.წ. VIII სს-ით.[80]

როგორც ირკვევა, თავდაპირველად მოსახლეობა განლაგებული ყოფილა მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ე.წ. „ძალისის გორაზე", ხოლო ანტიკურ ხანაში, ძვ.წ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნაზე, გაზრდილი მოსახლეობის ნაწილი მდ. ნარეკვავის მარცხენა ნაპირზეც გადასვლა და აქ ვაკეზე დიდი დასახლებაც წარმოქმნილა და სწორედ აქ ქალაქის არისტოკრატთა უბანიც აღმოცენებულა., არქიტექტურული ძეგლი ეკელსია დგას სოფლის სასაფლაოზე, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.

როგორც ითქვა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული მონაცემების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ: ქალაქმა ძვ. წ. II ს-დან ახ.წ. VIII ს-ის 30-იან წლებამდე იარსება, განვითარების უმაღლეს დონეს ახ.წ. I-III სს. მიაღწია, IV ს-ში განადგურდა და მის ტერიტორიაზე ცხოვრება დროებით შეწყდა, VI-VIII ს-ში აქ უღიმღამო ცხოვრება კვლავ გაგრძელდა, ხოლო VIII ს. 30-იან წლებში ქალაქი საბოლოოდ განადგურდა მურვან ყრუს შემოსევის დროს.[81]

როგორც არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, სოფლების საკმაოდ დიდმა უმრავლესობამ ვერ შემოინახა თავისი პირვენდელი სახელი და ამასთან ბევრი მათგანის სახელწოდება ტოპონიმში შემორჩა მხოლოდ ადგილის, მხარის, სახნავის, ხევისა თუ სხვათა ხსენებაში. ასეთი ბედი ეწია დღევანდელ სოფ. ერედასაც, რომლის პირვანდელი სახელი ყურისუბანია. სწორედ ამ სახელწოდებითაა იგი ნახსენები ვახუშტი ბატონიშვილის მიერ „მუხრანის სამთავრო"-ში ჩამოთვლილ სოფლებს შორის. ისე, რომ ამ სოფლის დღევანდელი სახელწოდება XIX საუკუნის შემდგომ უნდა დამკვიდრებულიყო. ამგვარად, სოფელი ერე-

---

[80] კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 329.
[81] იქვე, გვ. 333.

და, როგორც ისტორიული ძეგლი, რომელიც მდებარეობს მცხეთიდან ოციოდ კილომეტრზე მდ. ერედისხევის ნაპირას ალევის ქედის სამხრეთ დაბოლოებაზე, რომელიც ბოლო ასწლეულებში აღორძინდა, მატერიალური კულტურის ძეგლის — წმ. გიორგის ეკლესიის მიხედვით ძირითადად გვიანდელი ფეოდალური ხანითაა წარმოდგენილი.

ზემოთ აღნიშნული წილკნის სიგელის მიხედვით (1669 წ.), ახალდაბა სამუხრანბატონოში შემავალი სოფელია, რომელიც ვახუშტისაც აქვს ჩამონათვალში. სოფელი გვიანდელ ფეოდალურ ხანაში უნდა იყოს მომძლავრებული, რასაც ადასტურებს წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც სოფლის მიმდებარედ — შემაღლებულ ადგილზეა ნაგები.

სოფელი ნატახტარი, მცხეთიდან ათიოდე კილომეტრში, არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, რომელიც ძველად საფურცლეთ ყოფილა ცნობილი. ამასთან, მისი სახელი ამჟამად სოფლის ერთ უბანს აქვს შემორჩენილი. ლეონტი მროველის გადმოცემით: „და წამოვიდა მუნით წმინდა ნინო და მოვიდა ორბანთან, საზღვართა სომხითისათა, და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა პოვა მწყემსთა შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას, ვითარმედ; „რომელისა სოფლისანი ხართ? „ხოლო მან მიუგო და რქუა, ვითარმედ; დაბით ელარბინით და საფურცლით. და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.[82] ნატახტარი საფურცლის სახელითაა ვახუშტის ჩამონათვალში, რომელიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღევანდელი ნატახტრის სახელი XIX საუკუნიდან უნდა იყოს დამკვიდრებული. ხოლო რაც შეეხება ტერმინ საფურცლეს, არსებობს აზრი, რომ იგი უნდა იყოს დაკავშირებული ამ ადგილებში გავრცელებული სააბრეშუმე თუთის ხის ერთ-ერთ სახეობასთან. ისტორიული წყაროების მიხედვით ნატახტარი II საუკუნიდან მოიხსენება, როდესაც ქართლის მეფემ — ამაზასპმა ამ ადგილას, დაამარცხა ალანთა ლაშქარი, ხოლო IV ს-ში, როგორც ზემოთაც გვქონ-

---

[82] ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 85-86.

და აღნიშნული ქართველთა განმანათლებელს ნინოს მცხეთის მოსახლეობასთან ერთად საფურცლელი მწყემსებიც მოეგებნენ, ამ ადგილებს უკავშირდება 1514 წ. კახეთის მეფემ გიორგი II-მ (ავგიორგი), სწორედ საფურცლეში მოკლა მამამისი ალექსანდრე I., შესაბამისი წერილობითი წყაროების მიხედვით, სოფელი სამუხრანბატონოს შექმნამდე სვეტიცხოვლის კუთვნილებას წარმოადგენდა, რომელიც XVII ს-ის 20-იან წლებში ზურაბ არაგვის ერისთავმა, როგორც იტყოდნენ „ხმლით აიღო" და იგი ისევ სვეტიცხოველს დაუბრუნა. ისტორიულად სოფლის ყოველმხრივ დაწინაურებას განსაზღვრავდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელზეც გადიოდა ერთობ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სტრატეგიული გზები, კერძოდ ე.წ. „საქალაქო გზა" — ახალგორი-ოძისი-ქსოვრისი-დამპალა-წილკანი-ნატახტარი — საქართველოს სამხედრო გზა — თბილისი; მეორე გზა — მეჯვრისხევი-საამილახვრო-ოკამი-თეზი-აღაიანი-მუხრანი-წეროვანის სანახები-ნატახტარი-საქართველოს სამხედრო გზა — თბილისი. ამ სოფლის ისტორიულ წარსულთანაა დაკავშირებული აგრეთვე 1560 წლის მოვლენა, როდესაც თბილისის ციხეში მყოფმა ყიზილბაშებმა საფურცლესთან გამართულ ბრძოლაში შეიპყრეს სიმონ I-ის ერთგული ბაგრატ მუხრანბატონის შვილი არჩილი, ხოლო 1630 წ. თეიმურაზ II-მ ამავე ადგილზე (საფურცლეში) პურობაზე მიიწვია ზურაბ არაგვის ერისთავი და მუხანათურად მოაკვლევინა.[83]

რაც შეეხება მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს ნატახტარში, აღსანიშნავია: არქეოლოგიური ძეგლი სამაროვანი და ნამოსახლარი, რომელიც სოფლის სამხრეთით, თბილის-დუშეთის საავტომობილო გზატკეცილის 30-კმ-ზე მდებარეობს. აღნიშნულ ადგილებში არექოლოგების მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით ძეგლი მიეკუთვნება შუა და გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელი რკინის ხანას, ხოლო ნამოსახლარის ნათშები კი გვიანდელი ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანით თარიღდება., რაც შეეხება სულიერი კულტურის შემორჩენილ ძეგლებს, აღსანიშნავია იოანე ნათ-

---

[83] კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 302.

ლისმცემლის ეკლესია, რომელიც XIX ს-ის II ნახევრითაა დათარიღებული.

სოფელი წილკანი ერთ-ერთი უძველესი რელიგიური ცენტრია, სადაც მოქმედებდა საეპისკოპოსო და საქართველოში პირველთაგანთა შორის მოიხსენებოდა. არ არის გამორიცხული, რომ იგი ვახტანგ გორგასლის დროს არსებობდა. ხოლო რაც შეეხება ვახუშტის მონაცემებს, წილკნის ეკლესია აშენებულია მეფე ბაქარის (334-356 წწ.) მიერ. ყოველ შემთხვევაში, „ეპისტოლეთა წიგნი" VII ს. დასაწყისისათვის წილკანს იხსენიებს, როგორც მოქმედ კათედრალს.[84] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წილკნის სამწყსოს წიგნმა გვიანდელი ნუსხის სახით მხოლოდ 1669 წლამდე მიაღწია, სადაც აღნიშნულია, რომ არაგვის ხეობა „ანანურს ზემოთ ხევს გარდა იასე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არიან ხევი ნინოს მოქცეულია, ამსუკან ისე წილკნელი ყოფილა". ამასთანავე უნდა არინიშნოს ისიც, რომ XVII საუკუნისათვის წილკნელის სამფლობელო ვრცელდებოდა მხოლოდ ანანურამდე და მოიცავდა სამუხრანბატონოს საკმაოდ დიდ ნაწილს, აგრეთვე ქსნის ხეობის მარცხენა სანაპიროს ვიდრე კორინთამდე.[85]

სოფ. წილკანის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიგვითითებს აგრეთვე VII-X სს-ში განვითარებული მოვლენების არიალში მისი მოქცევა, როგორც ქართლის თავდაცვითი ფუნქციის ობიექტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ალანებისა და ხაზარების ასალაგმავად განვითარებული მოვლენები, როდესაც აღნიშნულ საუკუნეებში არაბები ამაგრებდნენ დარიალის ხეობას, რასაც ქართველი მთიულების — წანარების (ბერძნულ-არაბული წყაროების მიხედვით „სანარების") წინააღმდეგობის გზით ახერხებდნენ. სწორედ წანარების მფლობელობაში შედიოდა (VII ს. სომხური გეოგრაფიის მონაცემებით) „დარიალისა და წილკნის" კარები. წილკანის ამავე მიმართულებით მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს „მატიანე ქართლისა"-ში მოტანილი XI ს.

---

[84] ეპისტოლეთა წიგნი, 1968, გვ. 97., ჯ. გვასალია. დას. ნაშრომი, გვ. 105.
[85] იქვე, გვ. 542-564., იქვე, გვ. 105.

60-იანი წლების მოვლენებიც, როდესაც „ბაგრატ მეფე დიდგორს იყო, ფადლონი ქართლის სამტროდ წამოვიდა (1065-70 წწ.), მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი და აღმოვლო ღამე ყოველ მუხნარისა და არბივნა ქართლისა ნაპირნი ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წინა წილკნის გორთა თანა. უკანასა კერძს შეებნეს და პირველსავე ჴმლისა მოკიდებასა გააქციეს ფადლონ". ფადლონის ჯარი ნარეკვავის ხრამისა და ღართის იწროს გავლით გაიქცა. „ხოლო ფადლონ თხუთმეტითა ოდეს ცხენოსანთა წარვლო გზა წილკნისა ..."

ამგვარად, წილკანი წარმოადგენდა, როგორც ერთ-ერთ მძლავრ სასულიერო, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ ცენტრს, რომლის სამწყსოში შედიოდა მუხრანის ქვეყანა, ბაზალეთი, მთიულეთ-გუდამაყარი და ხევი, რომელიც გვიანდელ შუასაუკუნეებშიც არ მოშლილა. როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, VIII-IX სს. წილკანი ხან ქართლის, ხან კახეთის შემადგენლობაში იყო. მის მითვისებაზე თითქმის სისტემატიურ პრეტენზიას აცხადებდნენ და ცდილობდნენ, დაემორჩილებინათ ზედაზენ-მუხრანის ერისთავები — ძაგანიძეები. ამის ერთ-ერთი მაგალითია XI ს-ში ერისთავის ძმის მოდესტოს მიერ წილკნის საეპისკოპოსოს ყმა-მამულის მიტაცება, რომელიც შემდგომ დავით აღმაშენებელმა კვლავ საეპისკოპოსოს დაუბრუნა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ წილკნის მოსახლეობას თავისი ისტორიული აქტიურობა არც გვიანფეოდალურ და შემდგომ ეპოქებში დაუკარგავთ. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს თუნდაც დუშეთის 1918 წ. აჯანყებაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდის შრომით პროცესებში და სხვ.

წილკანის სანახებში მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: არქეოლოგიური ძეგლი-აკლდამა, რომელიც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზეა მიკვლეული და განეკუთვნება IV-V საუკუნეებს. აქვეა აღმოჩენილი ეკლესიის ზღუდის ნაშთი და სხვა; ხოლო არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის

ტაძრის კომპლექსი, რომელიც სოფლის ცენტრალურ ადგილზეა განლაგებული. კომპლექსი შედგება ღვთისმშობლის ეკლესიისა და ციხეგალავნისაგან, რომელიც თარიღდება ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პირველი პერიოდით. როგორც შესაბამისი ისტორიული წყაროები გვამცნობენ, მეფე „ბაკურ დაიწყო წილკნის ეკლესიისა და განიშორა ოცდამეთხუთმეტესა წელსა". ხოლო მემატიანე ლეონტი მროველი წილკნის ეკლესიის ბაქარ მირიანისძის მეფეს მიაწერს. რაც შეეხება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას ასე გადმოგვცემს: „არს ეკლესია წილკანს ღვთისმშობლისა, გუმბათიანი და შვენიერი. აღაშენა მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი მუხრანისა, ორივე არაგვისა და ბაზალეთისა"-ო.

საქართველოს ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი წილკანის წარსულის ამსახველი წერილობითი მტკიცებულებანი, მატერიალური კულტურის ძეგლები. ჩანს, რომ სულ მალე წილკნის ტაძარი საეპისკოპოსო კათედრალად გადაქცეულა და 506 წ. საეკლესიო კრების, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად, წილკნელი ეპისკოპოსიც დასწრებია. ამავე ხანებში (V-VI სს. მიჯნაზე) აქ დიდი სამნავიანი ბაზილიკაც აუგიათ და როგორც ითქვა VI ს. II ნახევარში წილკნის ეპარქიას იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე და თანამოღვაწე ისე წილკნელი განაგებდა, რომელიც გადმოცემის მიხედვით ამავე ტაძარშია დაკრძალული. ქართველ მღვდელმთავართა შორის წილკნელს მე-19 ადგილი ეჭირა. წილკნის ტაძარი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მწიგნობრული კერაც იყო. XIX ს. დასაწყისში წილკნის საეპისკოპოსო გაუქმებული იქნა.[86] ღვთისმშობლის ტაძარს შემოვლებული აქვს გალავანი კოშკებით, რომელიც XVIII ს. II ნახევარში აღუდგენიათ.

სოფელი მისაქციელი, როგორც სახელი დაფიქსირებულია და ბუნებრივია შემოტანილია ბრუნვაში მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რამდენადაც თითქოს ძალის-წილკნის გზის მიხედვით, სადაც იგი უხვევდა „მიუქცევდა", რაც არამართებულად მიგვაჩნია. როგორც

---

[86] კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 340.

ცნობილია, ქართულ სალიტერატურო ბრუნვაში ოდითგანვე გვხვდება ტერმინი „საქცევი“, რაც სამეურნეო მინდვრის გარკვეული მოცულობის საზომი ერთეულის სახით მოიხსენიება. ისე, რომ ერთ საქცევზე, ორ საქცევზე გამოთქმით, ადგილის ოდენობა და ზღვარია განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, სოფლის სახელწოდებაც შეესატყვისება გარკვეული ფართობის ოდენობის განსაზღვრას ანუ მდებარეობას მისაქციელზე.

სოფ. მისაქციელი იმთავითვე მუხრანის საბატონოში შედიოდა, თუმცა გარკვეულ პერიოდებში მას არაგვის საერისთაოშიც მოიაზრებდნენ. მემატიანე ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს: „და ამა ნუგზარ ერისთჳსა ქალი ედგა მოურავსა, და, რა სცნა ნუგზარ საქმე მოურავისა და მოსვლა მისი სახლად მისა, მიეგება წინა მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა, და, წარუძღვა წინა და წარიყვანა სახლსა თჳსსა დუშეთს“.[87]

სოფელი წარმოადგენდა საზღვარს არაგვის ერისთავებისა და მუხრანბატონების მამულების წყალგამყოფს, რომელიც გრემისხევიდან იწყებოდა ვიდრე ნარეკვავის ხეობის მიყოლებით, ანუ თავდებოდა მისაქციელით. როდესაც აკად. ნ. ბერძენიშვილი ეხება XVIII-XIX სს-ში დარიალ-არაგვის მაგისტრალის სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას, იგი გამოყოფს სამ საყრდენ ადგილს: თბილისის, ჟინვალისა და დარიალის მნიშვნელობას, სადაც უპირატესობას ანიჭებს ჯერ მტკვრის მარცხენა, ხოლო შემდეგ არაგვის მარცხენა სანაპიროზე გამავალ გზას — ამიტომ, ისტორიული წყაროების შეჯერებით, არაგვის მარჯვენა ნაპირზე გამავალ პუნქტებად იგი გამოყოფს: მისაქციელი, წილკანი, მჭადიჯვარი, დუშეთი და ანანურის გზას.[88]

ისტორიული წყაროებიდან მისაქციელი მოხსენიებულია აგრეთვე 1392 წლის მოვლენებში, როდესაც ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარშია დაფიქსირებული, როგორც სვეტიცხოვლის კუთვნილება., მისაქციელი, როგორც ერთ-ერთი მნიშ-

---

[87] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940, გვ. 125.
[88] ნ. ბერძენიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 60.

ვნელოვანი პუნქტი ნახსენებია მაშინ, როდესაც ირანში წასვლის წინ გიორგი საკაძე და ნუგზარ არაგვის ერისთავი სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს (ბერი ეგნატაშვილი); ამავე სოფელში ერეკლე II-ს ვაჟმა ლევანმა 1778 წ. სასტიკად დაამარცხა ლეკთა ლაშქარი და სხვ., მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია მისაქციელის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში.

სოფ. ახალუბანი XVII ს. ისტორიული წყაროების მიხედვით არაგვის საერისთავოშია, ხოლო XVIII ს. მონაცემებით (ვახუშტი) მუხრანის სამთავრობოშია, რომელსაც ესაზღვრება საამილახვროს მამულები, ისევე, როგორც სოფ. ნატახტარი, ახალუბანი თავისი მდებარეობით წარმოადგენდა მდიდარ სასოფლო-სამეურნეო და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ერთ-ერთ დაწინაურებულ პუნქტს. მისი მდიდარი საზამთრო საძოვრები და საერთოდ მუხრანის რეგიონი ერთობ მნიშვნელოვანი იყო ხეობის მთის მოსახლეობისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საძოვრებისა და სხვ. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ბარისა და მთის მოსახლეობაში ოდითგანვე არსებობდა, ბუნებრივია თან ზდევდა მოსახლეობის გარკვეული ოდენობით ბარად ჩამოსახლების პროცესი, რომელმაც განსაკუთრებულ აქტიურობას XIX-XX ს-ში მიაღწია. ასეთ ვითარებაში, მომრავლდა ახალი სოფლები, დაბები და სხვ. რომელნიც უმთავრესად აღმოცენდა მსხვილი სავაჭრო-ადმინისტრაციული დასახლების შიგნით ან მიმდებარე ტერიტორიებზე. ამიტომ, სავსებით ნათელია, როცა მათი სახელწოდებებიც არის: ახალი ქალაქი, ახალი დაბა, ახალი უბანი, წითელი უბანი და ა.შ. რაც შეეხება ახალუბანში ამჟამად შემორჩენილ მატერიალური კულტურის ძეგლს აღსანიშნავია ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც მხედრული წარწერის მიხედვით აგებულია 1692 წელს.

სოფ. საგურამო — ისტორიული გორისუბანი, ძველთაგანვე ხერკის ტერიტორიაში შედიოდა, რომელთა მფლობელის შთამომავალნი ზედაზენთან ერთად აბულეთისძენი არიან. ერთ-ერთი ისტორიული

წყაროს მიხედვით, 1260 წ. ძაგან აბულეთისძე შიომღვიმეს სწირავს სოფ. ანგრიანს და თხოთს აგარას. რომ ამილახვრები არიან ზედგენიძეები. ზედგენიძეები არიან აგრეთვე გურამიშვილები და ტუსისშვილები, რომლებიც გვიანშუასაუკუნეებში ფლობდნენ ხერკსაგურამოს და ზედაზენს.[89]

რამდენადაც ხერკის ტერიტორია მიბმული იყო სამუხრანბატონოს საზღვრებში და ისტორიულად ფაქტობრივად ერთიან პოლიტიკურ-მეურნეობრივ არიალში მოიხსენიებოდა, ამდენად სოფ. საგურამოს წინამდებარე მონოგრაფიაში განხილვაც მიზანმიმართულად მივიჩნიეთ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, საგურამოსთან ერთად თეზმის ხევსაც მოიცავდა. როგორც ცნობილია, VIII საუკუნიდან ხერკი კახეთის სამთავროში შედიოდა, რომელიც შემდგომ დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთების შემდგომ მასზე კონტროლს საქართველოს სამეფო კარი ახორციელებდა. იმავდროულად, ხერკის ყმა-მამულის გარკვეულ ნაწილს სვეტიცხოვლისა და შიომღვიმის მონასტრები ფლობდნენ. როგორც ჩანს, ხერკი კვლავ სამეფო სახლის საკუთრებაშია თამარ მეფის დროსაც, რომელიც „ჟინვანის ქვეყანაში" შედიოდა და რომელსაც მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი ფლობდა, ნაწილს სამოხელეოდ, ხოლო ნაწილს სამკვიდროდ. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, (კერძოდ XV ს.) ხერკი კახეთის შემადგენლობაშია და იგი კახეთის III, რუსთავის ეპისკოპოსის სარდლობის ქვეშ მყოფ სადროშოში შედიოდა. სწორედ კახთა მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511 წწ.) ხერკის ნაწილი გურამ ზევდგინიძესა და მის ძმებს უწყალობა, საიდანაც სოფელს ეწოდა საგურამო. ამის შემდეგ, კერძოდ XVI ს-ის ბოლოს შეიქმნა ე.წ. გურამიშვილების სათავადო, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრად ზემოაღნიშნული სოფელი იქცა.

ისტორიული მოვლენებიდან, რომელიც საგურამოსთანაა დაკავშირებული აღსანიშნავია ქართლის მეფე ვახტანგ VI და კახეთის მეფე დავით II-ის მოლაპარაკება ლეკთა ბანდების წინააღმდეგ ერთო-

---

[89] ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 102.

ბლივ მოქმედებაზე 1719 წელს., 1750 წ. მეფე ერეკლე II-მ საგურა-მოსთან სასტიკად დაამარცხა დაღესტნელები; აქ დაიბადა 1705 წ-დავით გურამიშვილი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველ დიდგვაროვანთა ერთი ნაწილის რუსეთში, ემიგრაციაში მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ქართველ ჰუსართა დამსახურებას ეხება და სადაც ფიგურირებენ დავით გურამიშვილი და მისი ბიძა, დაჭრილი მოხუცი — მერაბ გურამიშვილი: „1738 წლის 17 მაისს მეფე ბაქარისაგან სენატისადმი წარდგენილი დოკუმენტით, ჰუსარებად სამსახურის უფლება ეძლეოდათ: ზღვისპირელ თავადს ქაიხოსრო გურიელს, ქართველ გენერალს მამუკა მუხრანბატონს, თავადებს: დიმიტრი ორ-ბელიანს, ელისე ამილახვარს, დავით და ოთარ ერისთავებს; იესე ცი-ციშვილს, ოთარ ჩოლოყაშვილს, მერაბ და გერასიმე ანდრონი-კაშვილებს, ათანასე ქობულაშვილს, ანდრია და ვახტანგ ორბელიანებს, სვიმონ ჩოლოყაშვილს, ნოდარ ბარათაშვილს, დიმიტრი შალიკაშვილს, გერასიმე და შიოშ ჯავახიშვილებს, ნიკოლოზ მანველიშვილს, დაჭრილ და მოხუც მერაბ გურამიშვილს, რომლის ნაცვლად ჰუსარი ხდებოდა მისი ძმისშვილი დავით გურამიშვილი“. (ფრ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, 1991, გვ.102).

1905 წ. საგურამოში გაიმართა 14 სოფლის ყრილობა, რო-მელშიც მონაწილეობა მიიღო ორიათასამდე გლეხმა, რომელთა მოთხ-ოვნები იყო დროებით ვალდებულებისა და ხიზნობის გაუქმება; გლეხებისათვის ნადელების უსასყიდლოდ გადაცემა და ე.წ. „ჩამონაჭრების“ დაბრუნება; სახაზინო და საეკლესიო გლეხების სა-კუთრებაში გადაცემა, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ სახ-ელმწიფო ტყეებისა და სახნავის გადაცემა; წოდებების გაუქმება და ერობის დაწესება და ა.შ. რომელსაც მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა.[90]

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან საყურადღებოა: „აგურის საყდარი“, რომელიც სოფლის მიმდებარე, ტყიანი მთის ფერდობზეა აგებული და რომელიც ორი ნაგებობისაგან — მცირე დარბაზული

---

[90] კულტურის ძეგლთა აღწერილობა... გვ. 303.

ეკლესიისა და მასზე მიშენებული სამეკლესიანი ბაზილიკისაგან შედგება. ძეგლი მიეკუთვნება ადრინდელ ფეოდალურ ხანას. რაც შეეხება სამეკლესიან ბაზილიკას იგი თარიღდება IX-X სს-ით; ეკლესია ღვთისმშობლი დგას სოფლის სასაფლაოზე და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით; არქეოლოგიური ძეგლი-სამაროვანი, რომელიც სოფლიდან ორიოდე კილომეტრზეა, I-III სს-ით თარიღდება; „ქასური გიორგის" ეკლესია დგას სოფლიდან ზედაზნისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ და დათარიღებულია VI საუკუნით; სოფლის გარეუბანში ე.წ. გორისუბანში მდებარეობს ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, რომელიც 1894 წელსაა აგებული. 1863 წელს ი. ჭავჭავაძემ იქორწინა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე, რომელმაც მისაგან მემკვიდრეობით მიიღო საგურამო. თავდაპირველად, კერძოდ 1874 წ. ი. ჭავჭავაძემ გორისუბანში, ზედაზნის ტყის პირას დადგა ორსართულიანი პატარა ფიცრული სახლი, რომელიც ოთხი (ორი ზემოთ და ორი ქვემოთ) ოთახისაგან შედგებოდა, ხოლო 1894 წ. ძველი სახლის ადგილზე ააგო ახლანდელი სამსართულიანი აგურის შენობა. შენობის ჩრდილოეთით დგას ერთსართულიანი, ცხრაოთახიანი სახლი ე.წ. სამოურავო, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მარანი. სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1951 წ. 27 მაისს.[91]

სოფელი ჩარდახი ერთ-ერთი უძველესი ნამოსახლარის გაგრძელებაა, რომელიც მუხრანის საბატონოს ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო ველზეა გაშენებული. დასახელება ჩარდახი არ უნდა წარმოადგენდეს ამ ადგილის პირვანდელი სახელწოდების ტერმინს, რამდენადაც იგი ქართულ ტოპონიმში უცხოდ უნდა იყოს წარმომდგარი. რაც შეეხება ქართლში გავრცელებული სიტყვა ჩარდახს, მასში იგულისხმება ამინდისაგან (წვიმა, მზე) დასაცავ თავშესაფარს — გადაფარებულ ადგილს. აქედან გამომდინარე, როდესაც მაგალითად ოჯახი შორ მანძილზე ახდენდა გადაადგილებას (სალოცავში, სამკურნალო, სამკალ-სათიბ და სხვა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის), ყოველთვის მიემგზავრებოდნენ ე.წ. ჩარდახიანი ურ-

[91] იქვე, გვ. 305.

მებით და სხვა გადახურული სატრანსპორტო საშუალებებით. ამ შემთხვევაში უმთავრესად ჩარდახად გამოიყენებოდა ხალიჩა, ფარდაგი და სხვ.

სოფ. ჩარდახის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლებიდან საყურადღებოა: ნამოსახლარი, რომელიც ხელოვნურად წარმოქმნილ გორაზეა მიკვლეული და თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ხანით., მეორე ნამოსახლარი ე.წ. დიდგორა მდებარეობს სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე და თარიღდება ადრინდელ და გვიანდელ ბრინჯაოს ხანით. სწორედ ამ სოფელს სწვდებოდა და აქ თავდებოდა ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ცნობილი სარწყავი სისტემის ე.წ. „საგლეხო რუს" ერთი განშტოება-ტოტი, რაც ერთხელ კიდევ ამ რეგიონის მაღალგანვითარებულ სასოფლო-სამეურნეო სისტემაზე მიგვანიშნებს.

სოფ. გოროვანი ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „მუხრანის სამთავროს" 56 სოფელშია მოხსენებული. აღსანიშნავია, რომ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილი შიომღვიმის მონასტერი, როგორც ფეოდალური სენიორიის ეკონომიკურ ძლიერებას აღწევს, კერძოდ VI ს-ში, მის წინამძღვარს, ევაგრეს უყიდია სწორედ სოფ. გოროვანი და სხალტბა. ამის შემდეგ, მისი სიძლიერე კიდევ უფრო ფართომასშტაბური ხდება და X ს-ში მას უკვე ექვემდებარებოდა 9 სოფელი, ხოლო XI-XII სს-ში 15-ზე მეტი.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, გარკვეულ პერიოდებში გოროვანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ობიექტი ყოფილა, რომელიც თავისი მდებარეობით მოქცეული იყო აქტიურ სავაჭრო-მეურნეობრივ ზონაში. მიუხედავად მისი ფრიადსაინტერესო წარსულისა, სოფელში, სადღეისოდ, არქეოლოგიური თუ სხვა მატერიალური კულტურის ძეგლები ერთობ მწირედაა წარმოდგენილი და თუ არის, ისიც მხოლოდ განვითარებული ფეოდალური ხანითაა დათარიღებული. ამჟამად შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფლის მიმდებარედ მდგარი ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის წარწერის მიხედვით იგი აგებულია 1830 წელს.

სოფ. ქანდა, ანუ ძველი ქანდა, ვახუშტის მიხედვით, „მუხრანის სამთავროს“ ეკუთვნის, ხოლო შუასაუკუნეებში, კერძოდ XII ს. წერილობით წყაროების მიხედვით, კერძოდ (1170 წ.), გიორგი III შიომღვიმისადმი განახლებული მამულისმფლობელობისა და შეუვალობის სიგელიდან ჩანს, რომ ქანდა შიომღვიმის საფურეა. იგივე ქანდა მეფის მონადირეთა სადგომია: „და თუით ქანდაი მათი საფურე და მისსა მზღვარსა შიგან აშენებული მამისა ჩემისაგან ...“[92] სოფელი მდებარეობს მდიდარ მეურნეობრივ ზონაში, რომლის ბუნებრივი პირობები შემკული იყო სახნავ-საძოვრებით, სარწყავი არხებ-რუების სისტემით. აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით სწორედ ქანდადან იწყებოდა ცნობილი ნასტაკისის რუ. მინდორს, სადაც ამ არხს უნდა გაევლო, დღესაც იმ ადგილს „ნაზვრევს“ უწოდებენ, ხოლო სხალტბის ქედის ფერდს, რომელსაც რუს წყალი ვერ სწვდებოდა „ურწყავებად“ მოიხსენიებენ. ისე, რომ მართლაც უეჭველად იქნებოდა კავშირი ცნობილ ნასტაკისისა და დიდი არხის რუსხმულებს შორის, რამდენადაც ქანდიდან ნაზვრევისაკენ რელიეფი მაღლდება და ქანდის გასწვრივ ქსნიდან გამოყვანილი რუს წყალი მასზე ვერ ავიდოდა, ხოლო აგებული რუსხმული ქანდაზე მაღალია.

არქეოლოგიური ძეგლებიდან, რომელიც ქანდის საინტერესო წარსულზე მეტყველებს, აღსანიშნავია ადგილ „ნაზვრევში“ მიკვლეული ე.წ. ნამარნალი, სადაც შემორჩენილია ქვითკირით ნაგები საწნახელი ქვითკირისავე აუზით. ძეგლი მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით., მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი — ნამოსახლარი მდებარეობს სოფლის მიმდებარე გორაზე ნამოსახლარ „ფარეხების“ სიახლოვეს და წარმოადგენს ძვ.წ. I ათასწლეულის უახლესი ფეოდალური ხანის მონაპოვარს., ნამოსახლარი — „ფარეხების გორა“ მდებარეობს აგრეთვე ქსნის მარცხენა მხარეს და თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელი რკინის ხანით. როგორც ჩანს, XIX ს-ში ამ ადგილას ცხვრის სადგომები — ფარეხები მდგარა., არქეოლოგიური ძეგლი —

---

[92] ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 15.

ყორღანული სამარხები, მდებარეობს სოფლის სამხრეთით ე.წ. წეროვანის მინდორზე და თარიღდება ძვ.წ. XVII-XIV საუკუნეებით.[93]

სოფ. ციხისძირი თავდაპირველად მდებარეობდა ცნობილი „საგლეხო რუს“ სარწყავი სისტემის ცენტრალურ ნაწილში და აქედან გამომდინარე იგი წარმოადგენდა ეკონომიკურად ერთ-ერთ დაწინაურებულ დასახლებას. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ციხისძირი წარმოადგენდა იმ უძველესი სავაჭრო გზის სამარშრუტო ნაწილს, რომელიც ქართლიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდა. ისე, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოქმედი მაგისტრალი, რომელიც მცხეთის დასავლეთით გაივლიდა მუხრანს, სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს, ქარელს და სხვ. ანტიკური ავტორების ცნობების მიხედვით და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული მასალებით ვგებულობთ, რომ ინდოეთსა და დასავლეთ ევროპას შორის დამაკავშირეებლი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი ამიერკავკასიაზე, კერძოდ შიდა ქართლზე გადიოდა. ამასთან, შიდა რეგიონალური გზების ერთ-ერთ ცენტრალურ გადაკვეთაზე მდებარეობდა ციხისძირი, რომელიც მნიშვნელოვან საკვანძო ადგილს წარმოადგენდა შიდა ქართლის სამხრეთ საქართველოსთან კავშირის პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ 1781 წლის მონაცემებით, არაგვის საერისთავოს აღწერაში შემავალ სოფლებში ციხისძირიცაა მოხსენიებული, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით იგი 56 სოფელთან ერთად შესულია „მუხრანის სამთავროს“ შემადგენლობაში. ციხისძირი წარმოადგენდა აგრეთვე ქართლის ცენტრალური ნაწილის თავისებურ ფორპოსტს — საფორტიფიკაციო ადგილს. ამ მიმართებით აღსანიშნავია ე.წ. ქსნის ციხის, მტკვრის ციხის, მტვერის ციხის, კონსტანტილაბათის სახელით მოიხსენიება. ციხე მდებარეობს ქსნისა და მტკვრის შესაყართან, ქსნის მარცხენა ნაპირზე „სარკინეთის მთაზე“ და აგებულია 1511-1514 წლებში.

ქსნის ციხესთანაა დაკავშირებული ჩვენს მიერ მონოგრაფიის მეორე თავში გაანალიზებული XVI საუკუნის პოლიტიკური

---

[93] კულტურის ძეგლთა აღწერილობა... გვ. 337.

მოვლენები, როდესაც 1512 წ. ქართლის მეფის დავით X-ის (1505-1925 წწ.) უმცროსმა ძმამ ბაგრატმა საუფლისწულოდ მუხრანი და შიდა ქართლის სადროშოს სპასპეტობა ითხოვა და სანაცვლოდ კახეთის მეფე ავგიორგისთან შებრძოლებას დათანხმდა. სწორედ საუფლისწულო მამულების მიღებისთანავე მუხრანბატონმა ააგო აღნიშნული ციხე, რომელსაც ავგიორგიმ ალყა შემოარტყა და ა.შ. დღევანდელმა ციხისძირის აღნიშნულმა ციხემ, რომელიც პოლიტიკური მოვლენების შესაბამისად სახესხვაობას განიცდიდა, 1511-1514 წლებში, რომელიც მთლიანად რიყის ქვით იყო ნაგები, შემდგომ ხანებში, კერძოდ 1746 წ. მისი რესტავრაციის პერიოდში სამშენებლოდ აგურიც იქნა გამოყენებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქსნის ციხის აგების თარიღთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება-მტკიცებულებანი. კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები, რომელიც ციხის აგების თარიღად მიჩნეულია 1512 წელი, პროფ. დ. გვრიტიშვილის მტკიცებით იგი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, რამდენადაც მას წარმოუდგენლად მიაჩნია ქსნისა და არაგვის შესართავთან, ასეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე მუხრანს ციხე არ ჰქონდა. ამიტომ, საკვლევით მისაღებია, რომ ქსნის ციხის აშენება 1512 წ. მატიანის ცნობით უნდა ნიშნავდეს არა თავიდან ბოლომდე შენებას, არამედ გადაკეთება-გაუმჯობესებას.

რაც შეეხება სულიერი კულტურის ძეგლებიდან, სოფ. ციხისძირში დღევანდლამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა ეკლესიამ, რომელიც აღმოსავლეთით იმ მთის ფერდობზეა აგებული, სადაც ზემოაღნიშნული ციხეა აღმართული.

სოფელი ქსანი მართალია ისტორიულად არ იმყოფებოდა მუხრანის საბატონოს მფლობელობაში, მაგრამ, რამდენადაც იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა ჩვენს მიერ საკვლევად აღებულ ადმინისტრაციულ ტერიტორიას და აქტიურად იყო დაკავშირებული აქ განვითარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ სულიერი ცხოვრების პროცესებში, ამდენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ზოგადად ქსნის

საერისთაოს მოკლე ისტორიული ექსკურსი გადმოგვეცა, სადაც ძირითადად დავეფუძნეთ პროფ. დ. გვრიტიშვილს და პროფ. ჯ. გვასალიას გამოკვლევებს.

ქართლის ისტორიოგრაფიაში ქსნის საერისთაოს — ქსნის ხეობის შესწავლას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. როგორც ფრიადსაყურადღებო და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური რეგიონი — ქსნის ხეობა, ოდითგანვე აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის აღორძინება-გაძლიერების პროცესებში. მდიდარი არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები ერთხმად გვამცნობენ, რომ ქართლის სხვა სათავადოებს შორის აღნიშნული ხეობა თავისი სიძლიერით და მრავალწახნაგოვნობით გამოირჩეოდა და მისი დიდებულების ძირითადი უმრავლესობა ერთგულად ემსახურებოდა ქვეყნის საჭეთმპყრობლებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ XI საუკუნეში სამთავნელ ეპისკოპოსად ყანჩაველი (ქსნელი) დიდებულია და თამარ მეფის დროს სამთავისის კათედრა პირდაპირ ემორჩილებოდა ქართლის კათოლიკოსს, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს. საფიქრებელია, რომ ქსნის მიწებიც უშუალოდ სამეფო კარის საკუთრებად შეიძლება ყოფილიყო. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობს ქართლის დიდებულთა შორის აბაზაძეთა გვარის აღზევება, რომელთაგან ერთ-ერთი, ივანე, ქართლის ერისთაობასაც აღწევს.

როგორც ცნობილია, ქართლში, ქსნის საერისთავო ერთ-ერთი დიდი სათავადოა, რომელიც დაყოფილი იყო ახლაგორის, ციხისძირის, ქარჩოხის, ჭურთის, ჟამურის, მაღრან-დვალეთის, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლისხევის, პატარა ლიახვის, გვერდის ძირის, მეჯვრისხევის, სათემოს, ტყვიავის, კარალეთის, ლამისყანის, თეზის, ოძისის, წირქოლის, იკოთის, ქიწნისის, ალევის ხეობის, საფერშეთის ხეობის, ჭურთა-ნახიდის ხეობის, საძეგურისა და ახალდაბის სამოურავოებად.[94]

აღსანიშნავია, რომ სამოურავოების ინსტიტუტი ქვეყნის მმართველობის სისტემაში იმდენად ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო,

---

[94] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1968, გვ. 352.

რომ მაგალითად, როდესაც ქსნის საერისთავო გაუქმდა (1777 წ.) და ქსნის ერისთავის ქონება სახასოდ – სამეფოდ გამოცხადდა 1778 წ. გიორგი ბატონიშვილმა ზურაბ ფიცხელაურს აქ ნახსენები სამოურავოებიც დაუტოვა და „ერთობით ქსნის ბოქაულთუხუცობაც“ უბოძა“-ო.[95] ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVI საუკუნეში, როდესაც გვიანფეოდალურ ხანაში ცალკეულ სამეფო-სამთავროებში მუდმივი ჯარის ინსტიტუტი აღარ არსებობდა და სამხედრო ორგანიზაცია სადროშოების პრინციპზე იყო დაფუძნებული, ქართლის სამეფოში ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო: 1. მეწინავე, 2. მემარცხენე, 3. მემარჯვენე, 4. ცენტრი. მეწინავე სადროშოს წარმოადგენდა სომხითსაბარათიანო, მემარჯვენეს – საამილახვრო, მემარცხენეს – სამუხრანბატონო (ამ სადროშოში შედიოდა ქსნის და არაგვის საერისთავოები), ცენტრს – გაღმა მხარი (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის სანახები კარსნიდან ტაშისკარამდე).[96]

როგორც ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, ქსნის ხეობა ქართლის ჩრდილო-დასავლეთით მაღრან-დვალეთსაც კი მოიცავდა და ამდენად მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საამილახვროსთან ერთად ერთობ ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა ქვეყნის თავდაცვისა და ეკონომიკური სიძლიერის მიმართულებით. ყოველივე ამ სიძლიერეს კი ხშირად ახასიათებდა შიდა ფეოდალთა დაპირისპირება, რაც ბუნებრივია ერთგვარ ზიანს აყენებდა ქვეყნის სამომავლო განვითარებას, რომლის შესახებაც საკმაოდ ფართოდ ვიმსჯელეთ 2012 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში.[97]

რაც შეეხება უშუალოდ სოფ. ქსნის ისტორიულ ექსკურსს, არქეოლოგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია: ნამოსახლარი, რომელიც მიკვლეულია ე.წ. ნასტაკისის ველზე, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირის გორაზე, რომელიც ძვ.წ. IV და ახ.წ. II ს.ს-ით თარიღდება; მეორე ნამოსახლარი მდებარეობს იმავე ნასტაკისის ველის ჩრდ. აღმ. ნაწი-

---

[95] იქვე, გვ. 355.
[96] იქვე, გვ. 320.
[97] დ. პავლიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები, 2012 წ.

ლის გორაზე მდინარის მარცხენა ნაპირზე და თარიღდება ბრინჯაოს ხანიდან ადრინდელი ფეოდალურ ხანამდე., ხოლო კიდევ უფრო ფრიადსაყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი ნასტაგისი – ნასტაკისი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ე.წ. სავანეთის ქედის მიმდებარე ბოლო მწვერვალის ძირში, იქ სადაც ქსნის ციხეა აღმართული, ხოლო აღმოსავლეთით ესაზღვრება ნასპარსევის ხევი.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ფეოდალურ ხანაში სოფ. ნასტაგისი აქ არსებული შიომღვიმის მონასტრის კუთვნილებაა, რომელსაც 1580 წ. სიმონ მეფემ სათარხნის წიგნი განუახლა. ნასტაკისის ველი ერთობ მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით, რომლის გამოვლენაში მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელეს: აკად. ნ. ბერძენიშვილმა (1952 წ.), პროფ. ლ. ჭილაშვილმა და პროფ. ი. გაგოშიძემ (1964-72 წწ.), ხოლო 1972 წლიდან, როგორც უფრო დეტალურად ზემოთ გვქონდა აღნიშნული პროფ. ა. ბოხიჩაძემ, რომლის ხელმძღვანელობით გამოვლენილი იქნა მრავალფენიანი არქეოლოგიური ფენა, რომელიც ადამიანს საცხოვრებლად შუაბრინჯაოს ხანაში აუთვისებია. ამ ადგილებში გამოვლენილია გვიანდელი ანტიკური ხანის მრავალსენაკიანი ნაგებობები, მათ შორის ე.წ. სპასპეტის საცხოვრებელი კომპლექსი, სამნავიანი ბაზილიკა, აკლდამა და სხვ.

სოფ. სხალტბა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „მუხრანის სამთავროს“ შემადგენლობაშია. ხოლო შიომღვიმის მონასტერის წინამძღვარს ევარგეს VI საუკუნეში სოფ. გოროვანთან ერთად სხალტბაც უყიდია. მომდევნო პერიოდებშიც, კერძოდ X საუკუნეში 9 სხვა სოფელთან ერთად სხალტბაც მოიხსენება, ისევე როგორც XI-XII სს-შიც 15-ზე მეტ სოფელთან ერთად სხალტბაც მის მფლობელობაშია.[98]

სხალტბის სანახები, როგორც მნიშვნელოვანი სახნავ-საძოვრები, კარგად იყო ათვისებული, როგორც ადგილობრივი, ისე ქსნის ხეობის მთის ზონის მოსახლეობის მიერ. სოფელი ძლიერი შიომღვიმის მონასტრის მფლობელობაშია ზევდგენიძეების დროს 1669 წ., რომელთაც

---

[98] ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 103.

აქ ააგეს კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია. აქვე უნდა ითქვას, რომ სოფლის მიმდებარე ქედი უმთავრესად საზამთრო საძოვრებად იყო გამოყენებული, რამდენადაც ცნობილი „ნასტაკისის რუ“ მისი სანახების გარკვეულ ადგილებს სიმაღლის გამო ვერ სწვდებოდა. ამიტომ, იმ ე.წ. მშრალ ადგილებს მოსახლეობა ახლაც „ურწყავებად“ მოიხსენიებს.სხალტბის მიდამოები და საერთოდ მუხრანის ველის გარკვეული ადგილები ცნობილი იყო საზამთრო საძოვრებით, რომელთაც განსაკუთრებით სარგებლობდნენ ქსნის ხეობელები და საამილახვროს მოსახლეობა.

სოფ. წეროვანი ვახუშტის აღწერის მიხედვით „მუხრანის სამთავროს“ ეკუთვნის, რომელიც ამ რეგიონის ერთ-ერთი უძველეს დასახლებას მიეკუთვნება, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: ნამოსახლარი — არქეოლოგიური ძეგლი სოფლიდან დასავლეთით გორაზე მდებარეობს და დათარიღებულია გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანით; ნარეკვავის გორანამოსახლარი კი მდებარეობს სხალტბის ქედის ჩრდილოეთის კალთების გასწვრივ მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე და თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანით., რაც შეეხება არქეოლოგიურ ძეგლს — სამაროვანს, მდებარეობს სოფლის ჩრდ.—აღმ.-ით, სხალტბის ქედის ჩრდ. კალთაზე, სადაც აღმოჩენილი მასალების მიხედვით იგი მიეკუთვნება გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეულ პერიოდს. რაც შეეხება სულიერი კულტურის ძეგლებს, აღსანიშნავია: სამების ეკელსია, რომელიც სოფლის განაპირად დასავლეთის მხარეს მდებარეობს და თარიღდება XI საუკუნით, ხოლო კეხიჯვრის ეკლესია აგრეთვე სოფლის განაპირას მაღალი ქედის ფერდობზე მდებარეობს და მიეკუთვნება VIII საუკუნეს.[99]

შიომღვიმეს სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მცხეთის დასავლეთით ათიოდე კილომეტრზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის მთის ძირში შეჭრილი ხეობის მსგავს უბეში, რომელიც გეოგრაფიულად ყოველმხრივ დაცულ გარემოშია წარმოდგენილი. მიუხედავად

---

[99] კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 338.

იმისა, რომ შიომღვიმის მონასტრის კომპლექსის ადგილზე ისტორიულად დასახლება არ არსებობდა და შემდგომში ერთ-ერთი მძლავრი სასულიერო ცენტი ფაქტობრივად სახელმწიფოსთან ერთად დამოუკიდებელი მოღვაწეობით არსებობდა თავისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით და მის მფლობელობაში არაერთი სოფელი შედიოდა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რათა „მუხრანის ქვეყნის“ კომპლექსში წარმოგვეჩინა და მისი მოკლე ისტორიოგრაფია გაგვეხილა. მით უფრო, რომ ერთხანს, კერძოდ XV ს-ში, როდესაც სამუხრანბატონო შეიქმნა, მონასტერი ტერიტორიულად და მისი ქონების უდიდესი ნაწილით ამ ახალ სათავადოში აღმოჩნდა.

შესაბამისი ისტორიული წყაროების მიხედვით, მონასტრის დამაარსებელია შიო, რომელიც მღვიმელადაა წოდებული. შიო იყო ერთი იმ „ათცამეტ ასურელ მამათაგანი“, რომელნიც VI-ს-ში საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის იღწვოდნენ. წყაროები გვამცნობენ, რომ არსენ „კათალიკოსი, 955-80 წწ., „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი ღირსისა მამისა ჩუენისა შიოსი და ევარგესი“, XII საუკუნის უცნობი მოღვაწის მიერ გადამუშავებული რედაქციით — „ცხოვრებაი და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოისანი“, შიო ოცი წლის ასაკში დაემოწაფა იოანე ბერს, შემდგომში ზედაზნელად წოდებულს, თან წამოყვა ქართლში და 543-47 წწ. მასთან ერთად ცხოვრობდა ზედაზენზე. 547 წ. შიო ზედაზნიდან წავიდა და სარკინის მთაზე „ინახულა ხევი რაიმე ღრმა უნუგეშისმცემო, ურწყული ჰპოვა ჩრდილოთ კერძო მდინარესა მას დიდსა, რომელ არს მტკვარი, ქვაბი ყოვლად მცირე, კმა ეყოფოდა მფარველად სხეულსა მას მისსა ...“ და „დაჯდა მას შინა დაყუდებით ...“ როგორც ლეგენდა იტყობინება, შიოს საკვებს მტრედი უზიდავდა ნისკარტით. შიოს გამოეცხადნენ ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს — „იქმნეს უდაბნო ესე აღსავსე კაცთა მიერ“. და მართლაც გარკვეული ხნის შემდეგ მღვიმის გარშემო შეიქმნა სამონასტრო თემი — „მოვიდოდეს მრავალნი და მონაზონ იქ მნებოდეს“. ყოველივე ამის შემდეგ, საჭირო გახდა ეკლესიის აგება. „სცა სათხარი

წმიდამან შიო და აღაშენეს ეკლესიაი იოანე ნათლისმცემლისა". ეკლესიის აგების შემდეგ, შიომ შეარჩია მღვიმე „ფრიადისა სიღრმესა მქონებელი და ყოვლად ბნელი, შთახდა მას შინა" და იქ დაასრულა თავისი სიცოცხლე და ანდერძის მიხედვით იმავე მღვიმეში იქნა დასაფლავებული. მღვიმე წმინდა ადგილად იქნა მიჩნეული. XI საუკუნის დასასრულს მღვიმეს ეკლესია დააშენეს.[100] ამავე საუკუნეში შიომღვიმე თურქ-სელჩუკების მიერ იქნა დარბეული, ამავე საუკუნეში მეფე ბაგრატ IV-მ (1027-72 წწ.) მონასტრის დახმარებისათვის კლდეკარის მახლობლად მდებარე ბაღვაშთა ყოფილი მამული — ბორცვისჯვარი უბოძა, ხოლო XII ს-ში, როდესაც დავით აღმაშენებლისაგან დევნილმა მოღალატე მსხვილმა ფეოდალმა ძაგანმა თავი მღვიმეს შეაფარა, მონასტრის მომსახურეებმა იგი შეიპყრეს და მეფეს გადასცეს. ამის აღსანიშნავად, დავითმა მონასტერი მთლიანად თავის საპატრონოდ გამოაცხადა და იქ ღვთისმშობლის დიდი ტაძარიც ააგო 1103-33 წლებში, რომლის მშენებლობის ხელმძღვანელობა დაავალა ბერს — არსენს (იყალთოს მონასტრის წინამძღვარი — მწერალი და მეცნიერი). ამავე ხანებში, კერძოდ 1123 წ. შირვანზე გალაშქრების წინ მეფე დავითმა მონასტერს დამოუკიდებლობა, სასამართლო შეუვალობა და დიდძალი ქონება უბოძა. აქედან გამომდინარე, შიომღვიმე მძლავრ ფეოდალურ საეკლესიო სენიორად იქცა, რომლის მამულები კიდევ უფრო გაიზარდა მეფე თამარის ეპოქაში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, როდესაც 1202 წ. თამარის ნებით და ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თაოსნობით სოფ. სხალტბიდან შიომღვიმეში წყალსადენი იქნა გაყვანილი. მომდევნო ხანებში (XIII ს-ის შუა ხანებში) მონასტერი ხვარაზმელებმა დაარბიეს, მაგრამ ისევ მალე აღადგინეს და XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ იგი მეფისადმი თავდადებისათვის ერთ-ერთ დიდგვაროვან ფეოდალს ზევდგინიძე-ამილახვარს გადასცა საკუთრებაში. ამიერიდან ვიდრე XIX ს-ის

---

[100] კულტურის ძეგლთა აღწერილობა... გვ. 319.

პირველ ათწლეულამდე მონასტერი ამილახვართა საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა.[101]

შიომღვიმის სამონასტრო ცხოვრება ერთობ მრავალფეროვანს წარმოადგენდა. იგი იყო არამარტო სასულიერო, სამეცნიერო მოღვაწეობის, არამედ სასოფლო-სამეურნეო-სავაჭრო-ეკონომიკური აღმავლობის მამოძრავებელი ორგანიზმი, რომელშიც გაერთიანებული იყო არაერთი სოფელი თავიანთი ინფრასტრუქტურით, ცხვრის ფარებით, ჯოგებით, წისქვილებით და ა.შ. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, როდესაც მომხდურთათვის ქვეყნის სხვა ადგილებისა და სიმდიდრის აოხრება-გაძარცვის ობიექტად შიომღვიმეც არაერთხელ ყოფილა, რომლის აღდგენა-აღორძინება ქართველი მეფე-მთავრები და დიდებულთა თაობები მიმართავდნენ. საკითხის განხილვის ამ ჭრილში ზემოაღნიშნულ ფატქებთან ერთად აღსანიშნავია შაჰ-აბასის შემოსევების (1614-16 წწ.) დროს მონასტრის სასტიკად აოხრება და დიდი ტაძრის დანგრევა, რომელიც 1678 წ. აღდგენილი იქნა გივი ამილახვრისა და მისი მეუღლის თამარის ძალისხმევით., აგრეთვე ოსმალთა ბატონობის პერიოდში (1722-35 წწ.) და მათთან ერთად ლეკთა ბანდების მიერ მონასტრის არაერთგზის აოხრება და კვლავ მისი აღდგენა; 1735 წ. შაჰ-ნადირის მიერ მონასტრის აოხრება და ბერების გაჟლეტა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ 1811-22 წლებში შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა ქვათახევის მონასტერს, ხოლო 1822-87 წწ. თბილისის ფერისცვალების მონასტერს. XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის შიომღვიმე, როგორც ფეოდალური სენიორია აღარ არსებობდა და მხოლოდ საკულტო დაწესებულებად დარჩა, ხოლო იმავე საუკუნის 90-იან წლებში, მისი წინამძღვარის ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის თაოსნობით ჩატარებული იქნა დიდი სარესტავრაციო სამუშაოები. ასეთივე მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები იქნა ჩატარებული XX ს-ის 70-იან წლებში და სხვ. ამჟამად შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი კვლავ წარმოადგენს

---

[101] იქვე, გვ. 319.

ერთ-ერთ უმსხვილეს მოქმედ სასულიერო ცენტრს ქართლის სინამდვილეში, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველთა ესოდენ დიდი ნაკადი.

სოფ. ლამისყანა, რომელიც ისტორიულად ქსნის ხეობის სათავადოში შედიოდა, შემდგომში, კერძოდ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, მუხრანბატონების გამგებლობაში გადავიდა. როგორც სოფლის სანახებში მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლები, კერძოდ, უძველესი ნამოსახლარი გორა და ნასოფლარი მეტყველებს, რომ ამ ადგილებში მოპოვებული საყოფაცხოვრებო იარაღ-ინვენტარი და სხვა მასალები დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულით. რაც შეეხება ნასოფლარს იგი განვითარებული ფეოდალური ხანით განისაზღვრება და მიგვანიშნებს, რომ უძველესი დროიდანვე აქ მიმდინარეობდა ცხოვრების უწყვეტი პროცესები.

სოფ. ლამისყანას ირგვლივ არსებული ისტორიული ცნობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე: 1728 წ. ლეკთა ბანდების მიერ ე.წ. „ილტოზის წყაროსთან დავით გურამიშვილის დატყვევების ცნობა და რომ ამ წყაროს დღეს გურამიშვილის სახელით მოიხსენიებენ., 1795 წელს ქართველთა ლაშქარმა სწორედ ამ სოფელში დაამარცხეს აღა-მაჰმადხანის რაზმი; XIX საუკუნის მიწურულს ლამისყანაში მიმდინარეობდა აქტიური კლასობრივი ხასიათის შეტაკებები., აღსანიშნავია ლამისყანის მიმდებარედ არსებული ისტორიული ძეგლი — ორბელიანთა სასახლის კომპლექსი, რომელიც ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ძნელად მისადგომი, მაღალი ბორცვის ფერდობზე ანტიკური ხანის ნამოსახლარზე მდებარეობს და მასშია მოქცეული კომპლექსი წმ. გიორგის ეკლესიით, ციხე-გალავნით, მარნით და სხვ. სამეურნეო ნაგებობებით. კომპლექსი თარიღდება XVIII-XIX ს-ით; სოფლის ძველ სასაფლაოზე დგას ღვთისმშობლის ეკელსია, რომელიც თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით.[102]

---

[102] კულტურის ძეგლთა აღწერილობა... გვ. 174.

სოფ. ოკამი, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით სამუხრანბატონოშია. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად, ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით მის ცენტრალურ ადგილებში განლაგებული სოფლების ძირითადი უმრავლესობა, უძველესი კულტურის ძეგლების — ნამოსახლარებზეა განვითარებული და დღევანდელ ვითარებაში სხვადასხვა სახეშეცვლილი სახითაა შემორჩენილი. აქედან გამომდინარე, ისტორიული ქარტეხილების კვალობაზე. მეტ-ნაკლები სახითაა წარმოდგენილი სოფ. ოკამი, სადაც ადრინდელი რკინის ხანით დათარიღებული ე.წ. ნამოსახლარი გორას ნათშებია შემორჩენილი, რომლის გაგრძელებას წარმოადგენს სულიერი კულტურის ძეგლი — ღვთისმშობლის ეკლესია. აღნიშნული დარბაზული სტილის ეკლესია დგას სოფლის განაპირას და თარიღდება XVIII-XIX ს-ით. სოფლის განაპირას დგას მეორე — წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც თარიღდება აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანით.

სოფ. თეზი ოკამისა და ლამისყანის მსგავსად, გეოგრაფიულად საამილახვრო-ქსნის საერისთაოსა და მუხრანის საბატონოს სასაზღვრო ზოლში მდებარეობს და ამდენად აქ განვითარებული ისტორიული პროცესები ფაქტობრივად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ სოფ. თეზი და ლამისყანა ისტორიულად ძირითადად ქსნის საერისთაოს ეკუთვნოდა, მაინც მათი სამუხრანბატონოს შესწავლის არიალში განხილვა და წარმოჩენა, მათი, როგორც მეურნეობრივად განუყოფელი ნაწილთაგანი, კიდევ უფრო საინტერესოს და თვალსაჩინოს ხდის ამ რეგიონის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური თანაცხოვრების პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ზონაში ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია მოსახლეობის ცხოვრების ამსახველი უძველესი ნაშთები, სავსებით სარწმუნოა, რომ აღნიშნული სოფელიც ისეთივე კულტურის მქონე წარსულისაა, სადაც სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ სულიერი ცხოვრების ორი ძეგლი — კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც სოფლის განაპირას სასაფლაოზეა აგებული და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით, ხოლო მეორე — წმ.

გიორგის ეკლესია სოფლის ცენტრალურ ნაწილშია აღმართული და თარიღდება XIX ს-ით.

სოფ. ხვითი იმავე კონტექსტში განიხილება, როგორც ზემოაღნიშნული დასახლებები, მხოლოდ იმ გამოკლებით, რომ ეს უკანასკნელი ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენებული აქვს „მუხრანის სამთავროს" საზღვრებში. სოფ. ხვითის უძველესი პერიოდის დამადასტურებელი არქეოლოგიური კულტურის ძეგლები ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება, თუმცა თანამედროვე ყოფაში შემორჩენილი ტერმინი — „ბენისის ნასოფლარი" მიგვანიშნებს მის საზღვრებში უძველესი დასახლების უტყუარობაზე, რომელიც სოფლის ჩრდ. დასავლეთით ორიოდ კილომეტრზე, მთის ფერდობზე მდგარი წმ. გიორგის დარბაზული სტილის ეკლესიაც ადასტურებს და IX საუკუნით თარიღდება.

სოფ. საქადაგიანო — ქადაგიანი ვახუშტის მიხედვით „მუხრანის სამთავროშია". სოფელი მდებარეობს მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ქსნის ციხის მოპირდაპირე ფერდობზე. გადმოცემით სოფლის სახელწოდება წარმომდგარია ოდესღაც აქ მცხოვრები ქადაგიშვილების გვარიდან, რომელნიც ლეკიანობის დროს აყრილან და გადასულან მიმდებარე სოფელ აღაიანში. სოფლის განაპირას მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის ასომთავრული სამშენებლო წარწერის თანახმად, იგი აუგიათ მონაზონ დამიანეს და მის შვილებს — ამბაალავერდელ (ალავერდის ეპისკოპოსის საპატიო წოდება) კვირკეს, დიონისესა და თევდორეს.[103]

აღაიანი იმთავითვე „მუხრანის სამთავროს" შემადგენლობის სოფელია. იგი გადაშლილია ისტორიულად ცნობილი თხოთის მთის დაბლა კალთებზე, თბილის-ქუთაისის გზის მარცხენა მხარეს ტერასებზე და აქ მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლის — თხოთის მთის სამაროვანის მიხედვით აქტიური ცხოვრება სუფევდა IV-V ს-ში. აღნიშნული ძეგლი საყურადღებოა მრავალფეროვანი სამარხებით — სარკოფაგებით, მუხის ძელით გადახურული სამარხებით, კატაკომბური

---

[103] კულტურის ძეგლთა აღწერილობა... გვ. 198.

სამარხებით, ორმოსამარხებით და სხვ. წერილობითი წყაროების მიხედვით აღაიანის ველი ცნობილია აქ მომხდარი ისტორიული ფაქტით, როდესაც 1625 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბას I-ის ბრძანებით კახელების გასანადგურებლად (ამ პერიოდში იგი კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა) მოსული სპარსთა ლაშქარი ყორჩიხი-ხანის სარდლობით. სწორედ ამ ველზე დაბანაკდა იმ განზრახვით, რომ კახელების ჯარი მოსულიყო იმერეთში სალაშქროდ. სალაშქროდ შემოტყუებულ კახელებს შეჰპირდნენ, რომ მოძმე იმერლების წინააღმდეგ საბრძოლველად არ წაგიყვანთ, იარაღი ჩაგვაბარეთ, საჩუქრები მიიღეთ და შინ დაბრუნდითო. „საჩუქრების" მისაღებად კახელები მოშორებით კარავში უნდა შესულიყვნენ, სადაც ამოხოცავდნენ. კახელებმა ხმლით გაიკაფეს გზა, რასაც რამოდენიმე ასეული კახელი შეეწირა.[104]

თხოთის მთასთანაა დაკავშირებული ჩვენს მიერ მონოგრაფიის პირველ ნაწილში განხილული ისტორიული ფაქტი, რომელიც მის მიდამოებში მეფე მირიანის ნადირობის მოვლენებს ასახავს. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფლის ცენტრში, გელხაურების ეზოში შემორჩენილი თავდაცვითი ნაგებობა — ხუთსართულიანი კოშკი, რომელიც XVIII ს-ით თარიღდება. თხოთის მთის ფერდობებზეა მიკვლეული ნამოსახლარები პირველი და მეორე. აქედან პირველი ადრინდელი ბრინჯაოს ხანით, ხოლო მეორე ძვ.წ. პირველი ათასწლეულით და გვიანდელი ანტიკური ხანით და ადრინდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. ამავე სოფლის სანახებში დგას ნინოწმინდის ეკლესია, რომელიც VII-VIII ს-ით თარიღდება; არქეოლოგიური ძეგლი — სამაროვანი და ნაქალაქარი ძვ.წ. აღ. I ს-ის II ნახევრით თარიღდება, სადაც აღმოჩენილია ორმოსამარხები, თიხის სარკოფაგი, ქვევრსამარხი და სხვ. ხოლო ნაქალაქარი, რომელიც სმაროვანის მიმდებარე ტერიტორიაზეა მიკვლეული, თარიღდება ძვ.წ. და ახ.წ. IV ს-ით., რაც შეეხება შემდეგ არქეოლოგიურ ძეგლს — სამარხს, იგი მდებარეობს სოფლის ახალ უბანში — ახალსოფელში გ. მახარაშვილის ეზოში და თარიღდება IV-V სს-ით; წმ. გიორგის დარ-

---

[104] იქვე, გვ. 136.

ბაზული ეკლესია დგას სოფლის ცენტრში და თარიღდება XIX ს-ით.[105]

სანაქებო ქართლის გულში, გადაშლილი ველები,
განთქმულია სიუხვით და მშრომელების ხსენებით,
ბაღ-ვენახით მორთული და მხვნელ-მთესველთა ხელებით,
წიაღისეულ სიმდიდრით, მუხრანისა ველებით,
მცხეთის სანახებს მდებარე ზედაზნისა მშვენებით,
არაგვისპირის სიმბოლო ნარეკვავის ხევებით,
საგურამოს სანახებში ოლღა-ილიას ხსენებით,
ნატახტარის დიდებით და ქსნის ციხისა მშვენებით,
დარიალის ხევიდან ჭაღარა მთების ჩვენებით,
მუხიანისა ადგილას „მუხრან ქალაქის" ხსენებით.

[105] იქვე, გვ. 139.

არმაზი



ზედაზენი

ნატახტარი

საგურამო, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი



შიომღვიმე



ძალისი

წილკანი

ჯვარი